1920

ცისარტყელა

№ 7 ივნისი 1920 წ. № 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

პ ო ე ზ ი ა:

ნოე ჩხიკვაძე { 1. უპატრონო
2. ამონაკვნესი

ელენე დარახველიძე—უსახო ღამე

იასამანი—ძერა

ობოლი მუშა—საფლავთან

გ. ქუჩიშვილი—ნაადრევი ვარსკვლავი (პოემა)

ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ ი კ ა:

ვასილ ბარნოვი—განასკვილი სიმი

კ. გამსახურდია—რომში

ი. მჭედლიშვილი—მეოცნებე გოგი

კ რ ი ტ ი კ ა:

ს. აბაშელი—ნოე ჩხიკვაძე

არჩილ რუხაძე—ერთხელ ვიყავ მგოსანი

აკაკი პაპავა—ფიქრები თეატრის კრიზისზე

ავტორები მოთავსებულია ანბანზე

899.962.1(08)
ს-67
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისარტყელა

ყოველ-თვიური ჟურნალი

პოეზია ☆☆☆☆
ბელეტრისტიკა
დრამა ☆☆☆☆
კრიტიკა ☆☆☆
ბიბლიოგრაფია

F 5806
საქართველოს სახელმწიფო
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 7
ივნისი
1920

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოეზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჩხიკვაძე

ფანტაზია

ტბაზე ბალახიანზე ფანტელი ეფინა,
ლაჟვარდ ნისლიანი მთისა ბალი ეფარა,
ნაცრად-ა იყო ცაზე ბაბილოებიანი
ღრუბლის ფარეხი თოლ ყანავ, ფერ-ნაყარი...

ბნელისა ფარ ქვეშიდან ფანჯარა აკაშრალი
და ფიქრ ფიქრისა, ყველანაირნი ფერ-ფერნი.—
ნაფიქრალ ეშვეულისა, ფიქრად იყო ვით ფეხბერი,
ოდეს თვით ანგელოზთა ჰაერნი ნაფრენ!

ეფინა, ვითარცა ფეხსავრნი ლიბელ ფაფარ ფრთა
და ფაფრაკეფილნი, თითქოს ბედნიერ ფეხი —
ფეხნიან, თეფრიანი ოქროფრთანი ანგელოზ,
ფიქრად ფიქრალ ფიქრალ და ნაფიქრალ ალვ ფიქრალ...

აბ, ბეჭედნაკ! ფრიალეკ ზაფრეკ ფენ ჩამოაბიბ
ყველაფერ ფიფილ ფენი ფარი, ფენ ეფარ
ფან, ია ეფეფენ? ფნარ ფეფლენ, ფნარ ფიფლენ,
ფნალ-ად ფენ ფეფლენ ფიფნეკ ეფეფლ ეფიფეკ!

ზარ ნაფიფეკანთ? ფ ეფილ ია ეფენ ია ეფეფეფი,
ნიფ ფიფალეფენ? ფეფ ეფენ ეფენ ეფენ ფიფეფი
ეფ, ფენ ეფეფენ ეფიფეფენ, ია-ა ეფენ,—
ეფეფენ, ეფეფ ია, ია ეფეფენ, ია ეფეფენ!?

ეფენ, ეფეფ ეფეფეფ ეფეფ ეფეფ ეფეფ,
ეფ, ეფეფ ეფეფ, ეფეფ ეფ ეფეფ ეფეფ ეფეფ
ეფ, ეფეფ ეფეფ ეფეფ ეფ ეფეფ ეფეფ ეფეფ.
ეფ ეფ. ეფეფ ეფეფ ეფ ეფეფ ეფ!...

ეფეფ ეფ!... ეფეფ ეფეფ ეფ ეფ ეფ.
ეფეფ, ეფეფ ეფ ეფ ეფ, ეფ ეფ ეფ ეფ ეფ
ეფეფ ეფეფ, ეფეფ ეფ ეფ ეფ ეფ ეფ ეფ,
ეფეფ ეფეფ ეფ ეფ, ეფ ეფ ეფ!

ნ. ჩხიკვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ჩხიკვაძე

ამონაკვნესი

რას გადმეკიდე, რა გინდა,
რას მერჩი, ბედო ტიალო,
ათასჯერ მომკალ და კიდევ
რათა გსურს გამატიალო?
გული არ მერჩის, ნუგეში,
სული წამებით მკვდარია,
ჩემი ყოფნა და ცხოვრება
მუდმივი გლოვა-ზარია.
სადაც-კი ბუდე ჩავიდგი,
ყოველგან კუბო დამხურე,
ნაღველი ღვინოთ შემასვი
და ცრემლზე სისხლი მაპკურე;
ვიშრომე—უქმათ გამიქრე,
ვილოცე—ცოდვა მარგუნე,
სადაც-კი წაველ-წამოველ
ყველგან უკულმა მაბრუნე.
რჯულ-ძაღლო! მე თუნდ დამახრჩვე,
შემრთე უფსკრულის ტალღებსა,
ჩანგს ვინ ჩამოკრას ბრძოლისა,
ვინ უპატრონოს ბალღებსა?!
გინდა ყაჩაღათ მაქციო?
ეს ხომ დაცემულთ სენია,
თორემ ცეცხლისა დანთება
მე შენზე უკეთ მშვენია!
გვერდს არ აგიხვევ ბრძოლაში,—
ჩემი გზა პირდაპირია:
როდესაც გაუჭირდება,
პატარა ჭიაც გმირია!..
მაშ რა ვქნა? ჭმუნვით დამწვარი
გული ნაღველმა დალია,
შიმშილი, ტანჯვა, დაცემა,
გალია, მხოლოდ გალია!..
—ზიზღი შენ გაუტანელო,
ბედო შავ-პირო ტიალო!
—ზიზღი მე, თუ ეს მახვილი
შენვე არ დაგიტრიალო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე დარახველიძე

უსახო ღამე

რკინის ოთახში ჩავიკეტე, როგორც ტუსაღი,
და შენზე ფიქრი... მწუხარება, შავი ცრემლები.
ო, ვერ დავთვალე მოსაწყენი ღამე უსახო,
და საოცრების აჩრდილები მე თავს მევლება.
გაივლის ხსოვნა და წამების ბოროტი კვალი,
მხოლოდ დარჩება ჩემს ფიქრებში გლოვა წარსულზე.
გულში მიწყვია, როგორც სევდა, მე შენი თვალი.
ო, ღვთის წინაშე დანაპირი ვერ ავასრულე.
ჩემი იღბალი საცეცხლურის კვამლში ტარდება.
ეხლა დრო არის, რომ ტაძარში ლოცვა ავანთო...
ო, მეგობარო, შენი ნახვა გამეხარდება,
როცა არ ვიცი ჩემი ფიქრი მე ვის გავანდო...

№ 7
ეროვნული
ბიბლიოთეკა

იასამანი

მერა

მწუხრზე მწვანე მთათ მოსწყდება ჩრდილი.
გავარდნილ ტეხურს მოიმწყვდევს ხევი.
გადაიშლება იქით მარტვილი,
აქ ძველისძველი ნოქალაქევი.

ჩაიფლვის ფიქრი მდინარის ხმებში.
სივრცეს გადასჭრის მახვილი მზერა—
და დავინახავ—ცეცხლის ღრუბლებში
ვით იტანჯება ბებერი ძერა.

ცდილობს ამაყად გამართოს ფრთები.
ვარჯიშობს მთებში დიდიხანია,
მაგრამ წარმტაცი ზეცის სიზმრები
ქვეყნად არვისთვის მოუტანია.

იმდენი სდევდეს შიში ძლიერი,
და ღრმად საფანტი გულში ეტაროს,
რამდენიც უშნო და კადნიერი
ფრინველთა მეფეს ვერ შეედაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოგოლი მუშა

საფლავთან

ისევ აქ მოველ ბნელი ფიქრებით
გრძნობა-დამწვარი და ნაწამები.
უძილო ღამის შავი ისრებით
შხამად გარდმექნა ყოფნის წამები..

მოველ და ვეძებ მისი თვალების
სხივად-ანთებულს ალერსს, სიყვარულს.
ველარ გავუძელ ქუჩის ბრჭყალებში
ობლად ხეტიალს, ობლად სიარულს...

ფრთებსა შლის ქარი ნელი შრიალით—
და სადღაც შორს, შორს მივეჩქარები.
იელვებს სახე ნაზი ციალით,
მივსდევ და ახლოს ვერ ვეკარები.

გაიხსნა კარი.. და ბნელ ქაოსში
ციმციმებს იგი მიუწდომელი:
დამჭკნარი ყოფნის სასაფლაოში
სევდაა მხოლოდ განუზომელი!

ალარ მეღირსა მისი ალერსი
და ობოლ საფლავს ცრემლად ვეფრქვევი.
დაიწვის გრძნობა ტანჯვით ნაკვესი
და მხოლოდ შემდეგ გამოვერკვევი.

გაუჩინარდა... უბსკრულ ქაოსში
ალარ ციმციმებს მიუწდომელი!
დამჭკნარი ყოფნის სასაფლაოში
სევდაა მხოლოდ განუზომელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ჭუჩიშვილი

ნაადრევი ვარსკვლავი

დრამატიული პოემა

ძღვნად დ. თურდოსპირელს

თავი პირველი

მოქმედება სწარმოებს უხსოვარ დროში. წარუვალი ღამეა. შორით მოსჩანს ქალაქის ღარიბ-ღატაკთა უბანი, რომლის ქოხმახებიდანაც ობოლ ციცინათელასავით გამოკრთის ოდნავი შუქი სიჩუმით მოცულ მკვდარ მიდამოში დრო გამოშვებით გაისმის გრძელი და გულის სიღრმიდან აღმოხეთქილი ადამიანთა ყრუ გმინვა, რომელსაც აჯოჯოხეთებს ღამის ფრინველთა შემზარავი კივილი, ჭრიჭინების ერთნაირი, სასოწარმკვეთი ჭრიჭინი, ბაყაყების გაბმული ყიყინი და უბედურობის მომასწავებელი ძაღლთა ყმუილი. ერთს პატარა ფერდობზე შეუმჩნეველ ლანდივით მოსჩანს ღრმად ჩაფიქრებული მგოსანი ივერი.

მ გ ო ს ა ნ ი

ეჰ, ხალხო, ხალხო,
საბრალო ხალხო!
თვით ძილშიაც კი
ვერ ჰგრძნობ მშვიდობას...

სიჩუმე. ცისკენ ხელებ აპყრობილი, გრძნობიერი ხმით.

ოჰ, ღმერთო, ღმერთო, —
რა გამოვნახო,
რით, რით უწამლო
ჰვეყნის ჭრილობას?

დასუსტებული, მოწყვეტილი კუნძზე დაეშვება და იდაყვ დაყრდნობილი გაჰყურებს სამარადჟამო ღამით ჩამქრალ ცის სივრცეს. ისმის სასოწარკვეთილების აღმძვრელი ნელი მუსიკა

ოჰ, ეს მუსიკა...
თითქოს იმ ხმებში
სტიროდეს ჩემი
ბედ-შავი ხალხი;
თითქოს, აი, იქ,
იმ ქოხმახებში
ისმის დედათა
ვაი, ვაგლახი...

(ბ ა ნ ზ ა)

ჩემო ქვეყანავ...
მაგ შენმა ზარმა
მეც დამამწუხრა,
მეც დამაოსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საუკუნო
ბინდის ზეწარმა
ოცნება ჩემი
ძაძით შეჰმოსა...

სამარისებური სიჩუმე. მცირე ხნის შემდეგ მოისმის ცის შორეული, უცნაური გუგუნი და... უეცარი ქუხილი. ელდა დაცემული მგოსანი ზეზე წამოვარდება.

დიდო ღმერთებო!
რას მირისხდებით,
რა დავაშავე
ან რა შეგცოდეთ?
ნუ თუ იგი, რომ
ქვეყნის სახსნელად
ქვეყნის მპყრობელებს
არ მოგიწოდეთ?!

ქუხილი ჩადგება. მყუდრობა დამყარდება. სიბნელე გაირღვევა და ნათელ ღრუბლებში გამოჩნდება თეთრად მოსილი მოხუცი აჩრდილი.

მგოსანი

(გაკვირვებული)

ვინ ხარ, მოხუცო!
კეთილი სული,
თუ ბელზებელი
ჯოჯოხეთისა?
თუ სამაცდუროდ
იყო მოსული,
გაჰქრი უკუნში,
უკუნეთისავ!

აჩრდილი

ივერ... ოხ, ივერ ..

მგოსანი

(გაოცებული)

ჩემი სახელი!

აჩრდილი

მისმინე, შვილო...

მგოსანი

მამავ! მამილო! .

აჩრდილი

მამა არა ვარ...

მგოსანი

მაშ, ვინ ხარ, ვინა,
მსგავსო მამისავ,
ჩემდა წინამძღვრად
ვინ მოგავლინა?

აჩრდილი

შენმა და ქვეყნის
დიდმა ვაებამ...

მგოსანი

როგორ, ისმინა
განა ღვთაებამ?!

აჩრდილი

შენ შეიქმნები
ხალხის რჩეული,
შენვე გახდები
ნაადრევ გმირად,
და ხალხისგანვე
გმობილ-წყეული,
სიცოცხლეს მისცემ
მათ შესაწირად.

აჩრდილი გაჰქრება. ცა ისევ ისე ჩამოიქუშება. უცნაური გუგუნის შემდეგ ისევ სამარისებური სიჩუმე მკვიდრდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეორე

გაყუჩებულ ღამის სიწყნარეში ქარი ამოიჭრება და ფრთების ქნევით მიმოჰფანტავს სამარადისო ნისლს, რომელიც დასწოლია ქვეყანას. შორეულ ცის სილრმეში ვარსკვლავები კენტ-კენტად აენთებიან. ტვირთ-მძიმეთა ქალაქი თანდათან იღვიძებს. აქა-იქ მობარბაცე სანათის შუქს აქრობენ. ზედიზედ მიყრილ ბნელ ქოხმახებიდან რიგრიგობით გამოდიან დაბრანძულ ტანისამოსში გახვეულნი, გაყვითლებული სახის პატრონი მდაბიო მოქალაქენი. ყველანი ჩუმად მიდიან. ზოგი ამთქნარებს, ზოგი თვალებს იფშვნეტს, ზოგიც ოხრავს. ეტყობათ სამუშაოდ მიემართებიან. ყველაზე ბოლოს მობარბაცებს ქუჩაში ღამე ნათევი ლოთი.

ლ ო თ ი

(მოიმღერის)

ეჰ, ღვინოვ,
ღვინოვ,
კახურო ღვინოვ;
ჩემო სილაღევ,
ჩემო სალხინოვ!

თავს მაღლა აიღებს. ცხვირს დააცემინებს. დაინახავს შორით მოციმციმე ობოლ ვარსკვლავებს და გაოცებული, გაქანდაკებული შეაშტერდება ზეცას. შემოდიან მუშები.

პირველი მუშა

(ავ‌ბედ-დაბ‌ბედავს ლოთს)

ეი, ძმობილო!
აქ რას აკეთებ,
რას დაგიღია
ლოქაფი ხახა!

მეორე მუშა

ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

მესამე მუშა

მშიერი თუა.

პირველი მუშა

და ალბათ ცაში
შემწვარი გოჭი გამოესახა.

ყველა მუშები

ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

მეორე მუშა

არა, ბიჭებო,—
ასტრონომია.

პირველი მუშა

... და პლანეტები
თუ დაინახა!

ყველა მუშები

პლანეტებიო?!—
ხა, ხა, ხა, ხა, ხა!—
ხა, ხა, ხა, ხა, ხა!!!

ლ ო თ ი

ხალხო! შეხედეთ,
შეხედეთ ცასა,
რა რიგ ბრწყინვალებს,
რა რიგ კაშკაშებს!
აბა, გაჰხედეთ
დედამიწასა
ვარსკვლავთა წყება
ვით დასთამაშებს!

ყველანი შეჰხედავენ ცას და გახარებულნი მოუწოდებენ სხვებსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მუშა

(ქუდის ქნევით)

ხალხო! ეი, ხალხო!
წამოდით აქეთ!

ხმა იდუმალი

წყვდიადის მდგმურნო,
ბედ-უბედურნო,
მოდით, მოგროვდით,
სინათლე აქეთ!

ხალხი თანდათან გროვდება. ყველას სახეზე გაკვირვება გამოიხატება. ნელი ნაბიჯით მოემართება მგოსანი. შორიდან ისმის უსიტყვო საგალობელი.

მ გ ო ს ა ნ ი

(ხელებ აწვდილი)

დიდება შენდა,
ცაო, ნათელო,
დიდება შენ და
შენს მოვლინებას!
დიდება შენდა,
დიდ-სანატრელო,
დიდება შენ და
შენს მეუფებას!

პირველი მუშა

ის ვიღა არის?

მეორე მუშა

ალბად ოცნებობს
ფიქრ-სხივოსანი.

მგოსანი

(ხალხისაკენ მიმავალი)

ხალხო! ჰხედავთ ცის
შვენიერებას! —
ის მოგანიჭებთ
ბედნიერებას!

პირველი მუშა

გვითხარი, ივერ,
გვითხარ სიმართლე, —
რას მოასწავებს
ცისა სინათლე?

მგოსანი

იმას, რომ სადღაც,
შორს, ძალიან შორს,
არსებობს სრული ბედნიერება;
რომ საოცნებო
იქ, იმ მხარეში
ნათელს სიბნელე არ ეფარება,
და ცით მოვლენილ
ჭეშმარიტებას
უმსგავსთა ხელი არ ეკარება!

მეორე მუშა

თუ მართალს ამბობ და ჭეშმარიტად
ბედნიერება არსებობს სადმე,
რატომ ჩვენს ყოფას კი არ მოჰხედა
და არ შესცვალა უკეთეს რადმე?

მგოსანი

მისთვის, რომ ჩვენში
სუფევს უკუნი,
უკუნი ვრცელი
და შმორიანი,
რომ ჰაერს სწამლავს
ჭაობის სუნი,
რომ ულირსია
ადამიანი!!!

მესამე მუშა

მერე და რისთვის,
რა დავაშავეთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატონი

მსწავლული, მეცნიერების მნათობი, წელში მოხრილი, ჯოხით ხელში შემოდის. თავისთვის მოლაპარაკობს:
საოცარია! ჩემს სიცოცხლეში
პირველად ვხედავ ამდენ ვარსკვლავებს!

ხალხი

გზას აძლევს. კრძალვით ქუდს უხდის და თავს მდაბლათ უკრავს:
სალამი,
ერის ამპარტავნებას!

პლატონი

აზროვნობით გატაცებული, თავ-დაღუნული მიდის და ისევ ისე მოლაპარაკობს:
საოცარია! ჩემს სიცოცხლეში
პირველად ვხედავ ამდენ ვარსკვლავებს!

მგოსანი

ცაო, მოჰხედე
კაცთ ნათესავებს!

ხალხი

ღმერთო, გვიშველე
ბედ-კრულ, ბედ-შავებს!

მგოსანი

(თავ-დავიწყებული ადმოფრენით)
ვიშ, აღტაცებავ!
ახ, რა კარგია
იმ გაბრწყინვებულ სივრცეში ფრენა!
როდის იქნება,
რომ ყველგან იყოს
სამარადისო შვება და ლხენა!

ხმა შორეული

გვიან!..

ხმა იჭვნეული

არასდროს!..

მგოსანი

ვაი საწუთროს!..

თავი მესამე

იგივე ჟინჟღლიანი, გაუთავებელი ღამე. დამპალი ნისლი ადის ჭაობებიდან და ჰაერსა ჰშხამავს. ისმის ბაყაყების გაბმული ყიყინი, ჭოტის კივილი, ჭრიჭინების გულ-დამამძიმებელი ჭრიჭინი და შიშის მომგვრელი ძაღლთა ყმუილი. ყველაფერს სიკვდილის იერი დაჰკრავს.

მგოსანი

(სასოწარკვეთილებით)
ისევ სიბნელე,
ისევ სიშმორე,
ისევ ვაება
და კაეშანი...
ვაი, ამ სოფელს,
ვაი, ამ ღამეს,—
ნესტმა და ხავსმა
დამილპეს ფრთანი...

პირველი მუშა

ნეტავ რა იქნენ
ცის ვარსკვლავები,
სად გადიკარგნენ,
სად გადიმალნენ?

პლატონი

არსად. ღრუბელნი გადაეფარნენ.

მეორე მუშა

გამოჩნდებიან ოდესმე კიდევ?

პლატონი

გამოჩნდებიან მხოლოდ ხანდისხან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე მუშა

როდის?

პლატონი

როცა ნისლს გაჰფანტავს ქარი.

მგოსანი

ოჰ, ნისლი, ნისლი!—
აი, ეგ არის,
ეგ არის ჩვენ რომ გვიხუთავს სულსა.

პლატონი

მეცნიერება ამტკიცებს, შვილო,
რომ შორეული ვარსკვლავთა გუნდი,
ნელ-ნელა, მაგრამ გაუჩერებლივ
გვიახლოვდება, და მეც დავრწმუნდი,
რომ რამდენიმე ასი წლის შემდეგ
განახლებული ჩვენი ქვეყანა
ნათელ ედემად გარდაიქცევა.

მუშები

ჩვენი ქვეყანა?

პლატონი

დიახ, შვილებო, ჩვენი ქვეყანა.

მგოსანი

(ხალხს)

ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა!—
არ გჯერათ განა?!

(მეცნიერს)

იცით რას გეტყვით:
მაგ იმედებით
თქვენ ინუგეშეთ,
გულ-მოწყალენო,
ხალხს კი ნუ ჰბოჭავთ,
ჩამოეცალეთ,
გზა, გზა მიეცით
აზრთა ზღუდენო!

პლატონი

ძვირფასო ყრმაო!
აბა, მითხარი:
ვის არ აწუხებს
ეგ შენი სევდა;
ხალხის ვაებით,
ხალხის ცრემლებით,
ვინ იყო, ცრემლებს
რომ არ აფრქვევდა?!
არავინ...

მგოსანი

არავინ! დიახ, არავინ!—
მაგრამ...
მომავლის იმედს ვინღა აძლევდ?

პლატონი

ყველანი, ყრმაო, —
ყველა ჩვენგანი
სცლის ამ ცხოვრების
მწარე ფიალას,
ხოლო არ ვიცით, როგორ უშველოთ,
როგორ უწამლოთ ქვეყნის იარას.

მგოსანი

როგორ და ზრუნვით,
მუდმივი შრომით,
უმეცრებასთან
გონებრივ ომით!
თქვენ უნდა თქვენი მეცნიერება
ხალხს განუმარტოთ,
ხალხს შეასწავლოთ
და იქ, აი, იმ ბნელ ქოხმახებში
აღანთოთ რწმენა და იდეალი,
რომ სწრაფვა ციურ ვარსკვლავებისკენ
არის სიცოცხლე და სამღთო ვალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პლატონი

მოვა დრო, ხალხი თვითვე შეიგნებს
იმ დამტკიცებულ ჭეშმარიტებას,
რასაც თვით დიდი მეცნიერები
ალევდნენ თავის ჭკუა-გონებას!

მგოსანი

მერე და, როდის?!

პლატონი

შორეულ დროში

მგოსანი

(მწარე დიმილით)

შორეულ დროში!—
როცა საფლავში
ჩვენი ძვლებიც კი
მტვრად იქცევიან!

პლატონი

სხვა გზა არ არის.

მგოსანი

აი, ნუგეშიც ამასა ჰქვიან!

პლატონი

დიახ, ნუგეში,—
რადგანაც მჯერა,
რომ არ არსებობს
სხვა გზა და შველა.

მგოსანი

არსებობს, ბრძენო!
და ეს გზა არის,
გზა მიმავალი ახალ ქვეყნისკენ!
გზა სახიფათო,
ჯერ გაუვალი,
გზა უზენაეს ვარსკვლავებისკენ!

პლატონი

ეგ ოცნებაა,
სხვა არაფერი.

მგოსანი

(აღტაცებული)

დიახ, ოცნება!
ჩემი ოცნება!—
შენ კარგათა სთქვი, მოხუცო ბრძენო!
ჩემი ოცნება დღეს ფრთას შეისხავს,
ფრთასა ორბისას,
მძლავრ არწივისას
და, წავა, წავა მაღლობისაკენ,
რომ იქნებ ერთი ვარსკვლავი მაინც
მოვსტაცო ათას თვალიან ცასა
და მისი შუქი, ელვარებანი,
მიმოვაფრქვიო დედამიწასა!

პლატონი

ეგ შეუძლია,
სულელო ყრმაო!

მგოსანი

მე კი არა, თქვენ,—
თქვენ ასულელებთ
თქვენზე დაყრდნობილ უმეცარ ხალხსა!
მე ვსთქვი და მევე მოვიტან კიდეც
ახალ ცხოვრების
ახალ ვარსკვლავსა!

პლატონი

მოსაწონია სურვილი შენი.

მგოსანი

არა, მოხუცო!
მე ჩემს სურვილებს
ისევ სურვილად კი არა ვტოვებ,
არამედ, საქმით ვანხორციელებ,
და, რასაც ვეძებ, უთუოდ ვჰპოვებ!

პლატონი

დედამიწის და ვარსკვლავებ შორის
ქაოსია და უფსკრული შავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად დაფიქრდი. მაგ გატაცებით
არ დაიღუპო უბრალოდ თავი.

მგოსანი

დიდათა გმადლობთ ბრძნულ რჩევისათ-
[ვის,
მაგრამ ეგ სიბრძნე გაბრმავებთ თქვენა!

პლატონი

(გულ-მოსული)

როგორ!.. შენ... შენა?!.

მგოსანი

(დარცხვენილი)

გებოდიშებით, თუ უნებლიეთ
მოგაყენევით, მსწავლულო, წყენა.

პლატონი

(აცახცახებული)

სულელი! ბრიყვი!

(გაჯავრებული გადის)

მგოსანი

(მიმავალ მეცნიერს)

ნუ გეშინიანთ, ნუ, მეცნიერნო!
თქვენ არ მოგმართავთ,
თქვენ არ მოგიხმობთ!

(ხალხისკენ)

თქვენ, მე თქვენ გიწვევთ, ახალგაზრ-
[დებო!
თქვენ მოგიწოდებთ, მამაცნო გულით!
თქვენ, ვინც ჯერ კიდევ არ დაცემულ-
[ხართ
ნათელ, მშვენიერ, ჯაბუკურ სულით!

(სიჩუმე ჩამოვარდება. მგოსანი უცდის პასუხს, გამოხმაურებას. სამ ჯგუფად დაყოფილი ხალხი ყოყმანობს).

პირველი ჯგუფი

ჩვენ სიხარულით წამოვიდოდით,
რომ არ გვბორკავდეს ცოლ-შვილთა ვა-
[ლი.

მეორე ჯგუფი

ჩვენც მოგყვებოდით, მაგრამ რა უყოთ,
ჩვენა ვართ ჩვენი მშობლების თვალი.

მგოსანი

(დაკვინვით)

მაშ, კარგი, ხალხო!
მე მარტო წავალ!
წავალ და ვივლი
ვიდრე მაქვს ძალი!
არც დედ-მამა მყავს
და არც ცოლ-შვილი,
ვარ ფრინველივით თავისუფალი.

საქართველოს ს. ... ტ ფ ი ლ ი ... ბიბლიო

მესამე ჯგუფი

სალამი შენდა,
მგოსანო ივერ!
ჩვენ გამოგყვებით!
გაგვიძეხ წინა!

მოხუცებულნი

გაფრთხილდით, შვილნო!
ტყუილ-უბრალოდ
არ დაიღუპნეთ
უფსკრულსა შინა!

მესამე ჯგუფი

ივერ, რას უცდი?
გაგვიძეხ წინა!

მგოსანი

(სახე გაბრწყინებული. აღტაცებით)

მაშ, თუ ეგრეა, გაშალეთ ფრთები
თქვენ, შევარდენნო ჩემი ქვეყნისა!

მესამე ჯგუფი

აბა, წავიდეთ! წავიდეთ, ივერ!
გაგვიძეხ ვითა სიმბოლო ხსნისა!

და წავიდნენ ბნელით მოცულ სივრ-
ცისაკენ. ელვის სისწრაფით მოსწყდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაყურებელ ხილხის თვალთაგან და მიიკარგნენ საშიშარ წყვდიადში.

თავი მეოთხე

დრო მიდიოდა. არაფერი ისმოდა ვარსკვლავების მოსატანად წასულ მამაცთა ყრმათა. დედებმა გამოიტირეს უდროოდ და უმიზნოდ დაღუპული ურჩი შვილები. კვლავ ჩვეულებრივ მიმდინარეობდა ცხოვრება.

დედები

ვაი, შვილებო,
შვილებო!
უაზროდ
დაღუპილებო!

მამები

ვაი, ჩვენს ყოფას,
შვილებო,
ვაი, თქვენს მოხუც
მამებსა,
ვაი, ამ ჟამის
მოსწრებას,
სიცოცხლეს განაწამებსა;
სადა ხართ, სიყმის შვილებო,
ნეტავ რად დაიგვიანეთ?—
ვაი, თუ რამე შეგემთხვათ
და თავი დაიზიანეთ...

შორს, დედამიწის განაპირა ბნელ ცაზე ციცინათელასავით გამოკრთა ცრიატი შუქი მომავალი ვარსკვლავისა. ხალხი ათოთქოლდა, ხარბად დააკვირდა ცის სილრმეს და დაინახა ოდნავ მოციმციმე რაღაც წერტილი. უცნობმა სიხარულის ჟრუანტელმა დაუარა ყველას და გაისმა იმედიანი ძახილი აღფრთოვანებული ხალხისა:

ვარსკვლავი მოდის!
ვარსკვლავი, ხალხო!
აწ ბედმა ჩვენმა
გამოიბრწყინა!

მგოსანი ნელ-ნელა ახლოვდება და მისი ვარსკვლავის ელვარებაც თან-დათან ჰფანტავს ქვეყნად გაწოლილ ნისლ-ბურუსს.

ერთი ვინმე

ივერი, ხალხო!
აგერ, ივერიც!
ჰხედავთ, რა მადლი
გარდაეფინა!

რამდენიმე ხმა

მადლი შემოქმედს!
მადლობა გმირებს!
რასაც ვნატრობდით
ძლივს მოგვევლინა!

ყველანი

რაღას უყურებთ!
წავიდეთ, ხალხო,
და მივეგებოთ
წინამძღოლს წინა!

მშობლები

გვეშველა!..

ხალხი

აბა, წავიდეთ!
წავიდეთ ყველა!

...და დაიძრა ხალხი ჟრიამულითა და სიმღერით მგოსნის შესახვედრად.

ხალხი

სალამი ივერს!
ვაშა, ჩვენს მგოსანს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქებათა-ქება
ვარსკვლავის მომტანს!

შეთხელებული ნისლი სავსებით გაიბნევა და მომაღლო მთაზე მარმარილოს ქანდაკებასავით შედგება შარავანდედით მოსილი მგოსანი, ვარსკვლავით ხელში.

ხალხი

(უფრო მეტი ადტაცებითი ძახილით)

დიდება ივერს!
დიდება მგოსანს!
დიდება ხალხში
სინათლის მომტანს!

მშობლები

ივერ, რა იქნენ
ჩვენი შვილები?

მგოსანი

(მწუხარედ თავ-დახრილი, მოქვითინე ხმით)
ეჰ, დაილუპნენ გზაში ყველანი,
მთელი ქვეყნისთვის გასწირეს თავი;
და იქ, უკაცურ ორმთა ხევხუვში,
დასჩხავით კლდიდან ყორანი შავი...

(საერთო მწუხარება. ღრმა გმინვა ყველანი ქუდებს იხდიან და იჩოქებენ. ისმის დედების მოთქმა-ტირილი და სამგლოვიარო საგალობელი).

თავი მეხუთე

დღე დღესა სცვლიდა. სრულის ცხოველმყოფელობით კაშკაშებდა ვარსკვლავი. მისი თვალის მომჭრელი გამონაშუქი სცხრილავდა ჯანყს, ადნობდა ნისლს და ნათელ არშიათ ეფინებოდა ჭყანტობიან მიწის გულს. კვლავინდებურად არა მხიარულობდა მხოლოდ ხალხი. ყველანი სახე მოქუშულნი და თავდაღუნულნი დადიოდნენ. ოდესაც ისინი ვარსკვლავის მახლობლად გაივლიდნენ და ივერს შეჰხედავდნენ, მათი თვალები სითახსირითა და მძულვარებით ელავდნენ. სახეზე ზიზღი და ბოროტება ეხატებოდათ. წინათ თუ ქებადიდებით იხსენიებდნენ სინათლის მომტანს ივერს და ვარდ-ყვავილებით უფენდნენ გზას, დღეს უტიფარი ლანძღვითა და ტალახის სროლით იკლებდნენ.

და მოისმა შორიდან უკმაყოფილო ხალხის წყრომის ხმა:

ხალხი

ძირს! ძირს, ვარსკვლავი!

პლატონი

ხალხო!..

ხალხი

არ გვინდა, არა!

პლატონი

მისმინეთ!..

ხალხი

კმარა!!!

შეშფოთებული, ფერ-გაცრეცილი მგოსანი მალი ნაბიჯით შემოდის ქალაქის შუაგულ მოედანზე და მედიდურად დგება მაღლობ ადგილას, რომლის მაღლა აწვდილ ხელშიაც კიანთობს ვარსკვლავი. მას თან მოჰყვება ელდანაკრავი მეცნიერი, რომელიც ემუდარება მგოსანს.

პლატონი

თავს, თავს უშველე,
ჭაბუკო ივერ!
შენს წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღელვარებს ხალხი!
ამბობენ, თითქოს
მშვიდობის ნაცვლად
შენ მოგეტანოს
შფოთი, ვაგლახი!

მგოსანი ყურს არ უგდებს. მღელვარებით გაიყურება იმ მხარესაკენ, საიდანაც მოისმის ხალხის მუქარის ხმაურობა.

პლატონი

მგოსანო ივერ!
ოჰ, რომ იციოდე,
თუ რა უაზროდ
მოიქეცა შენა!

მგოსანი

როგორ! მე...

პლატონი

როგორ და ერთმა მოიწადინე,
რომ შეგეცვალნა ცხოვრების დენა.

მგოსანი

მერე?

პლატონი

მერე და, აბა, ასე უეცრივ
ვის გარდუქმნია ძველი ქვეყანა?
იგი ნელ-ნელა ვითარდებოდა
და ახლდებოდა სულ თანდათანა.
შენ კი, აჩქარდი,—
არ გსურდა მოცდა
და, აჰა, ჰხედავ,
ხალხში რა მოხდა?

მგოსანი

აბა, რა მოხდა!

პლატონი

რა და, აჯანყდა!

მგოსანი

დეე, აჯანყდეს!—
ჩემს სინათლეზე
ხომ დაინახა დუხჭირი სახე,
ხომ დაინახა
თვისი ქვეყანა
ჩამპალ ჭაობში ყრუდ მოვაგლახე?!—
ესეცა კმარა!
დღეიდან იგი
აუცილებლად
დაიწყებს ზრუნვას,
რომ დედამიწას ხელი შეუწყოს
ვარსკვლავებისკენ სვლასა და ბრუნვას!

ბრბო

ძირს! ძირს, სინათლე!
ძირს, ყრმა წყეული!
მან დაგვირღვია მყუდრო ცხოვრება,
მან მოგვიტანა ჩვენ მღელვარება!

პლატონი

(შეშინებული)

გესმის, მუქარა!
გესმის, ხმაური?
შენსკენ მოდიან!—
გაიქეცა, ძმაო!
ჩქარა! გაიქეცა!—
თორემ, მერწმუნე,
არ დაგინდობენ,
ძვირფასო ყრმაო!

თავ აშვებული ბრბო დამკლავებული ხელებითა და მუშტების ქნევით შემოვარდება. დამფრთხალი მეცნიერი სადღაც გაჰქრება.

ვიგინდარა

დოინჯ შემოყრილი წარსდგება მგოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის შორი-ახლოს და თავხედურად შესძახებს:

შენ აქა გდიხარ?
გასწი! გაგვშორდი!
გაგვშორდი! მოგვწყდი,
ეხლავ თავიდან,
თორემ იცოდე,
რომ ღმერთებიც კი,
ველარ გიხსნიან
ჩვენი მკლავიდან!

სალახანა

განა ღირსია საუბარისა?!
დროს რაზე ჰკარგავთ მაგდენ სიტყვე-
[ბით!
ძირს დაითრიეთ ეგ არამზადა
და როგორც ძაღლი ჩაჰქოლეთ ქვებით!

არამზადა

ძირს ეგ სულძაღლი!
ძირს ჩამოაგდეთ!

გამხეცებული ბრბო გაიწევს მგოსნისაკენ, მაგრამ ვარსკვლავის ელვარებისაგან თვალ-მოჭრილი უკანვე იხევს. გაფითრებულ მგოსნის სახეს მწარე ღიმილი დასთამაშებს.

მაწანწალა

(სხვების წასაქეზებლად)

ჰხედავთ, პასუხის ღირსადაც არ გთვლით
და ვით სულელებს, დაგცინით მწარედ!

ბრბო

(გატოფებული)

ძირს დაითრიეთ!
ძირს! ძირს, თავხედი!
ძირს!—გულზე ფეხით გადაუარეთ!

მგოსანი

ხალხო!..

ბრბო

არ გვინდა, არა!
ძირს! ძირს, სინათლე!
ჩვენ გვირჩევნია მიწის წყვდიადი!
იგი ისევე ღვთაებრივია,
ვით ცის ვარსკვლავი და განთიადი!

მგოსანი

უგუნურებო! ნუ თუ გგონიათ,
რომ თუ მე ვარსკვლავს ძირს გადავაგდებ
ამით მშვიდობა დაგიბრუნდებათ?!
არა! სიმშვიდე თქვენს ხრწნილ ქვეყანას
დიდხანს და დიდხანს არ ეღირსება,—
არ ეღირსება, ვიდრე ცხოვრება
ძირ-ბუდიანათ არ შეიცვლება,
ვიდრე მთელი ცა ვარსკვლავებისა
დედამიწაზე არ დაეშვება
და ეს ჭაობი, ხავსი და შმორი
სულ ერთიანად არ ამოშრება!!!

(პაუზა)

აი, ეს იყო ჩემი მიზანი,
ეს იყო ჩემი ყრმობის ოცნება,
მაგრამ მოვტყუვდი,—განზრახვა ჩემი,
ვაი, რომ ისევ განზრახვად რჩება!

ბრბო

ძირს! ძირს, ვარსკვლავი!
ძირს წყეული ყრმა!
ჩააკმენდინეთ მაგ ძაღლის ლეკვს ხმა!

მგოსანი

დამშვიდდით, ხალხო!
ჩემს სიკოცხლესთან
ჩემი ვარსკვლავიც იწვის და ჰქრება,—
მხოლოდ, გახსოვდეთ, რომ ჩემ შემდგო-
[მაც
თქვენ შორის იგი კვლავ აენთება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მდელვარებისგან სუსტდება, ხმა უკანკალდების)
მე... და... ვა... სრუ... ლე...
მშვი... დო... ბით... ძმე... ბო...
(მუხლთ ეკეცება. ძირს ეშვება)

იდუმალი ხმები

ივერ! წამოდი!
წამოდი, ჩვენსკენ!

მგოსანი

ზეზე წამოიჭრება, შეშლილივით მიაშტერდება საიდუმლოებით მოცულ ღამის სიღრმეს:

ვინა ხართ, ვინა!
ოხ, ერთხელ კიდევ
გაიხმაურეთ, ციურნო ხმებო!

იდუმალი ხმები

ჩვენა ვართ, ჩვენა!
შენი ერთგულნი!
დაღუპულ ძმათა
კეთილნი სულნი!

მგოსანი

იცნობს გზაში დაღუპულ თავის თანამგზავრ მოძმეთა ხმას და ზე-ქვეყნიური ცეცხლით აგიზგიზებული გასძახებს სივრცეს:

ძმებო! მოვდივარ!
მოვჰქრივარ, ძმებო!
მომიცათ, სულის
სწორ-მეგობრებო!!!

(დააპირებს გაქცევას, მაგრამ მუხლმოკვეთილი იქვე დაეცემა გულ-აღმა და გაციებულ ხელიდან გავარდნილი ვარსკვლავიც ჰქრება. ისმის ხალხის გაურკვეველი, რაღაც არა ადამიანური ხმათა გუგუნი. ჩაწყვდიადებულ ღამის საშოში ხარხარებს ბოროტი სული, რომელსაც უერთდება ჭოტების კივილი, ბაყაყთა ყიყინი, ჭრიჭინების ჭრიჭინი და ძაღლების საზარელი ყმუილი.

1915 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელეტრისტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ ბარნოვი

განასკვილი სიმი

— ბურუსი დასწოლია შენს გულს შენივთებული, ჯანღი რამ მძიმე; ცვარად აცრემლებული ნისლი გეხვევა გარს, უგემურად აჟრიალებს შენს გუნებასა, მთელს შენ არსებას.

— ბოროტი ბნელი მიმოსავს ყოფას, მიხშობს გრძნობასა, თვით ჰაზრთა დენას...

— გაეცალე შენს თავს, მიჰარიდე ერთს წამს ცნობიერებას შემძიმებულსა. მთლად კი არ მოსცილდე კაცთა სავანეს: დაგიმარტოვებს იგი წყვდიადი სამარის ფერი, მთლადაც ჩაიხვევს შენს სულის ციაგს; შეგაზარებს არსებობას ლაღს; მწვირით გაჟღენთილ სიბოროტედ მოგაჩვენებს სიცოცხლეს ლამაზს.

— აუტანელ ყოფად დახრწნილად.

— განიმარტოვე თავი! მთლად კი არ განშორდე კაცთ სავანეებს, ადამიანთა ტალღებს, წლთიერ ყოფის ბილიკებზედ მიმომავალებს. იარე იქ, სად აბნეულ ხმაურობით სავსეა არე და მაინც სიჩუმეა შენთვის, უხმო დუმილი; სად აღსავსეა მიდამო ხლართულ მოძრაობით დაუდგრომელით და მაინც უძრავია შენთვის, გარინდებული; სად მრავალთაგან გარემოცულ ხარ და მაინცა ხარ მარტოებული. იარე იქ, ხალხით აღსავსე უხმო უდაბნოში!

— დასახლებულს ადგილს უკაცოს, შეუცნობელ ხმათა მიერ სავსე მდუმარეგაში...

— იყავ იქ, იარებოდე, ჰაზრთა ნამსხვრევებით სავსევ, მაინც უაზროვ, განათებულ ფიქრთ უქონელო; გრძნობათა ნაფლეთებით აპირთავებულო, მაინც ელვარედ ასახულ გრძნობათაგან მთლად ცალიერო; სურვილთა სიმრავლით შემძიმებულო, მაინც სამოქმედოდ დაკვართულ ვნებათაგან უარყოფილო.

— სამოქმედო მილტოლვისგან ხელცალიერო...

— არ გახვიდე ყაბახზედ! არ აქსელო შარა, სად უცნობი ნაცნობები დაგეხირებიან ყოველს ჟამს, გულყანდი მეგობრები. ვაჰ თუ ბაგეზედ უქროდესთ ღიმილი ყალბი და შეგამძიმონ; იქნებ აშკმულ მათ პირში თვალი მოჰკრა სისხლთან ეშვს ალესილს, სულდგმულთ მუსვრაში ხელოვნებულსა, და შეგაღონოს, მთლადაც აგაკვნესოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეშვსა ალესილს, კბილს ცოცხალთ მკვეთელს...

— თუ არა, უფრო დაუმძიმდება შენს სულს ტვირთი თვისი მძიმე, ბოროტების ნაკადად გადმოჩქეფდება ჯანღი იგი გახშირებული, შენს გულს რომ დაუფლებია, საწყალობელო. წადი იქ, სად არვინ გიცნობს: არც მიმომსვლელნი, არც ის აჩრდილნი, მრავლად რომ ჰფრენენ არეებში, გარდასრულ ხალხთა იგი ლანდები.

— ყოფილ ცხოვრების მოჩვენებანი... ვიცნობ მათ ყველას.

— შენ ვერა გცნობენ! არც ერთი მათგანი არ შეაყენებს შენს გაწამებულ არსებაზედ თვის ხედვის ისარს სივრცედ მიმართულს, თუ შენ თითონ არ უხმე მათ. იქ წადი მეთქი!

*
* *

ამისთანა მძიმე მდგომარეობაში მე ისნის ვიწრო ქუჩები მირჩევნია, ქუჩაბანდები, ძველ ნანგრევებზედ შიგადაშიგ დაშენებული ახალი ქოხები; თუნდა ხარფუხის ქუჩა-ბილიკნი, სადაც სხვის ეზო თავის ზესვლაში თავს წასდგომია სხვა სახლის ბანსა, სარდაფი დასწორებია სართულს მეორეს. არ გინდა ისნში, აღარც ხარფუხში, თუნდ ჩულურეთში? მაშ ანჩხატისკენ, ან გარეთუბნის ვიწრო ქუჩებში, თუნდ მთაწმინდაზედ, ოღონდ სულ ზევით, განაპირებში...

ნაღარ-ნალეწი სავალი ძნელი, მიყრილ-მოყრილი ბუნაგ-ბინები, კაცთა საჯგუფი რამ ყორეები... ყველა თაობას სორო მიუდგამს წინაპართ სადგომისათვის, ყუდე რამ მიუშენებია წარსულთ ბუნაგზედ. იქ ყველა შუკა თუ ქუჩა-ბანდი სავსეა ხალხით, კაცთ ნალექის სიმრავლით უამრავით; გარდასრულ ხალხითაც აღსავსეა ძველის-ძველითა. ვის არ შეჰხვდები! ოღონდ კი თვალნი გესხდეს ხედვად სხვებისა, ხილვადც აჩრდილთა; ყურნი გქონდეს ხმათა სასმენლად, შორეულ სიტყვათაც სულ უწინდელთა. რამდენ გარდასრულს მოსწყენია ბნელ აკლდამაში ყოფნა განმარტოებული და გამოსულა თავის სახლისა თუ ქუჩა-უბნის დასახედავად!..

— ვერა მხედავენ იგინი: თვალნი სივრცისკენ აქვსთ მიქცეულნი.

— მისთვის ხარ მარტო კაცთაგან სავსე არემარეში; მისთვის დუმილად გესახება ხმათა სიმრავლე. და თუ მოგსურდეს, მოუწოდე მათ, გაეხმაურე. შედგებიან, მოგხედავენ, აჩქამდებიან.

— მეტყვიან რასმე?! ახალს, ძველებურს...

— არ დაჰვიწყებიათ საუბარი. კიდეც გიმღერებენ. ოდონდ კი თავისად გიცნან შენ, უკვე უცხო სახით მოვლინებულო, მათთვის მთლად უცხო მოხაზულობით.

— მათთვის უჩვევი მოხატულობით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დინჯად გაიარე. დაკვირვებით მოავლე თვალი მოყვარული. ყური მიუპყარ ჭირთაც სმენად გამზადებული. ლმობიერების ნავტივით შეცურდი მათ მუქ არსებობის ტბორში, მორევში. გაგიტაცებენ: გაგაღიმებენ, ჩაგაკასკასებენ; დაგაღონებენ, აგაქვითინებენ; აღიღინდებიან, აგამღერებენ; გიამბობენ, ლამაზ სიტყვას გათქმევინებენ.

— მომხედავენ? შვებას მომცემენ? სულს მეფონება?!. უკუნშია ჩანთქმული ჰაზრთა არე ჩემი; შავი მკურავი თუ შემოჰხვევია ჩემს გულს შეხუთულს და სწურავს იმას თვის ცივ ხლართებში; არარაობა ფოლადის ჯაჭვად დაჰხვევია ჩემს ნებისყოფას და შეუბორკავს, მოძრაობა აურთმევია ტყვექმნილისათვის.

— შეჰბედე, შეჰმართე, გაიბრძოლე!

— ვცადე შემართება, გავიბრძოლე რამდენჯერმე. ამაოდ! გარს შემომრტყმოდა უხსნელი ღვედი, უწყვეტ საბელად შემომხვევოდა. რა იყო მიზეზი? არაფერი! ყველაფერი! თუ მივაგნებდი გარკვეულ მიზეზს, გამოდგებოდა სევდის სარღვევად; თუნდ ბრინჯაოსი ყოფილიყო იგი შემძიმებული კაეშანი, ოღონდ კი დამენახა მისი უსახო სახე, მიმეგნო მის მასაზრდოებელ ძალისთვისა.

*
* *

გაძნელდა სუნთქვა. ველარ გავძელ ოთახში. დავეშვი ქვევით. ისე სწრაფად გავიარე დიდებული ქუჩა შეფერილი, თითქო უკან მომდევდა პირაშკმული სიბოროტე ვეშაპის სახით. გონებას რომ მოვეგე, ავლაბრის ხიდის ყურზედ დავინახე ჩემი თავი.

სჩქეფდა უფსკულში მძლავი მდინარე, ქაფდებოდა ურყევ სალთაგან შეზღუდვილი, იწროებული; გული უდუღდა გამძვინვარებულს. განწირვით ეხეთქებოდა კლდეებს, შოლტავდა, ზედ ასკდებოდა, ღრღნიდა ბოროტად პირქაფებული; წამს განშორდებოდა, ჩაიზნიქებოდა; წამს ახლტებოდა, აფრინდებოდა, ზედ ემტვრეოდა, ელეწებოდა. ამაოდ მძვინვარებდა! ყრუ სალს ურყეველს ვერა სწვდებოდა ვერც მისი ბრდღვინვა, ვერც თუ ქუხილი.

— საშინელია! რღმა იქნება აქ?

— ძლიერად მოგხვევს მკლავს. დაგკოცნის ისე, ველარ ისუნთქო. კლდეს დაემზღვრევა აღბორგებული, შენც ზედ დაგაწყვეტს.

— ზედ დამახეთქებს შესამუსრავად?

— ჩაგნთქამს, მოსწმედავს კვალსაც სისხლისა.

— რა ცივი იქნება სასტიკი!

— ხარბია, გაუმაძღარი. ნაჩვევიც არის აქ მდინარე შესაწირავსა, ადრინდელ დროდან შეჩვეულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძველ დროიდგანვე?!

— უწინდელ დროში საწამებელი ადგილი იყო ეს. შეხედე ზევით ციხის საძირკველს: კლდის ქიმი რომ არის გადმოზნექილი, აღგაფებულს რომ დაჰმზერს უფსრკულ წამდგარი...

— ვხედავ იმ კონცხსაც, ქვეშ მჩქეფარესაც...

— იქიდან გადმოამზღვრევდნენ შეუნდობელს, რომ დასთხეოდა წყალიდან ოდნავ ამოჩენილ წვერებს სალისას და ჩაენთქა უფსრკულს იგი იმ წამსვე, მოეწმიდ-მოერეცხა კვალიც მისი არსებობისა.

— ნიშანიც კი მისის ყოფისა...

— საწყალი უშანგ!

— ხმალი ღვთის გულისათვის!.. წარმკვეთეთ თავი!.. იძახდა სასო-მიხდილი, როს მიათრევდნენ უფსრკულისაკენ.

— ცოდვაა ხმალი მოღალატისთვის!

— მიშველეთ!.. გაისმა კივილი

და მოეფინა საზარი ხმა ისნის აღმართებს, მთელ კალა ქალაქს, ნარიყალასაც.

— მიამბე!

— მერმე, შემდეგში...

— აბოს ძვლებიც ამ უფსრკულს ჩაანთქმევინეს, წმიდა აბოსი. უამა თურმე გულჩხვეულსა: აციაგდა მორევი.

— აშუქდა?!

— თურმე შენათდა..

— იყურე, ბესიკ! ჰბედავ, უმღერი ბატონიშვილსა?! მაღლა შეჰმზერი, უჰ, ძლიერ მაღლა! შეჰმართავ მზესა ღია თვალებით... დაგბუგავს თვალებს, წაგართმევს ხედვას და... და გადმოგამზღვრევს ამ ფრიალოდან. ჰბედავ შეჰხედო ზეამაღლებულს!..

მოვშორდი ხიდსა: ისნისკენ წაველ. სანთელი დავუნთე წმიდანის აჩრდილს მიყუჟულ ნიშში: ციაგად მოევლინა წამებულს, ერთს წამს გაუნათებს ყოფას შავეთში.

*
* *

წავსდგი რამდენიმე ბიჯი. მომესმა ჭიანურის ხმა. ფეხი დავაწყნარე. გავარჯიშებული ხელი ხმარობდა ხემსა [1]). სევდიანი ბგერანი მწყობრად დარაზმულნი ამო-

[1]) ეს სიტყვა კარგარეთელმა მომაწოდა იამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოდნენ საკრავის მკერდიდან, მიმოფრინავდნენ. უფრო ვუკელ სვლას, თითქმის შევსდექი. მსუბუქ ფრთებზედ მოფრინავდნენ ხმანი, ნარნარი რხევით. მთლად დავდექი. ბგერათა შორის ერთი ნამზნევი მოსჩანდა: რყევით მოსდევდა. ვერ გავიგე მიზეზი. უსიამოვნო რამ აჩრდილმა გამკრა ფრთა. მივბრუნდი, მიუახლოვდი დამკვრელს; დავაკვირდი.

ბერიკაკი იჯდა მოკეცილი. ჭიანური დაებჯინა და უკრავდა. ტყავის წოწოლა ქუდი თვალებზედ ჩამოეფხატნა. ტანზედაც ტყავი ეცვა ყავარ-ყავარ დახეთქილი. ჯამი ედგა წინ; ფული რამ ეყარა შიგ, შესაწირავი.

ამოვიღე ქისა. ვსხნიდი, თან ნჯღრეულ ბგერის მიზეზს ვათვალიერებდი. მივაგენ! განაპირა სიმი იღებდა იმ ნამტკივნ ხმას: გაწყვეტილიყო; გლახაკს გაენასკვა ის და ისევ გაება საკრავზედ. ეს ვნებული სიმი იყო, რომ მსუბუქად ველარ აყოლებდა ხმას თანამომღერლებს, თვის ამხანაგებს; ველარ ეხმატკბილებოდა მათ.

აღარ მივეცი გასაკითხი. გამოვტრიალდი. ისევ გამოველ ხიდს. მოედნის პირში რომ მაღაზიაა, იქ მეგულებოდა სიმი. ვიშოვე. ვიყიდე.

— აი, ბიძია, სიმი: ალბათ ეს გირჩევნია ეხლა პურის ფულს.

— სიმი?! აბა!

მივაწოდე. გასინჯა. პირი გაუნათდა. ქუდი გადაიწია თვალებიდან და შე მომხედა.

— დაილოცოს შენი მადლიანი თვალი! შეჰნიშნე საწყალი სიმი განასკვილი. ვიმსახურე, ვტანჯე; გაწყდა წელში, მაინც აღარ ვეშვებოდი. გული კი ცრემლებით მევსებოდა მისი ცოდვით. სად ვიშოვიდი ეხლა ახლის ფასს?! ამაღამ გავაბა! ამ სიმს.

გლახაკმა ისევ ჩამოიფხატა ქუდი და გაუსვა ჭიანურს ხემი. იქვე ვიდექ გაქვავებული. ერთს ხანს ენა აღარ მემორჩილებოდა.

— სოსიკო?!

გლახაკმა ისევ გადიწია ქუდი და დაკვირვებით დამაცქერდა.

— დათიკოჯან?!

— მე!

— დახე ჩემს ყოფას უბედურს!..

— სადა სცხოვრობ?

— არსად!

— მაკრინე?

— ნუღარ იტყვი! ნუღარ კითხულობ ჩვენს ამბავს: მკვდარი ვარ! შენდობა მითხარი, კარგო კაცო, და წადი შენს გზაზედ, მითხრა გლახაკმა

და დაღუნა თავი: სევდამ მიწამდინ დაჰხარა მისი ანაოჭებული ქედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

ისევ ამოვიღე ქისა, მაგრამ გადავიფიქრე: ადრინდელი მეგობარი იყო ჩემი, იმთავითვე ჩემი ტოლ-სწორი და მისთვის დამამცირებლად მივიჩნიე. ფული გადამეგდო, მით მომეხადნა მოვალეობა.

— როგორ თუ ვერ გაუბედე?! ვინ გლახაკი, სად თავმოყვარება!

— ნუ იტყვი! ნივთიერად დაკნინებულს განა აუცილებელია სულიც ლაფანივითა ჰქონდეს მოღვედილ-მოშვებული, მიწამდის დაწეული, მწვირში თუ ტალახში ამოვლებული.

ხმა აღარ გავეცი, გავტრიალდი. იქვე ახლო რომ მიკიტნის დუქანია, იქ შავედი. ღვინო მოვითხოვე, მცირე სამხარი: მინდოდა ფანჯრიდან მეთვალიერებინა გლახაკი და თან ავყოლოდი მას, როცა დაიძვრებოდა ის თავის ადგილიდან. ნელ-ნელა შევექცეოდი. ვფიქრობდი: გარდასრული სურათები მითამაშებდნენ თვალწინ.

ნაცნობი იყო ეს არე ჩემთვისაც, სვიმონისთვისაც, — იმ გლახაკისათვის, აგერ რომ მიჰყრდნობია ზურგით კლდეს და უკრავს სიმძიმილის დროს იმავე თარს, რომელსაც ლაღობის დროს ახმატკბილებდა ბეჩავ, ბიჭო! ბევრჯერ გამოგივლია ამ ქუჩებზედ თავმომწონედ .. მაუდის კაბა ყურთმაჯებიანი, აბრეშუმის სარტყელი ფოჩ გადმოშვებული, კალმუხის ქუდი; საათის ძეწკვი ოქროსი; შრიალა ახალუხი ფარჩისა. კეწკეწი შალვარი ყაფაღიან წაღებში ჩატანილი. შავი ულვაშები მოპარსულ პირზედ. აბრეშუმის ხელსახოცი სანოვაგით სავსე, ჯიბეში ფული. ტუჩზედ ღიმილი ..

მიუხაროდა შინ ბედნიერს: მაკრინე დაჰხვდებოდა ოჯახში, სუფთად ჩაცმული კერის ანგელოზი, თვისი მეუღლე თანც საყვარელი; მარად სატრფობი მაკინე, ეშხზედ მომყვანი.

— სად მიდიხარ, დათიკოჯან?

— არ სად! ისე გამოვისეირნე: კარგი საღამოა. მოდიხარ კიდეც დუქნიდან?

— ეს არის აუგდე დარაბები; დახურულ ბაზარში, იცი შენ, ადრე ბნელდება.

— ნახვამდისინ!

— ერთად ვივახშმოთ! ჩემთვის ხომ ვახშამია, რაც არის: სადილს დუქანში ვსჭამ მარტოდ-მარტო, უსახლობოთ კი მე მად...

— შენგან არ მიკვირს! ცოლი თუ არ გიზის გვერდზედ, რა მადა გექნება, ან რა ლუკმა ჩავლის ყელში?!

— ყელში იხირება საჭმელი, თუნდაც კახური დაასხა ზევიდან დალოცვილს. დუქანში შენ მარტოდ-მარტო ყარყუმივით; იქ, სახლში, შენი ახალი სული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მურაზით სავსე სული ახალი...

— წავიდეთ! მაკრინესაც გაეხარდება: უყვარხარ ნათლია.

— მეც დიდ პატივსა ვსცემ. უცხო ხომ არა ვარ: მეჯვარე ვარ თქვენი.

მივდიოდით პირმხიარულნი მწვანილ-ბოლოკი, მოთალი, თევზ-ხიზილალა; ტკბილი ღულუნი; თარზედ ღიღინი. მარჯვე დიასახლისა მოსიყვარულე.. სხვებიც შეგვესწრებოდნენ ხანდისხან. სამხარი ვახშმად გადაგვექცეოდა, ჩუმი შექცევა ახმაურებულ მხიარულებად. მეტადრე, თუ აშულ მიქელა შემოგვესწრებოდა. რა თქმები, რა ზმები! საარშიყო ლექსები. ძველებური ამბები...

— იქით კვირა ჩემთან! ჩვენი კერის ანგელოზიც ვასიამოვნოთ. ნათლიდედ, თქვენც წამობრძანდით: ჩემს ფეფიკოს გაეხარდება: დასავით უყვარხარ. მიქელ! ხარაბ პეპიაც დამიპატიჟე: ახალი ლექსები აქვსო გამოღ...

— ეჰა! დაძრულა სვიმონ თავის ადგილიდან. როგორ მოხრილი მოდის! წელში გაუტეხია ცხოვრების სიმძიმეს. ბევრით კი არ არის ჩემზედ დიდი. ზედ ზურგზედ დაუცია უბედურობას.

გავუსწორდი მარკოზას. გამოვედ. მივეწიე.

*
* *

— შინათკენ?

— მივდივარ. განა შენც აქათა სცხოვრობ? არ შემხვედრიხარ აქამდისინ.

— ვერაზედა ვცხოვრობ. განძრახ ვიცდიდი დუქანში: მინდა შინ წამოგყვე.

— შინა? სადა მაქვს ბინა?! საღორეში ვყრივართ. არა! ნუ მოხვ...

— მაინც უნდა წამოვიდე: ვერ მოვისვენებ. მაკრინე?

— საწყალი მაკინე!.. მაინც ვერ დაგინახავს: დაბრმავდა ორივე თვალით, სრულებით ველარასა ჰხედავს.

— დაბრმავდა?!

— ჰო! მოტეხილს მოსტეხიანო...

— წამოვალ!

ვიცოდი ამ კაცის უბედურობა. გაკოტრდა. კიდევ იბრძოდა. გატყდა. მორცხვადა სთხოვდა ნაცნობებს შემწეობას. დავკარგე თვალთაგან. ეხლა მთლად დაგლახაკებულს შევხვდი, მაგრამ თუ მეტი საცოდავობის მზიდავი იყო უბედური, ის კი აღარ მეგონა.

— დაიცა ემანდ! ვუთხარი,

როდესაც დაუსწორდით სარდაფს, ჩავირბინე. მოვითხოვე სანოვაგე, სასმელი, თეთრი პური: ფულს აღარ დავხედე.

— წადი, დათიკოჯან, თუ ღმერთი გწამს! არ მინდა ჩემ ბუნაგში მიგიყვანო: ერთხელ მეც ხომ კაცი ვიყ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გცხვენოდეს, სვიმონ! მე მეუბნები მაგას?! უსათუოდ უნდა ვნახო ბეჩავი მაკრინე!

ხმა აღარ ამოიღო: ალბათ დამთანხმდა. ავათავეთ აღმართი. მარცხნივ შევუხვიეთ, ვიწრო ქუჩისაკენ. მინგრეულ-მონგრეული სახლები რომ არის, იქ შესდგა გლახაკი.

— აქ?

— აქ! მაგრამ ..

— გამიძეღ!

— მაკრინემ არ იცის, რომ ვმათხოვრობ, არ წამოგცდეს!

რაღაცა ჯურღმულში ჩასავალი თავქვე იყო. ჩავდგი ფეხი. ჩავედით.

— საღამო მშვიდობისა, ქალო! ჭრაქში კიდევ არის ნავთი? ასანთი მომაწოდე ერთი, მუხლ ქვეშ გექნება.

გაჰკრა წუმწუმა. ააშუქა. აგურის იატაკი ჰქონოდა ბუნაგს. ამოცვივნულიყო. ბუხრის ნანგრევი მოჩანდა. ტახტზედ, რაღაცა ფიჩვზედ, იჯდა მოხუცი. თვალები ახილული ჰქონდა. არც ლიბრი ჰქონდა გადაკრული. ეჭვი შემეპარა სვიმონის სიტყვებში.

— ვინ შემოგყვა? ფეხის ხმა გავიგე; სუნთქვაც მესმის.

— გამოიცან!

— ვაი, რომ ველარვის ვიცნობ! ვინა ხარ, შვილო? მე ხომ ღმერთმა თვალები დამიყენა...

— მე ვარ! დათიკო ვარ მამზერალიძე.

— აღარ გახსოვს, შე საწყალო, ნათლია დათიკო, სოლომონის შვილი?

— უი ქა! სად მიპოვნე ქვეყნისაგან ხელ აღებული, სიკვდილისაგანაც დავიწყებული?!

— სვიმონა დავინახე თარით ხელში და გამოვყევი: ძალიან მომინდა ამისი თარის ხმა და სიმღერა კიდევ მომესმინა, უწინდელი ჰანგები ლამაზლამაზი.

— რა კარგია! მაინც არ ივიწყებენ სვიმონს ძველი ნაცნობები: ქორწილი, ნათლობა, ახალგაზრდების ქეიფი უმაგისოდ არ იქნება. თარით შოულობს საწყალი საზრდოს და მეც მაცხოვრებს, ესეთს საბყარსა. თუ თარს არ ეშველნა ამ უბედურობაში, დავიღუპებოდით.

— შენ კი, ჩემო მაკინე, ახალგაზრდობისას სულ იმას მაყვედრიდი, გადაჰყევი მაგ თარს თუ სიმღერას, ქეიფში საქმე დაგავიწყდაო.

— მართალი ვიყავი, ჩემო კარგო ნათლიაჯან, მაგ ქეიფში არ დაიღუპა კაცი და ძვირფასი მაღაზია დაკეტა? ეს თვალდახუჭული მღეროდა ეშხზედ მოსული ბულბულივით, მტაცებელი კი მიეპარა და დაანელა...

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ ᲤᲘᲚᲘᲐᲚᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ალბათ ესე ეწერა შუბლზედ. გულს ნუ გაიტეხ, ალბა შენ ისევ გეშველოს. ექიმს არ ეჩვენე?

— ორჯერ-სამჯერ წამიყვანა სვიმონამ ექიმთან, მაგრამ იმან ხელი არ დასდვა ავადმყოფობას: შავი წყალიაო მოურჩენელი. შინაური წამლებიცა ვსცადე, მაგრამ ტყუილად: აღარ გამინათდა.

*
* *

შევაყოლეთ საუბარი: ერთი კბილის ხალხნი ვიყავით და ძველ ამბებს ვიგონებდით.

— ბარემ ვახშამი გავშალოთ, მიჰმართა სვიმონამ მაკრინეს.

— უკაცრაოდ კი ვართ სტუმართან...

— ნურას ბოდიშობ! ყველაფერი არის ღვთის მოწყალება: დათიკომ იყიდა ყოველივე.

— დათიკომ?!

— არა უშავს რა: ძველი ნაცნობია, თანაც ნათლია.

— მოვდიოდით. მამეწონა დუქანში ეშხიანად დაწყობილი სასმელ-საჭმელი და... ვივახშმებთ მეთქი ერთად, ძველ დროს გავიხსენებთ, ვიფიქრე.

დედაკაცმა ხმა აღარ ამოიღო. ადგა, სუფრა გაშალა, ჭურჭელი გადმოაწყო თაროდან. სვიმონა ჰშველოდა. ნელ-ნელა იძროდა ბრმა, მოზომილად; ძლიერ ფრთხილობდა. გამოთვლილი ჰქონდა თვითეული ნაბიჯი, ფეხის გადადგმა. მაყალიც გაჩაღებულიყო, ჩამოიტანა სვიმონამ: წელანვე მივეცი ნახშირის ფული, მოიტანე მეთქი სითბო დადგა გაყინულ ბინაში; ნესტის სუნი კი აუშვა: უცეცხლოდ ჩაჟღენთილიყვნენ იატაკი თუ კედლები უმზეო ბუნაგში. რა უშავდა?!

— შესჩვეულხარ სიბნელეში მიდგომ-მოდგომას.

— შევეჩვიე. რას არ შეეჩვევა ადამიანი! ეზოშიც შემიძლიან ასვლა. ქუჩაშიც გავდივარ, მაგრამ სახლს ვერა ვცილდები: მეშინიან. დართვას და წინდის ქსოვას კიდევ ვახერხებ, თუ ხელში მომცეს საქმე ველარასა ვშველი სვიმონას. ჰაი, თუ ჩემი თვალები მექნებოდა ეხლა!.. ბნელეთის წერა ვყოფილვარ მე საწყალი...

გავთბით. შევნაყრდით. დედაკაცი ცდილობდა, ნაზად ეჭამა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, დამშეულიყო, დანატრებულიყო სასმელ-საჭმელსა. გუნებაზედ მოვიდნენ მაკრინე თავისებურად გასწორდა წელში, ყელი მოიღერა, ჩამხმარ-ჩანაოჭებული ყელ-ყური. სვიმონა დახელოვნებულიყო დედაკაცის მოვლაში: მარჯვედ აწვდიდა საჭირო ჭურჭელს, საჭმელს თუ სასმელს. ისე ესმოდა დედაკაცს ყოველივე მოძრაობა, თითქო ჰხედავსო. ისევ ისეთი სუფთა მაკრინე, ბედშავობაშიც ლამაზად მქცევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემი ბიჭის უბედურობაზედ კი დამემართა ეს ავადმყოფობა: ცრემლ-ბუ ველარ გაუძლეს საწყალმა თვალებმა. ჯერ ისე შავი რამ ფარდა მელანდებოდა, ბნელის ნაგლეჯი. თანდათან ძირს ჩამოიწვია წყვდიადმა და გაფართოვდა. ერთს დღეს მთლადაც ჩამომეფარა თვალებზედ. ბისტი კი წინადაც არსადა სჩანდა. მეუბნებიან, თვალებს არც ეხლა აქვსო ლიბრი გადაკრული.

— სუფთა თვალები გაქვს, წინანდებურად მოკრიალებული.

სვიმონასაც თანდათან გული ესხნებოდა. ცალი თვალი ჭიანურისაკენ ეჭირა. მისწვდა საკრავს, გაბა ახალი სიმი, მომართა. ააქვითინა სიმები. გრძნობათა ნაჟური გვადინა თვალთაგან. მაკრინეც აღელდა, სიამის ცრემლი გადმოადგა ჩაბნელებულ თვალებზედ.

— ახალი სიმი?!

— დათიკომ მიყიდა.

— რა მადლობელი ვარ! აწამებდა საწყალ კაცს ნამზნევი სიმი გაკვანძილი. მეც სმენას მიქანჯავდა. ვერ ყიდულობდა სხვას: ამბობენ, დიდი სიძვირე ჩამოვარდაო ყველაფრისა.

— მართალია!

— წინადაც კი ყოფილა შიმშილობა: ერთი ცულის ყუა ხორბალი მინალთუნად გადიოდაო.

— გახსოვს, სვიმონ, ქეიფს რომ შევაყოლებდით ნელ-ნელა?

— პატარა სუფრა. ტკბილი ღიღინი. თაფლივით სიტყვა.

— სველი ხელადა. მწვადის შიშხინი, მადის ამშლელ კვამლში რომ ეხვევი სუნნელოვანში.

— გათენებისას საარი გამყივარი, პირველი სხივები ამომავალი მზისა რომ ცისკენ აზეულ ზურნის ტუჩში ჩაიმტვრევიან...

— აი თქვე ეშმაკებო! მე კი თვალ-ჩაუხუჭავი ველოდდი ჩემს ვაჟკაცს; მეშინოდა, ხიფათი რამე ხომ არ წაეკიდა მეთქი.

— ახ, დრონო, დრონო, წარსულნო დრონო! ჩაიღიღინა სვიმონამ და მწყობრად დააპკურა ზედ ვერცხლებრივი ბგერანი ჭიანურისა.

დამავიწყდა, სად ვიყავი, რა უბედურების სავანეში. თითონ ბედშავთაც გადაავიწყდათ ეს: სახე გაბრწყინვებული სვიმონა ასაუბრებდა თარს; მაკრინე თვალს აყოლებდა მიმომფრენ ხმებსა. იქნება კიდეც ჰხედავდა უხილავებს თვის გონების თვალთა არეში. შეწყდა ხმა მწყობრი: თარმა უკანასკნელად ამოიკვნესა და ჩაჩუმდა.

*
* *

— გმადლობთ, ნათლია ჩემო, ამ სიმისათვისაც: კვანძიანი სიმის ხმა ყურთა სმენას მიგმირავდა, კოჟიჟივით მეჭდეოდა ზედ გულის კანზედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არაფერს! მეც ვისიამოვნე. რათა ხანია, აღარ გამიგონია ეს ძველი სიმღერები. რამდენი სიმღერა იცოდი შენ, მაკრინე, და ლექს-ზღაპრები! კიდევ გახსოვს?

— მამა განთქმული მელექსე ჰყვანდა და ამბის მთქმელი. ზღაპრების გუდას ეძახდნენ.

— ყველაფერი დამასწავლა მამამ, სუყველაფერი მახსოვს.

— ეგ კარგია, მეხსიერება რომ შეგრჩენია.

— რაც თვალები დამევსო, ის უწინდელი ლექსები თუ ზღაპარსიტყვაობა უფრო მკაფიონი შეიქმნენ ჩემთვის. რომ ვიგონებ, თითქო ვხედავო. ვხედავ კიდეც საკვირველად აციაგებულ სიტყვებს; დარაზმულნი მოდიან მწყობრად, მოუბნობენ, მოიმღერიან. იგინი ეხლა ჩემთვის ცოცხლები არიან.

— ჰხედავ? მოძრაობენ, ცოცხლები არიან?!

— ახ! საწყალი ჩემი თვალები ალბათ შიგნით ჩაბრუნდნენ, შინისკენ მიიქცნენ და იქ ანათებენ ძველისძველ ამბებს, ქამხა-ატლასივით მძიმედ დაკეცილ ძვირფას სათქმელებს.

— გვიამბობ, ჩემო მაკრინე, ყველა იმ ამბებს.

— გეტყვით, მოგითხრობთ, თუ გიხარიანთ.

— მოვალ ხოლმე და გაამბობინებ კარგი?

— კარგი, გენაცვა, ძალიან კარგი! განა კიდევ მოხვალ ჩვენსა, კეთილო? სხვამ ყველამ დაგვივიწყა, თითქო დაგვმარხეს.

— უთუოთ გნახამთ, ჩემო კარგებო!

დავდივარ სვიმონაანთას. თვეში ერთხელ მივდივარ, ოცის შემდეგ ჯამაგირის მიღების მერმე. საკვირველია! იმ საცოდავ ბუნაგში, აყროლებული ჭრაქი სოდნავ შბჟუტავ შუქზედ კაშკაშდებიან ძველი სახეები, იძვრიან, ცოცხლდებიან; თვალწინ მეორდებიან უწინდელი ამბები.

— გარდასრულნი თუ მოდიან იქ თქვენ სანახავად, დროს სატარებლად?

— ნამდვილ მოდიან, შავეთიდან გვევლინებიან. რას არ გვიამბობენ! უფრო კი სევდიანს მოგვითხრობენ, გვიმღერიან, გვეუბნებიან. ხან მთლად უჩუმრადა სხედან იგი აჩრდილნი წარსულისა. ჩვენ კი მაინც ვხედავთ მათ, გვესმის მათი სიტყვა, მეტადრე მაკრინეს: ის ჩვენზედ კარგადა ჰხედავს იმათ, ჩვენზედ მახვილად ესმის მათი უხმო ხმა როცა ამოვდივარ იმ ჯურღმულიდან, მგონია, ბურანში ვიყავი და გამოვფხიზლდი. მანამ მეორედ მათთან მისვლის დრო მოვა, ეჭვიც კი მეპარება მათ არსებობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოწია გამსახურდია

რ ო მ შ ი

(ვუძღვნი ჩემს ტკბილად მოსაგონარ დედას)

1920 წ. პირველ იანვარს ბათუმის ბნელსა და ვიწრო ქუჩებში შევხვდი. ახალი წლის დასახვედრად ინგლისელებმა ნავთსადგურში გემები ააყვირეს. ქალაქიდან მაშხალებს უშვებენ. ეს მაშხალები ნერვებს მიშლის. მაგონდება **1918** წლის გაზაფხულის ღამე, ასე ელავდენ ფორტებიდან გამოსროლილი ყუმბარები. იმ საბედისწერო ღამეს გაუდრკა მუხლი ქართველ ჯარს. . საშინელების მოლოდინში სახლების ფანჯრები ზანზარებენ. . ეს არასოდეს არ დამავიწყდება... არც ქართველ ხალხს დაავიწყდება ეს საბედისწერო ღამე. . ამაღამაც მოწყენილი ვეგებები ახალ წელს. „ხვალ საქართველოდან მივდივარ“. მერე ფიქრი შორეულ გზაზე, შორეულ ფერზე, ფიქრი ჩემ მოხუც დედაზე; ნაზი სუბტროპიკული სათუთი ღამე, ჩუმი მელანქოლია .. სამშობლოდან წასვლამ ასე იცის.

ხვალ ახალი წელია, **1920** წ. ნავთსადგურში ელექტრონით გაჩაღებული ინგლისელთა კრეისერი სადღესასწაულოთ გაჩირაღდანებული შობის ხეს მომაგონებს... ყვირიან გემები, ყვირიან ბუქსირები, როგორც მონადირისაგან გზა აკვლეული ირმის ჯოგი, და ეს საშინელი ღრიანცელი ამ ბნელ ღამეში აუტანელია. მივყვები ყრუ ნაპირს ზღვისას, ზღვაში ლაპლაპებს ყვითელი ზოლი ნავთსადგურის კანდელისა და გემების სანათურების ანარეკლი.

ქალაქიდან კანტი-კუნტი თოფის ხმა ისმის... მაშხალები ცეცხლის გველებივით მიიკლაკნებიან ცისაკენ და სახლების ბნელ სახურავებზე ეშვებიან ისევ .. ასე იყო იმ ღამესაც. .

ოო, ჩვენ გულზე ეს ტკივილი არც ასე ადვილად მოშუშდება, ჩვენო ბათუმო!

მეორე დღეს გემზე გადავედი.

— რა ჰქვია ამ გემს? — ვეკითხები დაბალ, ყვითელ ღილებიან სათვალებიან კაცს — „ფერენც იოსებ კვირალი“.

ოო ..

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილი მზიანი დღე, ბათუმიდან გამოყოლილი მეთოლიები წივილით მოსდევენ გემის ნაკვალევს. ვინ იცის, ეგებ ეს მეთოლიები იტალიამდის თან გამოჰყვენ ჩვენ გემს, რომ გზა და გზა ცივილიზაციის ნასუფრალით შეიქციონ თავი გაშლილი ზღვა... ბაქანზე ვზივარ .. გავყურებ დაუსრულებელ ზღვას, რომლის კიდეზედაც თეთრად შესუდრული კავკასიონი სთვლემს... ო, ზღვაო, ზღვაო მარადისობის სიმბოლოვ, როგორ მამშვიდებს შენი დაუსრულებელი ლივლივი..

სადაფის ეტრატი წამს ქაფად იქცევა, ნელ-თბილი სხივები შუბლს გეალერსება, ირხევა, იფრქვევა, მდინარებს, ჟუჟუნებს, და გული გაყრისა ცრემლებით გევსება.

...„და გული გაყრისა ცრემლებით გევსება“!..

ხომ ბუნებრივია ჩვენი გულ-ჩვილი სიყვარული უსაზღვროებისადმი. რა კარგი არის ერთ წამში სივრცისა და დროის ფარგლებიდან გამოსვლა .. მთლად ჭვრეტად, მთლად ზმანებად, მთლად ოცნებად ქცევა. ირღვევა არსება, იბნიდება აზროვნება და უსაზღვროებითა მარადისობით მთვრალი შენც ამ დიდებული სტიქიონის ერთ ტალღად იქცევი.

არცა ნდომა, არცა ზრახვა, არცა ფიქრი, არცა ურვა...

მე არ შემიძლია არც შავსა და არც ხმელთა შუა ზღვაზე უჰომეროდ მოგზაურობა. ჩემი ბიდეკერი სულ არ გამხსენებია აქ. განა ოდისეი ბიდეკერზე უკეთესი გზის მაჩვენებელი არ არის ამ მიდამოებში. ამიტომაც მუხლზე მიდევს იგი.

აჰა ძველი საბერძნეთის გავერანებული ნაპირები კორინთის კანალში რომ შევედით, ჩვენ გემს ბუქსირი გაუძღვა წინ... გაღმა-გამოღმა სულ ორიოდე მეტრის სიახლოვეზე ჩნდა ნაპირები. გემს ფეხშიშველა, ძონძებიანი ბერძნის ბავშვები მოსდევენ და იტალიანურად გაჰყვირიან: სთხოვენ მოაჯირებზე გადმოყრდნობილ მგზავრებს.

ეს საცოდავი მათხოვარ ბავშვების ბრბო, ნუ თუ ესენი არიან ძველი ჰელენების მემკვიდრეები? ჰოი უკუღმართო წუთი-სოფელო! ეს ჩამოგლეჯილ, ჩამოწეწილი ბალღები, მათხოვარა ბავშვები პლატონისა და პერიკლეს მიწაზე, ესენი ვნახე მე პირველად საბერძნეთში გავლისას.

„და დაიქცევა ძველი ტროა“!

კორინთის კანალს რომ გავსცილდით მე, ისევ ჩემს ოდისეის მიუბრუნდი. აქ არის ძველი ჰელას ცოცხლად შენახული. ძველი საბერძნეთის მიწაზე ნანგრევები ღაა დარჩენილი. საბერძნეთის მშვენიერ მიდამოებზე გამხდარი თხები სძოვენ. ხრიოკი, ნანგრევი, აქა-იქ სახელდახელოდ გაკეთებული სახლები, მწირი სანახები და მწირი მიდამო. აი მოდერნული, ბერძნული სანახი!

ჩაიხედეთ ოდისეიში... აქ ცოცხლად შენახულა დემოსთენის სიმჭევრე, პლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცონის ტკბილსიტყვაობა, პერიკლესის სიბრძნე, პორფირი და მშვენება ბერძენთა მეფეების სასახლეებისა, უთვალავი სიმდიდრენი, რომელნიც მეფე ოდისეისასაც კი, რომელსაც მთელი მაშინდელი „ქვეყანა“ მოვლილი ჰქონდა, განცვიფრებაში მოიყვანდა ხოლმე.

ახლანდელ საბერძნეთზე იგივე ითქმის, რასაც ოდისეი ამბობდა თავის სამშობლო იტაკაზე: „იტაკა, ეს თხების ქვეყანაა, მწირი თხების ქვეყანა“.

ვათვალიერებ, ვფურცლავ ჩემ საყვარელ ოდისეის.

სრულიად შემთხვევით წააწყდა თვალი „ლანდების სამყაროს“.

„აქა მოვიდნენ ერებგოსიდან აწ გადაცვლილთა სულები“.

განა დღეს მთელი ბერძენთა ერის პირით არ ითქმის იგივე რასაც ელპენორი ეუბნება ოდისეის:

„ძევ ზევესისავ, ლაერტის შვილო, ჭკუა მახვილო, ჰოი ოდისეუს,
ბედმა და დემონმა დამღუპეს მე“...

---

8 იანვარს ღამის 11 საათზე ტარანტოს მივედით.

„იტალიავ, იტალიავ, მიწავ რენესანსის“.

ასე მღეროდა ამ რამდენიმე წლის წინად ერთი ფრანგის პოეტი.

რა მშვენიერია იტალია სწრაფი მატარებლის ფანჯრიდან.

სოფლები მთების კირჩხიბებზეა შეხიზნული.

ჯერ რომაელი მეისტორიენი მოგვითხრობენ, რომ იტალიის სოფლებს ასეთივე მდებარეობა ჰქონიათ ამორჩეული პირველ საუკუნეებშიაც. ეს ალბად სტრატეგიული მოსაზრებით ხდებოდა. გორაკებზე შეკუმშული თეთრ-სახლებიანი სოფლები საუცხოო სანახაობას წარმოადგენენ.

11 იანვარს, დილის 7 საათზე გამოჩნდა რომის ძველი გალავანი და სახელგანთქმული წყალსადენის კედლები... ტიტანების ნაკეთები უნდა იყოს ეს... მთელი ღამე არ მძინებია სიხარულისაგან. რომი, ჩემი ოცნების საგანი.

ქუდი მოიხადე, მოგზაურო!

ესეც პიაცა დელ პოპოლო, (სახალხო მოედანი), რომელზედაც აღმართულია ობელისკი, ჰელიოპოლოსის მზის ტაძარს რო ამშვენებდა ოდესმე იგივე ობელისკი ერთ დროს აუგუსტუსის ბრძანების თანახმად ცირკუსს მაქსიმუსსში დასდგეს. პაპა პიუს მეხუთემ აქ აღამართვია იგი.

უცხო, ქვის მგზავსი ფარაონების ქვეყნიდან, რა განმარტოებულად დგას იგი ამ მოედანზე და გარინდებული მისჩერებია იტალიის ფირუზის ცასა და მისს გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემო მდებარე სრა-სასახლეებს. აქვე მახლობლად იმყოფება „სანტა მარია დელ პოპოლოს“ ეკლესია, სანსოვინო, რაფაელ პინტურიჩიო მოგესალმებათ აქ. საფლავების რელიეფები, სკულპტურები, ფრესკები, მარმალილო, ფერადები, მშვენება, სასოება, მოჭარბებული ენერგია და მზიანი თვალის ჩინი.

ამბობენ აქ დაუბნევიათ ტირანი—პოეტის ნერონის ფერფლი

„ნერონ, ნერონ, შენ შეგიძლია ადამიანები დაჰხოცო რამდენიც გინდა, მაგრამ ლექსებით რაღას გვერჩი“...

შესძახა ნერონს საყვედურით ერთმა თანამედროვემ...

ამფერ ძველნო რომაელნო, რომ ცუდ შაირობას არც იმპერატორს შეარჩენდით ვაგლახად!

მე მოვყვები ძველ კორზოს... რამდენი სისხლი დანთხეულა აქ საუკუნეთა განმავლობაში... აქავე ყოფილ ვია ლატათი და მისს გარშემო მდებარე მარსის მინდვრებით შემოდიოდნენ ჩრდილოეთიდან დაბრუნებული ლეგიონები ნადავლით და ნაცარცვით დატვირთულნი.

კიდევ ერთი სურათი სდგება ჩემს ხსოვნაში. ქარიშხალიან ღამეში მოჰქროდა ამ გზაზე ორიოდე მხედრის სილუეტი... ერთი მათგანი გახლდათ სიკვდილით დაშინებული კეისარი ნერონი. მერე პაონის სახლში ტრაღი-კომიკური სურათი: ის ვინც ასიათასთა სიკვდილს გულ აუთროლებლად უყურებდა ნააზატებს ეხვეწება, რომ გულში მახვილი ჩასცეს...

კეისარი და ჯამბაზი, ჯამბაზი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის უკანასკნელ სიტყვებს უმატებს თავის მსოფლიო ისტორიულ ანგარიშებს: „ქუალის არტიფექს მორიორ“.

კიდევ რამდენი სისხლი დაქცეულა ამ მიდამოებში ანტიკიდან რენესანსამდის!

ჩემი გონების თვალწინ მიმოდიან ბარბაროსი გერმანთა ბრბოები, ფრიდრიხ ბარბაროსის გერმანელი ლანდსკნეხტები; ცეცხლს უნთებენ სასახლეებსა და ტაძრებს რობერტ გუისკარდის ველური ჯარები, თვალსა და ხსოვნას ელანდება სისხლის ღვარი, ცხედრები, ცხედრები და კიდევ ცხედრები. ომები, ბრძოლები უფლებისათვის, სარწმუნოებისათვის, კეისარის გვირგვინისათვის და პაპის წმინდა ტახტისათვის.

განა მარტო სისხლის ღვრა ახსოვს კორზოს.. აქ იმართებოდა ძველი რომაელთა საყვარელი კარნავალები, ჭაბუკნი და ქალწულნი ვით მტევნებით შუბლ დამშვენებული მენადები და ბაკხანტები მოეფინებოდნენ ქუჩებს სიყვარულითა და ღვინით მთვრალნი, წრეს გადასულნი და აღტყინებულნი. დაუსრულებელი წყებები ნიღაბოსანთა. დისკოს სროლა და მარუსა.. შემოღამდება და კორზოს მოედება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩირაღდნები, ყვითელი ჩირაღდნების სინათლე და გრძელი, გრძელი შავი ლანდები და მხიარული ყიჟინა.

„სია ამმაცატო“ ..

სადღა არიან მოცეკვავე მენადები, სადღა არიან კარნევალ გადახდილი რომაელი ქალწულები და ჭაბუკები! კვლავ მაგონდება ოდისეის „მკვდრების სამყარო“, „ვანიტას კანიტატუტუმ“.

საღამოს ათი საათის შემდეგ აქ ღამის კოკოტკები დასეირნობენ და ყოველ გამვლელს აბეზარის ტიკტიკით ეკვიატებიან.

კორზოს გზით შეხვდებით ძველის-ძველ ეკლესიას: „სან ლიბენცო ინ ლუჩინა“-ს საუცხოვო რომაული სტილის სამრეკლოთი, კარის პჭეებს ორი მარმალილოს ლომი სდარაჯობს.

აჰა მოსჩანს „პიაცა კოლლონა“. აქ არის ცენტრი დღევანდელი ახალი რომის. კარეტები, დეკოლტეიანი ქალები, ელეგანტური კავალრები, ეტლები, ავტომობილები. რომში თვით პატრიციის ქალებიც გამოცვლილან, ახალი პატრიციელები ავტომობილებით დასეირნობენ იქ სადაც ძველ პატრიციებს ტახტრევანით ატარებდნენ აფრიკელები. ცნობილ ტროიანის სვეტზე გვირგვინოსანი წმინდა პეტრე აღმართულა, ეს ბრინჯაოს მოციქული. სვეტის გარშემო ეხლაც თვალსაჩინოა ეპიზოდები ტროიანის ცხოვრებიდან. მისი ნადირობანი, მისი ტრიუმფები, მისი სიქველე და დიდება, მთელი საუკუნის ცხოვრების სურათები გადაგეშლებათ თვალწინ.

პიაცა კოლლონას მარჯვნით მთელი ისტორიული ლაბირინტია, აქ მგზავრმა კარგად უნდა განიახლოს თავისი ისტორიული ტრადიცია, რამოდენიმე ნაბიჯზე მოსჩანს ნეფტუნის ტაძრის ულამაზესი ფასადი... მარცხნით ძველი ღმერთის სამახსოვრო ძეგლია: „ფონტანა ტრევი“. ამ შადრევანის ცენტრში მოსჩანს ლოკოკინას ეტლში თვით მისი უდიდებულესობა ღმერთი ოკეანის, მას გარს ახვევია ნიქსები და ტრიტონები. იფრქვევა ანკარა წყალი, რომლითაც ძველ რომაელებსაც კი ეგზომ მოჰქონდათ თავი. ჩემი გვიდი (გზის მაჩვენებელი) მიამბობს, რომ ამ შადრევანის აუზში უთუოდ უნდა ჩააგდო ერთი ჩენტეზიმა (ფულის ნიშანია იტალ.) თორემ რომში მეორეჯერ ველარ მოხვალო. თურმე იმ ფულებს, რომელსაც მგზავრები შესწირავენ ხოლმე ღმერთს ოკეანოსს, ნუ იტყვით აუზის ამომწმენდელები ჩაიდებენ ჯიბეში. ეს ასე ყოფილა მუდამ, რასაც მორწმუნენი ღმერთებს სწირავენ, იგი ღვთის მსახურთა ხვედრია მუდამ.

კორზოდან პატარა შუკით წამიყვანა ჩემმა გვიდმა წნ. იგნაციოს (იგნაციუს ლოიოდას) ეკლესიაში. კედელზე საუცხოვო ფრესკი გვაჩვენებს იგნაციუს ლოიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას, რომელიც ტრიუმფით შედის სამოთხეში. პატარა ნიშს ქვეშ ვნახეთ ლოიოლას ოქროს კუბო.

ლოიოლას ეკლესიიდან რომ გამოვედით, გვიდის უნდოდა იეზიუტების რეზიდენციაში წავეყვანე, მაგრამ მე დაჟინებით მოვითხოვე, რომ „პიაცა ვენეციაზე“ (ვენეციის მოედანი) გავსულიყავით.

ესეც პიაცა ვენეცია თავისი დიდებული სასახლეებით. მარჯვნით მიჩვენებს იგი ავსტრიის ყოფილ საელჩოს, რომელიც ახლა ისევ იტალიის სამეფომ მიითვისა.

პირდაპირ მოსჩანს ვიქტორ ემანუელ II-ს ძეგლი, მოხუცი მეფე ცხენზე.. ძეგლი მოოქრული ბრინჯაოთია გაკეთებული. მთელი ძეგლი გადაჭარბებული აღმაფრენის ილიუსტრაციაა. ძეგლის პიედესტალი და გარემო დამშვენებულია საუცხოვო ახალი მოზაიკით. თუმცა გაბრიელე დანუნციომ იწინასწარმეტყველა: „ამ ძეგლის აშენებამდის ანგელოზების პოზაუენი წარღვნას გვამცნობსო“, მაგრამ ძეგლი როგორც ჩანს მალე დასრულდება, თუმცა ღვთის წინაშე არც ქვეყნის და კერძოთ ევროპის წარღვნაც არ უნდა იყოს მაინც და მაინც შორს.

მე განზე ვტოვებ არაკელის ეკლესიას, რომელიც ცნობილია თავისი ციდან ჩამოვარდნილი ხის დედოფალათი ბაებინო სანტო.

ვერც კი მოვასწარი კაპიტოლიისაკენ ამავალი კიბის დათავება, მარცხნით თვალი მოჰხვდა ორ პატარა გვირაბებში მომწყვდეულ ძუ მგელს, ეს გახლავთ მემკვიდრე იმ მგლისა, რომელიც თანახმად ძველი ლეგენდისა რომულსა და რემას ძუძუს აწოვებდა. ამ ომიანობის დროს ისე დამშეულა ეს საცოდავი პირუტყვი, რომ არა მგონია მან ნაყოფიერი ძუძუს წოვება აწიც შეიძლოს. იქვე უშველებელ გალიაში მომწყვდეულია ორი არწივი, ცოცხალი ღერბი ძველი რომის საკეისროსი.

აჰა კაპიტოლიც. წინ შემომეგება ბრინჯაოს ცხენოსანი ანტიკურ ქვეყნიდან მომავალი და ეს მას ზედ ეტყობა, მოშვებული წვერი, მთელი მისი მშვიდი, წყნარი, ნაზი და კეთილშობილი სახე ანტიკურის სისადავითაა აღსავსე, იგი თითქოს გულ-გამთბარის ღიმილით ეგებება მგზავრს, კაპიტოლის კიბიდან ამოსულს, მარჯვენა ხელით იგი უჩვენებს მარჯვნითვე მდგარ კაპიტოლიის მუზეუმისაკენ პატერ პატრია — მარკუს აურელიუს!“

ხომ ძლიერ ვიწროა და პატარა თანამედროვე მასშტაბით კაპიტოლის მოედანი, მაგრამ რამდენ რამეს ეუბნება იგი მგზავრის გულს! დაუნჯებული და გულ-ჩათხრობილი გამოიყურება კაპიტოლი, კარ-ჩაკეტილი და პირ-მოქუშული დგას სენატორების დარბაზი მრავალ საუკუნეთა ქარიშხალის გადამტანელი, სე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნატორების სასახლეს ამშვენებს მიქელ ანჯელოს მიერ აშენებულ მოაჯირებითა და კიბეთი. იქვე შადრევანები ნილოსისა და ტიბრის ძეგლები სდარაჯობენ მათ, რომ წყალი არ გაიფანტოს. მოდერნულ ადამიანს ვერც კი გაუგია ძველ რომაელთა უზომო სიყვარული და მიდრეკილება წყლისადმი, ნილოსი და ტიბრი, ეს ორი ძუძუ ორი დიდი ერისა და კულტურის გამზრდელი და მასაზრდოვებელი!

მარცხნით და მარჯვნით ორი მშვენიერი რენესანსის დროის სრა-სასახლეები: მარჯვნივ კონსერვატორთა სასახლე, მარცხნით კაპიტოლის მუზეუმი.

პინაკ-ტეკის მეორე სართულში თვალი მოვჰკარი რუბენსის „რომულუს და რემუს"-ს. იქვე გვიდო რენის მშვენიერი სენტ სებასტიან.

კაპიტოლიის მუზეუმში სადარბაზო ბარათი უნდა შეუგზავნო ქალბატონ ვენერას, მისი თეთრი მშვენება, მისი ტკბილი თვალთ-შადრევანი ნექტარივით ტკბილია.

იქვე პერსეპინე: მინდა მარადის მთვრალი ვიყო მე შენის ეშხით, მინდა მარადის შენს თეთრ ხელებს მხვევდე კისერზე.

აქ მინდა ცოტა შევჩერდე, რადგან ვენერაზე დასვენებული თვალის სხვა საგანზე გადატანა უხერხულია. აქ სიტყვა ფრთას კეცავს, გულში სისხლის ტალღის ხმაური ისმის. სიტყვას ბანზე ავაგდებ, მკითხველო, რაკი ჯერ კიდევ კაპიტოლის მუზეუმში ვართ მე და ჩემი გვიდი, (რომელიც სხვათა შორის ხელს მიშლის გულდამჯდარ და აუჩქარებელ ჭვრეტისა და ტკბობის დროს, თავისი უგუნური შენიშვნებით და კომენტარიებით, რადგანაც გვიდის ჰგონია ყოველი უცხოელი მასავით პროფანია ისტორიაში).

ანტიკური მუზეუმი და საერთოდ ყოველი მუზეუმი, როგორც მრავალი სხვა თანამედროვე კულტურული ინსტიტუტი არა ბუნებრივი კომბინაციაა. ის რაც მთელ ერს, მთელ თაობას, მთელ საუკუნეს შეუქმნია ხშირად ერთ სახლშია დანომრილი და დალაგებული. ჩვენი ცივილიზაციის წყევლა გახლავთ ეს საშინელი დანომრვა ყველაფრისა და პუნქტუალური სისტემატიზაცია. შეიძლება ეს ყაზარმაში კარგი იყოს, მაგრამ ესთეთიური ჭვრეტისა და ტკბობის ობიექტების საკვირაოთ გამომცხვარ თორნის პურებივით ცოტა უხერხულია.

აქ თვალი და გულის ყური იფანტება, გონების ერთ საგანზე კონცენტრაცია, ერთი საგნის მრავალთაგან გამოთიშვა და გულ დასმული ანალიზი ძნელია. ქუცმაცდება ყურადღება, ნაწილდება ინტერესი და დაკვირების ჯამიც ცალმხრივი ხდება. ანტიკურ ქვეყანაში თუმცა სამუზეუმო ბევრი არა ჰქონდათ რა, (რადგანაც ანტიკური ქვეყანა მარტო თავის თავს იცნობდა და თავის კულტურას აფასებდა მხოლოდ). რომაელები მაინც არ იცნობდენ ჩვენებურ დანომრილ მუზეუმებსა და საწყობების მზგავს ხელოვნების სალაროებს. ბერძნული კულტურისა და ხელოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების საუნჯენი პატრიციების სასახლეებში იყო განაწილებული. დასდგით ვენერა ერთ დარბაზში, დარჩით მასთან მარტო, დეე თვალსა და გულის ყურს ნუ უშლიან სატირები და დემოვნები, ვაზები და ბიუსტები, თქვენ გაცილებით უკეთ დასტკბებით მისის მშვენებით, რადგან ესთეთიური ჭვრეტისათვის მთავარი პირობაა მჭვრეტელისა და ჭვრეტის ობიექტის პირის პირ ყოფნა, ერთ გვარი ორთა მარტო ყოფნა.

პირველ სართულში თქვენ ნახავთ საუკეთესო რომაულ სარკ-ფაგებს; აქ ბრძოლაა რომაელთა, ამაზონელთა და ბერძენთა, პრომეთეოს კაცის ქმნად განმზადილი, იქვე მენადები და ნიმფები ყრმა ღვინის ღმერთს უძიძავებენ პირველ სართულში ნამდვილი მასკარადია ანტიკური რომისა. ღმერთები, გმირები და კეისრები, ფილოსოფოსები და სატირები. ლოთი სილენი ყურძნის წვენით ითრობა, იქვე დიონისე, პატრიარქალური წვერებით. მშვენიერ ჭაბუკს ქალწულის ნაზი თავი გადაუხრია და როგორც სილენი ყურძნის მტევანს, ნეტარებით თვალ დახუჭული ტუჩებს უწუწვნის თავის მშვენიერ ნახევარს. ეს გახლავთ ტკბილად შეყვარებულნი ამორ და პსიქე.

გაშორდებით იმ ხეივანს, სადაც შეყვარებული ამორ და პსიქე ერთი მეორეს გადაჰხვევიან და თქვენ შეეფეთებით მომაკვდავ გალიელს. მას წყლულიდან სისხლი მოსდის, მაგრამ პირდაპირ რო შეხედავთ თქვენ წარბ შეუხრელ, თავ ჩაქინდრულ ვაჟკაცს, დაღრეჯილობას ვერ შეამჩნევთ, ეს გახლავთ ბარბაროსი ერის ფოლადის ნების ყოფის განხორციელება, მაგრამ დაცუცქდით მომაკვდავის წინ, ახედეთ ზევით მის მოზნექილ თავს და პირის სახეს და სურათი იცვლება. ვაგლახ ხორციელ ტკივილს თავი უჩენია, დაჭრილი გალიელის სახე და ტუჩის კუთხეები ტკივილს ოდნავ დაულმეჭია.

და სწორედ კაპიტოლის მუზეუმში უნებურად თვალსაჩინო ხდება ბერძენთა და რომაელთა შორის არსებული განსხვავება. რომაელი მწერლებიც კი აღნიშნავენ, რომ რომაელები მდევივით მოსული ვაჟკაცები იყვნენ. ასე რომ ერთი რომაელი ათას ბერძენში ისე განირჩეოდა, როგორც მუხა თხემლნარში. ხელოვნებაშიაც რომაელი ძალზე პათეთიურია, გადაჭარბებისა და განდიდების მოყვარული.

ხოლო ბერძენი ბრძნულად იტყოდა: „არც ზედმეტი, არც ნაკლები“. ეს ჰარმონიული ზომიერება, ეს სიმეტრია, რომელიც ყველა ერებში ბერძნებს ჰქონდათ უკეთ შეგნებული, ყოველ ბერძნულ ქმნილებას ზედ ეტყობა. კაპიტოლში მრავალი ძეგლია უსახელო ხელოვანთა, როგორც ბერძენთა ისე რომაელთა ხელით გაკეთებული. გამოცდილი თვალი უწარწეროდაც გაარჩევს ბერძნის ოსტატის ნამუშევარს რომაელის ეპიგანურ ხელისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯვნით გაუხვიეთ გრძელ დარბაზისაკენ აქ მთელი პარადია ბერძენთა და რომაელთა მეფეების, სახელმწიფო მოღვაწეების, პოეტების, ფილოსოფოსების.

შეადარეთ კარაკალას, ან რომელიმე სენატორის ჭკვიანი თავი, პერიკლესს ან დემოსთენესს. რომაელი მკაცრი, შუბლ შეკრული დესპოტი, სჯულის მდებელი, ყოველი ძარღვი, ყოველი ნაოჭი მისი სახისა გამომდგარ ხასიათს მოასწავებს

ბერძნის სახეს სათნოების, სიყვარულის, შუბლ გახსნილობის იერი ატყვია. თვალი ესალმება პლატონს, სოკრატესს, დემოსთენესს, დიოგენესს, სკიპიო აფრიკანს, კატონს და კეისრების მთელ პლეიადას. მომზენისა და რანკეს ორჯერ გადაკითხვას ვგონებ ამ ტიპების გალერეის ერთხელ თვალის გადავლება სჯობია.

ჩავიდეთ კაპიტოლის მოედნიდან ფორუმ რომანუმში, რომელიც ოციოდე მეტრზე დაბლა იმყოფება.

გული მოგიკვდება ადამიანს ამ დიდებული და სამწუხარო სანახაობის შეხედვაზე. დამსხვრეული და განადგურებული ფორუმ რომანუმ ..

ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო!

დიდი სასაფლაო დიდისა და ძლიერი ერისა!

აჰა აქ იყო ბრწყინვალე რომის ბრწყინვალე ფორუმ, ბრწყინვალე კეისართა დიდებული რომი, თავისი თეთრი მარმალილოს ტაძრებით, მარმალილოსავ სვეტების ხეივანითა და ტიტანიური ამფითეატრებით ამაყი მაუზალეებით, ნებიერ აბანოებითა, წალკოტებით აღსავსე ჯადოსნური ლაბირინთი.

ასე იყო, ასე ყოფილა ოდესმე და დღეს? სადღაა მარმალილოს ტაძრები და პიედესტალები, სადღა არიან ძეგლები და ტრიუმფატორთა ამაყი არკები, რომელთა ქვეშ ცეზარები გაივლიდენ ხოლმე ბრძოლაში ძლევა მოსილნი, და ხსოვნაში იელვებს ფეხშიშველა ზანგის სილუეტი ერთ ერთ ტრიუმფატორ ცეზარს რომ მისდევდა ყვირილით: „კეისარო, გახსოვდეს, რომ ადამიანი ხარ შენც“.

მტვერი უხმობს მტვერს, მაგონდება შელლის ელეგიური ლექსი, მტვერი ფარავს მტვერს, მტვერი ეყრება ყველაფერს რაც კი მოკვდება, ყველაფერს რაც ჩვენ მოგვწონს, რითაც ჩვენ ვამაყობთ, ყველაფერს მტვერი ეყრება, ყველაფერს რაც ჩვენ გვიყვარს, რითაც ჩვენ თავი მოგვწონს და ჩვენც მტვერი დაგვეყრება.

ჰაუ, შენც მტვერს შეუმოსავხარ ამაყო, და უძლეველო, შენც მარადიულო რომო!

გადახედეთ კაპიტოლისგან ფორუმისკენ მიმავალ შუკიდან ამ დიდ პანორამას, დიდს კი არა, უდიდესს პანორამას დედა-მიწის ზურგზე – და დაინახავთ, რომ სიკვდილი და განადგურება მარტო ინდივიდუალური ხვედრი როდია, არამედ თვით ერებსაც, უძლეველ ერებსაც სიკვდილი ერევა. ამაზე ვიმოწმებ ამ საცოდავათ ჩამონგრეულ, პირ ჩამომტირალ სვეტებს და არკებს, და მთელს ქვეყანაზე უუდიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბულესს ქვის მოწმეს კოლოსსეუმს, რომელიც ფორუმ რომანუმის გვერდით ახლაც ანცვიფრებს მნახველის თვალს თავისი დიდებულებითა და სიდიდით.

აგერ ნაშთი სეპტიმუს სეველუსის ტრიუმფის რკალისა, იქვე კონკორდია — ტაძარი, სადაც ციცერო ოდესმე სჭექდა კატილინას მამხილებელი. იქვე დიდებული სატურნის ტაძარი.

ყველა სად ჩამოვთვალო, მკითხველო, მაგრამ კასტორისა და პოლუქსის ტაძარს მოვიხსენიებ, და ბოლოს ვესცას ტაძარიც არ დაგვავიწყდეს. ნუ დავივიწყებთ აგრეთვე ძვირფას ნანგრევებს ანტონიუსის, კონსტანტინეს, რომუსისა და ვენერის ტაძრებისას.

იქვეა საყურადღებო ფორუმ ტროიანუმ, თვალწარმტაცი ბაზილიკა და მაღალი გამარჯვების კოლონა!

თვალი უნებურად დაეძებს კიდევ მინერვას ტაძარსა და მინერვას ფორუმს.

მაგრამ ყველაზე უფრო ტრაღიკულ შთაბეჭდილებას სტოვებს პალატინი.

რამდენიმეჯერმე მთვარიან ღამეებში ვეწვიე ფორუმ რომანუმს.

მე მგონია, რომ გაძარცული და დანგრეული ღმერთების საკურთხეველი არ სტოვებს ისეთ ღრმა შთაბეჭდილებას, როგორც განადგურებული კაცთ-სამყოფელი. ჩემ სიცოცხლეში არ დამავიწყდება ის ღამე, ფორუმ რომანუმიდან რომ გავცქეროდი თვალებ გამობნელებულ კეისრების დაცარიელებულ სასახლეს — პალატინს. ჭეშმარიტად დევების საბუდარს ჰგავს ეს დიდებული პალატი! პალატინის სერი, რა ღრმა მნიშვნელობა იფარება ამ სიტყვაში. აქ გაიკვანძა რომის დიდი ისტორია, აქ სადღაც წარმოშვეს და ძუძუ აწოვეს ფაუსტულუსმა და ძუ მგელმა უკვდავ ტყუპებს: რომულუს და რემუსს. აქ აუშენა გადარეულმა კალიგულამ თავის საყვარელ ცხენებს საუცხოო ტაძარი. ახლა ცხენების კი არა, იმპერატორების სამლოცველოდანაც მხოლოდ საცოდავად დაღრღნილი კედლები ღა დარჩენილა.

აქვე გახლავთ ნეშთები დომუს აუგუსტულა ფლაკიადან. ვის არ სმენია მისი დარბაზების სიმდიდრე, საუცხოო შარავანდედების ჟღურტული საუკუნეების განმავლობაში ახლა აქ ფეხმარდი ხვლიკი გადაურბენს პალატინის ლაბრინითებში მოხეტიალე მგზავრს თვალწინ.

ორი-სამი საათი არ კმარა, რომ პალატინის უზარმაზარი დარბაზები, ხვრელები, გვირაბები, აუზები, აბანოები დაათვალიერო. სადღა არიან ცეზარები, მათი მონები, მათი ჯარის კაცები და კარის პოეტები, მათი საყვარელი ცხენები და მათი კურტიზანები! დიდება და უკვდავება შენს ნათელ სულს, ჩვენო რუსთველო, რომ ქართველ კაცს ყველაზე ადრე შენ მოუჭრი ხოლმე სიტყვას ასეთ შემთხვევაში: „ბოლოს შეჰყაროს მიწამან ერთად მოყმე და მცხოვანი“. მარტოდ მარტო დავხეტიალობ ამ უზარმაზარ სასახლეებში, მარტო დავსეირნობ იქ, სადაც საუკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეების განმავლობაში ცეზარები ცხოვრობდნენ და ნებივრობდენ. რაღაც უნებური შიში მივის გულს: თავს არ ჩამომექცეს ეს უზარმაზარი გუმბათები და კედლები!..

აქ ჰაერი შეხუთულია, აქ საუკუნოების მტვერი ჩადის ფილტვებში, აქ საუკუნოები მაწევს გულზე.

გაიხედეთ პალატინიდან მარცხნით: აჰა კოლოსსეუა. ძველი ლათინური ლექსი მაგონდება:

ვიდრემდის კოლოსეუმი სდგას,
რომიც ფეხზე სდგას.
როცა კოლოსეუმი წაიქცევა,
რომიც დაიქცევა.

აქვე იყო ერთ დროს ნერონის ოქროს სასახლე დიდებული მარმალილოს ხეივანითა, ბაღებით, წალკოტებით და აბანოებით. სწორედ აქაა აღმართული ფლავიუსის ამფითეატრი

შორი ახლოს მდებარებს და მოსჩანს ახლაც ნერონის კოშკი, რომლიდანაც იგი დემონიურის ხარხარით გადასცქეროდა ცეცხლში გახვეულ რომს.

აქ კიდევ ელანდება თვალს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის სანახაობა, ამ გაჩანაგებულ კოლოსეუმის უზარმაზარ ამფითეატრში ახლაც კარგად მოსჩანს თხრილით შემოქარგული არენა, სადაც მხეცებსა და გლადიატორებს სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა უწარმოებიათ ამ ორი ეგზემპლიარის შებმა მართლაც საინტერესო უნდა ყოფილიყო. მხეცი და ადამიანი! ათიათას თავიანი ბრბო უყურებს ამ სანახაობას. ცეზარები და მათი მეტრესები, მონები და პატრიციები, პოეტები და ფილოსოფოსები ძველი რომისა, ყველანი აქ არიან...

განწირული გლადიატორები და სისხლმოწყურებული მხეცები და არა ნაკლებ სისხლმოწყურებული ბრბო ყიჟინებს ისტერიულად: „მოჰკალი, მოჰკალი!“

დღეს, 1920 წ. კოლოსეუმი განადგურებულია, არსად არიან ცეზარები, არც გლადიატორები და არც რომის სანახაობაზე ხარბი ბრბო, მაგრამ განა დღეს „კულტურულ ადამიანების“ პირიდან ყოველ ღღე არ გვესმის ბარბაროსული ყიჟინა: „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე“!

ვინაიდან „ბოროტი ცხოველი“ დღეს ისევე ცოცხალია ადამიანის არსებაში როგორც ნერონისა და ქრისტეს დროს.

ესეც უკანასკნელი პანორამა წარმართული რომისა. ვიდრე ქრისტიანულ რომზე რამეს ვიტყოდეთ, აქ მინდა რაფაელ სტანციდან ერთი სურათი მოვიგონო და ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი ისევე დაუვიწყარი დარჩება ჩემს ხსოვნაში, როგორც სხვა მრავალი, ძვირ-ხელით ქმნილი.

ვრცელი, ვრცელი პერსპექტივა... ნაზარეველი ჯვარზე გაკრული. ნაზარეველი მაღალ, მაღალ ჯვარზე გართხმული და იქვე მის პირდაპირ მინერვას კერპი ნაკუწ-ნაკუწად დამსხვრეული.

გამხდარი, ფერ მიბნედილი, გაწამებული ნაზარეველის სახე და ტანი, ხოლო შიშველი კერპის ტანის ნამსხვრევებს თეთრი ნათელი ზედ დაკამკამებს. მშვენების ცთუნება ყოველ ნაწილს მოტეხილ თავსა და ხელ-ფეხს კიდევ შერჩენია და კაცსა ჰგონია კერპის სახეზე კიდევ დარჩენილა მშვენიერი ცთუნების ფერი. აჰა სიმბოლო ორი რელიგიის, ორი კულტურის დაჯახებისა იმ მსოფლიო ისტორიულ ასპარეზზე, რომელსაც „ეტერნარომას“ უწოდებენ.

ფორუმ რომანუმიდან მობრუნებულს წმ. პეტრეს ეკლესიაში მინდოდა წასვლა, მაგრამ ჩემი გვიდი არ მომეშვა ერთი რამ ისეთი უნდა გაჩვენო, რაც „ბედეკერშიაც“ კი არ სწერიაო.

ეს გახლდათ კაპუცინერ ბერების ერთი უმნიშვნელო ეკლესია. მე გამობრუნებას ვაპირობდი, გვიდიმ ხელი მომკიდა, გამატარა ეკლესიის კულისებში და ძირს ეკლესიის სარდაფში ჩამიყვანა.

უშველებელი გრძელი სარდაფი, რომელშიაც ცხენი გაჭენდება თამამად, საშინელი სანახაობა თვალწინ წარმომიდგა. კედლებთან დახერხილ შეშასავით ეწყო ადამიანების ძვლები, ხელები, მკლავები, თავები, ფეხები კოხტად ერთი მეორეზე დალაგებული და დაწყობილი. ყოველ გროვას აქეთ-იქით უდგა შავებში გამოწყობილი ადამიანის ჩონჩხები შავი ხის ჯვარით ხელში

გვიდიმ განმარტა: აქ სარდაფში დამარხულა საუკუნეთა განმავლობაში 25 ათასი კაპუცინერი მათი ძვლები შემდეგ ამოუღიათ და დაულაგებიათ, ხოლო ეს შავად გამოწყობილი შავ ჯვარიანი ჩონჩხები მათი წინამძღვარნი ყოფილან.

მე გულ არეული გამოვბრუნდი და ამოსავალ კარებისაკენ გავეშურე, ჩემი გვიდი კი მეფისტოფელივით ხარხარებდა და გარბოდა სარდაფიდან. აი წმინდა, ქრისტიანული ჟანრის სურათი.

კმარა სატირებზე, ბაქხანტებზე, კერპთაყვანისმცემელ იმპერატორებზე. ახლა მოგითხრობთ ქრისტიანულ მარტვილობაზე, პაპებზე და წმინდანებზე.

დავბრუნდეთ ისევ პიაცა ვენეციასკენ.

მოკლე ხნით ვესტუმრე მარია სოპრას ეკლესიას, სადაც მიქელ ანჯელოს ჯვარ-მტვირთველი ნაზარეველი მეგულებოდა, იქვე ახლოს იმყოფება ერთი მონასტერი, სადაც გალილეის „მაინც ბრუნავს, მაინც ბრუნავს“ გაისმა ოდესმე. ვესტუმრე ლატერანის ეკლესიას, სადაც წმ. რომის იმპერიის გერმანელი კეისარები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკურთხებოდენ თავის დროს, აქვე პირდაპირ მარმალილოს კიბე, რომელიც წმ ჰელენას უნდა მოეტანოს იერუსალიმიდან, ვნახე რამოდენიმე ასეული მონაზონი ლოცვითა და ჩოქვით რო ადიოდენ იმ კიბეზე, რომელზედაც ნაზარეველი აიყვანეს პილატეს მართლ-მსაჯულების წინაშე წარსადგომად.

ლატერანის ეკლესიას დაუბრუნდეთ ისევ. შესანიშნავია კაპელა კორსინი, ჭერზე თვალთ-წარმტაცი მედიჩების ღერბით. შესავალთან ძვირფასი მოზაიკა კარდინალ კორსინისა

კედელში ჩასმული ბიუსტი პაპა კლემენს მე XII-ესი. აქვე ვნახე „პიეტა“ ბერნინისა, რომელიც ჩემის აზრით არაფრით ჩამოუვარდება ახალგაზრდა მიქელ ანჯელოს „პიეტას“ სან პიეტროში. აქ ქრისტეს მკრთალი მარმალილოსაგან გამოთლილი სახე ისე ნაზად დაყრდნობილია ღვთისმშობლის მხარზე, რომ განაწამები შვილის ჩივილი დამწუხრებული დედისადმი ამაზე უფრო ნაზად ვერც კი გამოითქმება.

ლატერანის „ქორ კაპელე“-ში ვნახე ის მარმალილოს სკამი, რომელზედაც ლატერანში ნაკურთხი პაპები სხდებოდენ კურთხევის დროს. ჭერზე ბურბანების ღერბი: მიწის მორგვი, კვიპაროზი და ცთომილი „ქორ კაპელეს“ მარჯვნით თანამედროვე მოქანდაკის — ლეო მესამე პაპა და ერთი მადონა. ლაცერანიდან გზაში ერთ მოედანზე, რომლის სახელი ახლა არ მახსოვს, თვალი მოვკარი უზარმაზარ ეგვიპტურ სვეტს, რომელსაც კლეოპატრას ქინძისთავს ეძახიან.

მაგრამ ყველაზე დიდს სიხარულს ჩემს გულში წმინდა პეტრეს ნახვის სურვილი იწვევს.

გზა ტიბრის გაღმა მიდის. როგორ შვენის მარადიულ ტიბრს ქვისა და ბეტონის კალაპოტში მომწყვდევა. ტიბრის ხიდიდან მგზავრი უნებურად თვალს მოჰკრავს მარჯვნით აღმართულ ციხე-დარბაზს, რომელზედაც ბრინჯაოს მთავარანგელოზი ქარქაშში აგებს თავის ხმალს. ეს გახლავთ ანგელოზის ციხე. რამდენ პაპას ჩაუკეტია ამ ციხეში თავი, როცა რომს გერმანიის იმპერატორების ლანდსკნეხტები ან და სხვა ბარბაროსი ერები შემოესეოდენ.

ვიწრო შუკით გამოვედი ანგელოსის ციხიდან წმინდა პეტრეს ეკლესიის მოედანზე.

თუ წარმართული რომის მთელს დიდებას კაპიტოლთან და ფორუმ რომანუმის ნანგრევებზე შეიტყობ, წმ. პეტრეს ეკლესია ერთი უდიდესი მონუმენტთაგნია არა მარტო რომის, არამედ მთელი ქვეყნის ქრისტიანული კულტურისა.

როგორც კი თვალი მოვკარი ამ დიდებულ სანახაობას, სრულიად ჩემდა უნებურად ქედი მოიხრია. საღამო იყო, ეკლესიის ზარები მელანქოლიურად ჟღარუნებდენ — მოედნის შუაში კიდევ კოლლონა და მარჯვნითა და მარცხნით ბერნინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლონადა, რომელზედაც ურიცხვი წმინდანების ქანდაკებები სდგანან წყება-წყებათ, ეს წმინდანები მოედნის დასაწყისიდან პეტრეს ეკლესიამდე ჩაუმწკრივებია ბერნინის. ეს ნამდვილი წმინდანთა პარადი, წმ. პეტრეს უდიდებულესობის წინაშე.

ღია დამხვდა შესანიშნავი ბრინჯაოს კარი ეკლესიისა, რომელზედაც ათასნაირი ალეგორიული რელიეფებია, (თვით ლედა და გედიც აქ მოხვდება თვალს).

ამ დიდებულ ღმერთის სასახლეს რომ უყურებ, გულში უნებურად ვფიქრობ: აქ ნაზარეველი კი არა, აქ ზეესი ბრძანდება, აქ გოლგოთა როდია, არამედ ოლიმპიის ღმერთების სამყოფელი ტიტანიური გუმბათები, სვეტები, ნიშები, გვერდის კაპელები, მოზაიკა, ფრესკები, ოქრო და ბრინჯაო, ძვირფასი ქვები, ამარტი და სათი, ბროლი და ლალი, პურპური და საკმევლის სუნი იფრქვევა ყველგან.

შესვლის უმალ ჩემს ყურადღებას იქცევს მარცხნით უშველებელ მერანზე მჯდომი იმპერატორი კარლოს დიდი. კიდევ ერთი ნაბიჯი ეკლესიის სილრმეში და იქვე წრე შემოვლებული მოზაიკის რგოლი, ადგილი სადაც **800** წელს შობა დღეს კარლოს დიდმა მუხლი მოიყარა და ლეო მესამემ იმპერატორის გვირგვინი დაადგა თავს მოულოდნელად. რამდენი ქერა გერმანელი კეისარი დაჩოქილა აქ საუკუნოების განმავლობაში, რამდენი სისხლი დაულვრიათ ხალხებს იმისთვის, რომ ამ კეისრებს ამ ადგილას მოელწიათ და პაპის ხელით დაგვირგვინებულ ყოფილიყვნენ. ჰოი კომედიავ მსოფლიო ისტორიისავ!

მარცხნით პატარა კაპელადან კიბე ჩადის, ამ კიბით ჩავედი და მოვინახულე გერმანიის იმპერატორის ოტტო მესამეს უშველებელი სარკოფაგი. მარჯვნით პირველ კაპელაში მიქელ ანჯელოს ცნობილი „პიეტა“, რომელიც **25** წლის მაესტროს ხელითაა მარმალილოსაგან გამოქნილი.

შუა ადგილზე უშველებელი სიმაღლიდან ჩანჩქერივით იფრქვევა სხივი, მაღალი გუმბათიდან ჩამომჩქეფარე. ძირს შავი, ბრინჯაოს ქანდაკება წმ. პეტრესი, რომლის ცალი, თითქოს განგებ წინ გამოშვერილი ფეხის ფჩხილები ათი-ათასთა ბაგეთა ამბორისაგან გაცვეთილ-გათეთრებულია.

კედლებთან გამწკრივებულია პაპების სარკოფაგები, ყველა მარმალილოსაგნაა გამოკვეთილი.

ისტორიის მოყვარული დიდ ხანს გაჩერდება მარჯვნით, კედელზე მარმალილოს რელიეფის წინაშე. პაპა გრეგორ მეშვიდე, დგას წელ-გამართული, მის უკან მშვენიერი გრაფის ცოლი მატილდა, რომელიც კმაყოფილი თვალებით უყურებს, თუ როგორ კოცნის გერმანიის იმპერატორი ჰაინრიხ მეოთხე თავის საყვარელს შიშველ ფეხზე მეორე ადგილას:

გრეგორ მეშვიდეს სარკოფაგზე მშვენიერი მატილდა და წმ. პეტრეს ეკლესიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაღებს იხუტებს თავის მშვენიერ ძუძუებზე—წარწერა მეტყველობს: „წმ. ტახტის გზის გამკვლევი“.

აქვე ნახავთ ურბან მეშვიდე პაპას, გალილეის მოსისხარ მტერს და მიქელ ანჯელოს პროტექტორსა და მფარველს.

ამით არ თავდება წმ. პეტრეს ეკლესიის სასწავლებლის აწერა, მაგრამ მე მეჩქარება ვატიკანში. აქაც იგივე თითქმის რაც წმინდა პეტრეს ტაძარზე. ყველგან გენიის ხელი, ყველგან დაუფასებული საუნჯენი ხელოვნებისა.

ამ საგნებზე თამამად ლაპარაკი თავხედობაა, თვით უდიდესს მწერალსა და მხატვარს სიტყვა და ფერადი არ ეყოფა იმ შთაბეჭდილების ნამცეციც რომ გადასცეს სხვას, რასაც მიიღებს აქ დაკვირებული თვალი და ხელოვნების მოყვარული გული. აქ თვითონ უნდა მივიდეს ყოველი ადამიანი, ვისაც გენიოსის სუნთქვის უმეშველო განცდა სწადია. ნუ თუ ამაზე მაღალი, ამაზე კეთილშობილი და ღირსშესანიშნავი ადგილი კიდევ მოიპოვება ქვეყანაზე?

როცა ადამიანი დაფიქრდები, მართლაც რა მცირე ადგილი უკავია ამ სამყაროზე მაღალსა და ღვთაებრივს. დაითვალეთ, რაც ევროპაში და ამერიკაში უნივერსიტეტები, მუზეუმები, სამხატვრო და საქანდაკო სალაროები, თეატრები და ტაძრებია, გამოიანგარიშეთ რამდენი კვადრატული მეტრი მიწა უკავია ქვეყანაზე კულტურისა და ხელოვნების საუნჯეებს, მერე ისიც იანგარიშეთ თუ რამდენი ადგილი უკავია სასალახოებს, ციხეებს, სარჩობელებს, შხამიან ქუჩის გაზეთების რედაქციებს, საროსკიპოებს, რესტორანებს და დაინახავთ, რომ ადამიანობის მოდგმის კულტურას მრავალი ათასი წლის განმავლობაში ფრიად სუსტი ექსტენსივობის ძალა გამოუჩენია შეიძლება ერების საზოგადოებამ, რომელსაც კაცობრიობას უწოდებენ, ვერც კი იარსებოს, რომ დღევანდელ ადამიანში ოთხმოც და ცხრა პროცენტი ველურული, ბარბაროსული ელემენტის ნაცვლად მხოლოდ ერთი პროცენტი იყოს. მაღალი კულტურა ყოველ საუკუნეში და დღესაც მხოლოდ ადამიანების ვიწრო წრეში იშვებოდა და ვითარდებოდა, ინდივიდუალური იყო დღემდის არა მარტო მოქმედება, არამედ თვით შემოქმედებით დატკბობაც.

შეიძლება ეს წყევლა იყოს ადამიანის ბუნებისა, მაგრამ ეს ასე გახლავთ. ამ ფიქრებისაგან რო გამოვერკვიე, ვატიკანის ბრინჯაოს ბჭეებს მივადექი.

შევდივარ კაპელა სიქსტინაში, მარჯვნით კედელზე რაფაელის სამსჯავრო. ქრისტე-მსაჯული შუაში, გაღმა-გამოღმა მართალნი და წარწყმენდილნი. ეს გიგანტური კომარზიცია უთვალავი სხეულების, სახეების, ყოველ შტრიხში, ყოველ ყალმის მოხაზვაში, ყოველ სახისა და გამომეტყველების გამონაკვთაში ისევე დაცულია სიმეტრია და ჰარმონია, როგორც მთელ სურათში მიზან-შეწონილება და ერთი დიდი ღვთაებრივი იდეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მიქელ ანჯელოს სამსჯავრო უფლისა, სწერდა გოეთე, „ჩემს უაღრესად-ცვიფრებას იწვევს. დიდხანს შევჩერებოდი ამ სურათს გაოცების ელდა ნაკრავი. ყოველ გამოთქმაზე მაღლა დგას ოსტატის შინაგანი ინტესივობა და მამაკაცური ყალმის მოქნევა. ნეტავ რამე საშუალება მეგულებოდეს ასეთ სურათების სამარადჟამოდ სულში განსამკვიდრებლად“.

სურათები ჭერზე და კედელზე სულ ბიბლიური ალეგორიებით, ადამი და ევა სამოთხეში, პირველი შეცოდება და სამოთხიდან განდევნა, ისაკის მსხვერპლად შეწირვა და მოსე ეგვიპტეში, ყველგან ტანის სიშიშვლესთან საოცარი უბიწოება დაცული, არსად ნატამალი ბანალობისა, არსად ზედმეტი შტრიხი, სიჭარბე ფერადისა, სილაღე მოხაზვისა, აქ ყველგან ღვთაებრივი ხელით მოსმული ხაზები და ფერადებია.

არა ნაკლებ დიდებულია რაფაელის სტანცები. აქ რაფაელი გვიმასპინძლდება თავის მომდიმარე ანგელოზებითა და რენესანსის სიჭარბით მოსილ მადონებით და ყველგან მისი საყვარელი ფორნარინა, ფლორენციელი მეპურის ქალი, რომელსაც დღეს მთელი კულტურული ადამიანობა თაყვანსა სცემს, როგორც უბიწო ქალწულს მადონას. იქვე ცნობილი „დისპუტი“ მთელი თავისი წმინდანებისა და თეოლოგებით. პირდაპირ „ათენის სკოლა“, სოკრატეს, პლატო, არქიმედეს, ლოგენეს, ჰერაკლიტი, ეპიკური, არისტოტელეს, მარჯვნით კუთხეში რაფაელი და დანტე.

შემდეგ გასაოცარი მისტერია: „წმ პეტრეს განთავისუფლება საპყრობილედან“. ამ ტრილოგიიდან ყველაზე შესანიშნავია შემდეგი სურათი: პეტრე ანგელოზის მიერ გაღებულ საპყრობილეს კარიდან გამოდის, საკანში ხელში კელაპტარ ანთებული დარაჯები სთვლემენ, საპყრობილის რკინის ხლართის გაღმა ცის კიდურზე დამავალი მცხრალი მთვარე და რიჟრაჟის საოცარი ლილისფერი ბნელ-სინათლე; კელაპტარის, მთვარისა და მზის სინათლეთა საოცარი კონტრასტები გასაოცარის ოსტატობითაა გადმოცემული.

შემდეგ საშინელი ბრძოლა კონსტანტინესა და მაქსენციუს შორის ტიბრის ნაპირას. რაფაელისა და ანჯელოს გარდა აქა ნახავთ ღვთაებრივ ტიციანს, გვერჩინოს, პერუჯიოს და ბევრ სხვას, მაგრამ ამ დიდი მაესტროთა სურათები და ესკიზები ისე ანებივრებენ თვალს, რომ უმნიშვნელო მხატვრებს ზედაც ვერ შეხედავ.

აპარტემენტო ბორჯია, საუცხოვო ალეგორიული ფრესკებით.

მეორეჯერ რომ ვესტუმრე ვატიკანს, სკულპტურის განყოფილებაში გავექანე. პირველსავე სართულზე ფეხი შევდგი. ერთს ზალაში, წინ შემეგება პრაქსიტელესის მშვენიერი კნიდოსელი აფროდიტე.

იგი დილის აბანოს მისაღებად განმზადილი მორცხვად იკავებდა შიშველ ტანიდან ძირს ჩამოვარდნილ ტანთ-სამოსს.

„ნონ სინკომოდი სინიორისა!“ (ნუ შეწუხდებით, ქალბატონო!)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმა ღვთაებრივმა ღიმილმა დილის ცისკარივით შემომანათა.

გვერდს გაუარე გძელ-წვერა ბაკხუსს, რომელსაც ზევსის გასაბრაზებლად წვერები მოუშვია.

იქვე მირონის ცნობილი დისკუსის მტყორცნელი, ორესტესისა და ნიობიდეს სარკოფაგების გვერდით.

აჰა მისი უდიდებულესობის „ღრუბლების შემრყევი" მამა ზევსი აქა ბრძანდება. მას გარს ახვევია შინა ყმანი და ოლიმპიის ფარეშები, აქვე არიან მიწიერნი თაყვანისმცემელნი მისი უდიდებულესობისა. სერაფის და ჰადრიანი, ფაუსტინა და ჰერკულესი, ბარბერინის იუნო და ჭაბუკი ანტინუს.

მუზეუმის მთავარ ზალაში მთელი პლეიადა ქანდაკებისა, ბიუსტებისა და რელიეფების. შაყვარებულ პაპისა და ჰერიკლეს. იქვე ეპიკური, დემოსთენეს, სოფოკლეს.

პრაქსიტულესის ჭაბუკური ეროსი, მისივე „ხვლიკის მკვლელი". საუცხოვო მძინარე არიანე, უკვდავი ლაოკოონი. შეუმჩნევლად არ დამრჩენია სტატუები: დემოსთენისა, აპოქსიომენეს და ევრიპიდეს.

რომიდან გამგზავრების დროც მოახლოვდა, რადგან რკინის გზის მოხელეთა გაფიცვა თავდებოდა, რამაც 15 დღე დამარჩინა რომში.

უკანასკნელად ვესტუმრე „სან პიეტრო ინ ვინკოლოს" ეკლესიას, სადაც მიქელ ანჯელოს „მოსე" მოვინახულე.

ჩემმა მხლებელმა მიამბო, ხალხში თქმულებაა: როცა მიქელ ანჯელომ თავისი მოსე დაასრულა, ჩაქუჩი დაჰკრა მუხლის თავზე და შესძახა: „მოსე, აღსდექ და ამეტყველდი, აკი მე მიტომაც შეგქმენი, რომ ჩემს მაგივრად ესაუბრო საუკუნეებს".

მარჯვენა მუხლის თავზე მოსეს მართლაც ატყვია მაესტროს მიერ დარტყმული ჩაქუჩის კვალი.

ვინ იცის დიდი ხელოვანის ცხოვრებაში სად თავდება სინამდვილე და სად იწყება შემოქმედება.

რომიდან წასვლის წინა საღამოს სოფელ ალბანოში წავედი და ალბანოს მთიდან უყურე თუ როგორ ჩაეშვა ლილისფრად მოლივლივე ედრიატიის ზღვაში პურპურის ფერი ცეცხლის ბორბალი.

ეძინა კამპანიას...

მშვიდობით, მშვიდობით მარადიულო რომო, შენი მზეც დიდი ხანია მსოფლიო ისტორიის ცის კიდურის გადაღმა ჩაეშვა სისხლით შეღებილი, მაგრამ შენ მკერდზე დანთებული შორეული ცეცხლი კიდევ ანათებს, ვით ზღვაში ჩაძირული მზე, შენს ცაზე გაბნეულ, ვარდისფერ ღრუბელთა ამურეტებს.

მშვიდობით ძვირფასო „ეტერნა რომა"!

ბერლინი, 1920 წ. თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი. მჭედლიშვილი

მეოცნებე გოგი

გოგის ავტობიოგრაფია

ერთი საწყალი გლეხის შვილი, ბავშვობაში ხბორებს დავდევდი.

მერე ძროხებს.

მერე გიმნაზიაში ამიყვანეს სასწავლებლად.

მერე ვმონადირეობდი.

და ბოლოს განცვიფრებული ვიყავ, რომ სტუდენტი გავხდი.

ჩემი მეხბორეობაც, მეძროხეობაც, მოწაფეობაც და მონადირეობაც სულ მეფის მშვენიერი ასულის ფიქრებში გავატარე: იგი ჩემს გონების თვალს ათასნაირ მშვენიერ სახით ეჩვენებოდა, მას ლექსებს უწერდი, დავეძებდი, მოუწოდებდი, მაგრამ სინამდვილეში ვერა ვპოვებდი.

მესამალი

საქართველოდან ჩავედი უცხოეთის ერთ-ერთ დიდ ქალაქში, რომელსაც გულს ეძახდნენ იმა ქვეყნისას. განცვიფრებული ვიყავ უშველებელის შენობებით და მახვილის თვალით ვაკვირდებოდი ყველაფერს.

„საკვირველია“, ვფიქრობდი: „როგორ არის მოწყობილი ქვეყანა? ამ სრა-სასახლეთა პატრონებმა იციან, რომ სადმე შორს, საქართველოს მიუვალ მთებში მწყემსების ქოხებია აქა-იქ აგებული და შიგ ადამიანები სცხოვრობენ“. ან როგორ ვიფიქროთ: ამ სრა-სასახლეთა პატრონებს უფრო გაუკვირდებათ საქართველოს ბუმბერაზი მთები, თუ იმ მთებში მცხოვრებ მწყემსებიდან წამოსულ სტუდენტს ეს უზარ-მაზარი შენობები უზარ-მაზარი ქალაქისა? ანა და იმ მწყემსებიდან გამოსულ სტუდენტს ეთქმის, მეცა ვცხოვრობ ქვეყანაზეო?..“

და მივდიოდი ჩემ ამხანაგ სტეფანესთან, რომელიც ჩემზე ერთი თვით ადრე ჩამოსულიყო, ოთახი უკვე ნაქირავები ჰქონდა და ერთად უნდა გვეცხოვრა.

ერთ ეზოში ხალხი მოქუჩებულიყო.

საამური ხმები მომესმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევდექი.

რა ამბავია მეთქი, ვიკითხე.

მითხრეს: ვიღაცა ქუჩის დამკვრელი მოხუცი კარგად უკრავს სკრიპკასო; ამბობენ: თითებში ღვთაებრივი ცეცხლი აქვს, მისი თითების ქვეშ სკრიპკის სიმები ყველა კომპოზიტორების კვნესითა კვნესიანო.

ხმები შესწყდა.

ახლოს მივედი. დავინახე მოხუცი დამკვრელი და ამოვიოხრე. მეტად ბევრის მეტყველი და მეტად მწუხარე სახე ჰქონდა.

მოხუცმა ახლა სხვა ეზოში შეუხვია.

ხალხი უკან შეჰყვა.

შევყე მეც.

დამკვრელი დადგა შუა ეზოში, რომელიც შემოქარგლული იყო ხეებით, მოიმარჯვა სკრიპკა, ჩამოუსო სახმაური და ყველაფერი გაიკმინდა. გაიკმინდნენ თვით უზარ-მაზარი, მრავალხალხიანი შენობები, რომელნიც დაფიქრებულები დაჰყურებდნენ დამკვრელს. შემოდგომის სიომაც კი, ხეების ტანთ გახდას რომ ეშურებოდა, პირი მოკუმა, დააყრდნო თავი გაყვითლებულ ფოთლების ბალიშს და სმენად იღო მუსიკა იგი. თვით ბავშვები, მუდამ ცელქი ბავშვები, რომელთა გულიც სიცელქის მეტს არაფერსა ფიქრობს, შემოეხვივნენ მოხუცსა და მოწიწებით უსმენდნენ...

მოხუცი უკრავდა.

ვინ მოსთვლის, რამდენი კვნესა ისმოდა შიგ? ვინ მოსთვლის, რამდენ მწუხარებას გაჰქონდა ფრქვევა მოხუცის გულში გამობმულ სიმებიდან?..

რას უკრავდა იგი?—არ ვიცი, მაგრამ არც ის ვიცი, რისთვის კვნესოდა ჩემი გული მოხუც დამკვრელის სახმაურის ქვეშ.

ყველა შეჩერდა გზად მიმავალი, ყველა ისმენდა.

ძლიერდებოდა გასაკვირველი ჰანგები და იმ ჰანგებში იხატებოდა მწუხარება ქვეყნის მდგმურთა და წარმავალთა.

მაგრამ რას უკრავდა? რა იყო ის მწუხარება, რომელსაც ყურს უგდებდა მთელი ეზო, გარემო, ქვეყნიერება?..

თითქო ყველას მოაგონებდა წარსულს, ან უწინასწარმეტყველებდა მწარე მომავალს და იყო სიწყნარე.

მხოლოდ შიგა და შიგ ამოიოხრებდა შემოდგომის ნიავი და გაყვითლებულ ფოთლებს შეატრიალებდა ხოლმე...

მოხეტიალე მოხუცო დამკვრელო! რას იტყვი ჩემი სიყვარულისას, რომელსაც ათი წლის თავიდან ვეძებ და ვერ მიპოვნია? ამოაღებინე პასუხი მაგ სიმებს! გამაგებინე რამ ჩემი მომავლისა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ გათავდა.

ყველამ შეძლების გვარად დააჯილდოვა მოხუცი.

არ ვიცი, ხალხმა რად დააჯილდოვა იგი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემს გულსაც ამოსწყვიტა მან თავის ჯილდოთ რამდენიმე ღრმა ამოოხვრა, რომელსაც წინად-გრძნობა დავარქვი ჩემს შეუმცნებელს აზროვნებაში.

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მეთორმეტე საუკუნეში დიდმა პოეტმა შოთა რუსთაველმა სთქვა: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამით კარგი“-ო; მე მეოცე საუკუნეში ვცხოვრობ და ვეცდები შოთას აზრი დავიცვა: ყველაფერს მოკლედ ვიტყვი, თორემ აბა გრძელ მოთხრობებს ვილა წაიკითხავს ეხლა, როდესაც ყველაფერი უცბათა კეთდება და უცბადვე თავდება. ისიც უნდა ვსთქვა, რომ შემეძლო ლექსად დამეწერა ეს ამბავი, ძალიანაც მიყვარს ლექსად წერა, მაგრამ ლექსს მეტად ბევრი დრო უნდა და არც იმდენი ხალისი მაქვს, ჩემი გრძნობები რითმებისთვისა ვზომო: თუ არ ჩაეტია—ჩავამტვრიო, თუ პატარა მოვიდა—გავჭიმო. ამიტომ ურითმოდ ვარჩიე და ამნაირად იწყება მოთხრობა ესე.

ვსთქვი ამწანაგთან მივეჩქარებოდი მეთქი, თუმცა ჩემ სიცოცხლეში ამხანაგად არავინა მყოლია, გარდა ჩემის ფიქრებისა და ოცნებისა, რომელნიც მთელს ქვეყანას გარს უვლიდნენ. ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე მოწყურებული ვიყავ სიყვარულს და ოცნებაში, ფიქრებში მხოლოდ მშვენიერი ასული ტრიალებდა. ჩემი ოცნება გაჰშლიდა ფრთას, შემოუვლიდა მთელს დედამიწას, ყველანაირ სილამაზეს წამოედებოდა, ერთად შეაზავებდა და ისეთი მშვენიერება წარმომიდგებოდა თვალწინ, რომ გაკვირვებისაგან გამოვფხიზლდებოდი ხოლმე...

ამხანაგი ვიპოვე; სომეხი იყო და სტეფანე ერქვა. ერთად დავდექით და რამოდენიმე დღის განმავლობაში ისე შევეჩვიეთ ერთმანეთს, ისე შეგვიყვარდა ერთმანეთი, როგორც ნამდვილ ძმებს...

ერთმანეთს უზიარებდით აზრებს. მართალია, სტეფანეც ჩემსავით სრულიად გამოუცდელი იყო სიყვარულის საქმეებში, მაგრამ თეორიულად ჩემზე მეტი დაკვირვება ჰქონდა და როგორღაც გულგატეხილი იყო ამ გრძნობაზე.

*
* *

სტეფანესთან რო დავდექი, უპირველესად ის ვიკითხე, აქ ლამაზი ქალი ხომ არავინა ცხოვრობს მეთქი. გავიგე, რომ მხოლოდ ჩვენი დიასახლისი სცხოვრობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი ქმრით; მისი ქმარი სტუდენტი იყო; თვითონ კურსებზე სწავლობდა, სათნოების დათაც მსახურებდა რომელიღაც ლაზარეთში იმ მსოფლიო ომის დროს, და ერთი ბავშვიცა ჰყვანდა. მისი ბავშვი ნაცრის ფერი იყო და ვასიკა ერქვა, რომელსაც ხან ძიძა მარინეტა აიჩრიდა ხელში, ხან მოსამსახურე აგნესა და დაარბეინებდნენ ჩვენი ბინის ვიწრო კარიდორში.

დიასახლისი არ მენახა, მხოლოდ ერთხელ მოვკარ თვალი, კაბის ბოლო შეიქნია თავის ოთახის კარებში; არც მაინტერესებდა მისი ნახვა; დილის რვა საათიდან ღამის სამ საათამდე სახლში არ მოდიოდა და ხანაც სხვაგან გაათევდა ხოლმე ღამეს. მე და სტეფანე ბატონებივით ვიყავით, რადგანაც უფროსის ხმა არ გვესმოდა და ჩვენს გვერდითაც სულ სტუდენტები სცხოვრობდნენ, რომელნიც თავს აგრედვე თავისუფლადა გრძნობდნენ, როგორც ჩვენ.

დილით რო გამოგველვიძებოდა, მოვყვებოდით ძახილს ხან ალერსიანის ხმით, ხან ბრძანების კილოთი.

— აგნესა! დაუძახებდი ბრძანების რიხით, კუმშად და გარკვევით.

— აგნე-ე-ესა! გააგრძელებდა სტეფანე.

აგნესას მითომ არ ესმოდა, არ გაგვაგნებდა.

— აგნესა, ა, აგნესა.

დაუძახებდი ალერსიანად.

ბოლოს შემოვარდებოდა, ვითომ მხოლოდ მაშინ გაიგო: უი დამიდგეს თვალები, დიდხანს ხომ არ მეძახდით, ვასიკას ტირილში არაფერი ისმოდაო და ეშმაკურადაც ჩაიცინებდა.

ჩვენ მაინც გაუჯავრდებოდით უყურადღებობისათვის.

სტეფანე დაუყვირებდა:

Marsh! ამ საათში ჩაი მოგვიტანეო.

აგნესას უფრო გაეცინებოდა და გავარდებოდა კისკისით.

მერე შემოგვიტანდა სამოვარს, მაგრამ ახლა ადგომა იყო ხათაბალა. კენჭსა ვყრიდით, თუ ვინ ამდგარიყო წინ. ხშირად ამაზე იმდენ ხანს ვკამათობდით, რომ სამოვარი გაცივდებოდა და ხელ-ახლა გაცხელებისათვის თხოვნა-ღრეჭით მივმართავდით აგნესას. აგნესა რო ამაზე უარს იტყოდა, ულტიმატუმს წარუდგენდით: ან გააცხელე სამოვარი, ან ომს გამოგიცხადებთ, რომელშიაც წაგებული იქნები და დიასახლისიანად ტყვედ წაგიყვანთო...

ასე ვატარებდით დღეებს მე და სტეფანე.

ხან ვიყავით წამოწოლილები და ერთმანეთს აუწერდით, თუ ვის როგორი ქალი მოსწონს. სტეფანე მეტყოდა: შენ რო ქალი გყავს ოცნებაში, ჩემო კარგო, სინამდვილეში არ არსებობსო. არ უჯერებდი სტეფანესა და ჩემი ოცნებით შექმნილი ქალი უფრო და უფრო ნათელ სახეს იღებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა დავიღლებოდით ერთად ყოფნითა და მეტის ყბედობით, ან მეცადინეობით, რაც ძალიან იშვიათი მოვლენა იყო ჩვენს ცხოვრებაში, გავიდოდით ქუჩაში და ჩვენი სახლის ჭიშკართან შევჩერდებოდით:

— შენ საით წახვალ?

— მარჯვნივ.

— მაშ მე მარცხნივ... და დავცალ-ცალკევდებოდით, რომ შემდეგ ისევ მოგვწყურებოდა ერთმანეთის ნახვა.

*
* *

გავშორდით ერთმანეთს.

სექტემბერი იყო. ბაღებს უხვად ედო შემოდგომის ოქრო და მშვენიერი დარი იდგა. დავდიოდი ზღვა ხალხთან ერთად ქუჩა-ქუჩა, ბაღებში და ათას რამესა ვფიქრობდი.

ფიქრებში მოხეტიალეს საღამო შეუმჩნევლად წამომეპარა და ლამფები რო აინთო ქალაქში, მაშინ გავიგე დაღამება.

ქუჩებში ხალხმა იმატა. ბაღები გაიჭედა მოსეირნეებით.

ჩამოვჯექ ქალაქის ულმთავრეს ბაღში სკამზე და, მიუხედავად აუარებელი ხალხის ჟრიამულისა, მოვრთე ფიქრები:

„ღმერთო, როგორი მინდა მიყვარდეს ვინმე! აგერ, გაიარა ვაჟმა, რომელსაც გვერდში მშვენიერი გოგონა მისდევდა,—ნეტავი იმათ! ნეტავ მეც ეხლა გვერდში მეჯდეს ასული მშვენიერი ჭკვიანი, კეთილი, პატიოსანი და ჩემი სიყვარულით აღსავსე. ვინ იცის, აი იმ სახლში, ლამფა რომ აროის გაჩაღებული, შეყვარებულები სხედან, ერთმანეთს უალერსებენ, ეამბორებიან და სტკბებიან ბედნიერებით. მე კი ვზივარ უცხო ხალხში და ვფიქრობ. . ვფიქრობ .. ნეტავ რა იქნება, ეხლა მოვიდეს ჩემთან მეფის ასული, სავსე პატიოსნებით და მკითხოს:

— რათა ხარ დაღონებული, ყმაწვილო კაცო?

— ეჰ! ამოვიოხრებ მე.

— რათა ოხრავ, ყმაწვილო კაცო, არ მეტყვი?

— როგორ არ ამოვიოხრო, მეფის მშვენიერო ასულო, ყველასა ჰყავს სულის სწორი, მე კი...

— განა თქვენ არა გყავთ? თქვენ უკვე გყავთ, ყმაწვილო კაცო, სულის სწორი და მას მშვენიერიც უწოდეთ.

— დიახ, ის მშვენიერია, მაგრამ დანამდვილებით რომ არ ვიცი, ვისია?

— თქვენია, თქვენი, ყმაწვილო კაცო! განა ველარ მიცნობთ?..

დავაკვირდი და გახარებულმა წამოვიძახე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიცნობთ! გიცნობთ!

მერე მოვყე ისტორიას:

„ერთხელ პატარაობაში მთის წვერზე ვიდექი და სალამურს უკრავდი. მეორე მთის წვერზე მეფის კოშკი იდგა. კოშკის ბანზე გამოჩნდით თქვენა და ხელით მანიშნეთ, თქვენთან წამოვსულიყავ. მაშინ თქენც პატარა იყავით. ელვასავით მოვწყდი მთის მწვერვალსა და ერთ წუთში კოშკის ძირში გავჩნდი. რამდენჯერმე შემოუარე კოშკსა, მაგრამ შესავალი არსაიდანა ჰქონდა დავლონდი. ბოლოს თქვენ დამარიგეთ, მომეყვანა ობობა, მომეტანა აბრეშუმის ძაფი და მაგარი თოკი; აბრეშუმის ძაფის ერთი წვერი თოკის ერთი წვერისთვის გამომება, ხოლო მეორე ობობასათვის ფეხში, შემდეგ დამესვა ობობა კედელზე, პირი ზევით მექნა მისთვისა და უკანიდან ოდნავ წკიპურტი დამეკარებინა. ასეც მოვიქეცი. ობობამ ძაფის წვერი თქვენთან ამოიტანა და მერე თქვენ ძაფით თოკის წვერი მაღლა აზიდეთ, მაგრა მოაბით კოშკის კბილსა და მეორე წვერს ამოვყე ზევით. ის-ის იყო უნდა გვეკოცნა ერთმანეთისთვის, რომ ვიღაცამ მაგრა ჩაახველა. მე ძირს ჩამოვეშვი ისევა და თქვენც სადღაც დაიმალეთ მეორედ რო მოვედი კოშკის ძირში, აღარსადა სჩანდით, აღარც თოკი იყო ჩამოშვებული და აი, იმის შემდეგ პირველადა გხედავთ!

— ეხლა მე თავისუფალი ქალი ვარ, იმ კოშკიდან გავთავისუფლდი. ამ მხარეში მეფის ასულს მეძახიან და ყველანი ძალდაუტანებელის გულწრფელობით იხრიან თავს ჩემს წინაშე... თქვენზე ძალიან ბევრსა ვფიქობდი“...

ამ დროს დაიგრიალა ბაღში სამხედრო მუსიკამ და ფიქრებიდან გამომაფხიზლა. მიმოვიხედე, სულ უცხო ხალხი იყო და მარტო ვიჯექი მათ შორის.

* * *

ღამის თორმეტი შესრულდა.

ავდექი.

უმთავრეს ქუჩით მივდიოდი სახლში და ისევა ვფიქრობდი... ვფიქრობდი მით უმეტეს, რომ ხალხი მისწყდა და მხოლოდ თითო ოროლა ქალი-ღა დაკავკავებდა...

ვფიქრობდი ისევ იმ მშვენიერზე.

— თქვენ საიდან გაიგეთ, რომ მე აქ ვიყავი? ვკითხე მეფის ასულს.

— ერთად-ერთი ჩემი საფიქრობელი თქვენა ხართ და თქვენს აქ ჩამოსვლას ვერ გავიგებდი?

— რა კარგი ხართ!

— მე მეუბნებით, ყმაწვილო კაცო?

— დიახ, თქვენ მშვენიერო ქალო. ნუ თუ ღირსი ვარ თქვენი ყურადღებისა? მე ისეთი უბრალო ადამიანი ვარ, ისეთი უბრალო... გლეხის შვილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემთვის არა ხართ უბრალო...

ამ დროს მართლა ვიღაცა ქალი ამომიდგა გვერდში და პრანჭვა-გრეხით მითხრა:

— ყმაწვილო კაცო, თქვენ გცივათ...

მე გამიკვირდა ჯერ ერთი, რომ სექტემბერი იყო და სრულებით არა ციოდა, მეორეც იმიტომ, რო სრულიად უცნობი ქალი ჩემთვისა სწუხდებოდა.

— არც ისე ცივა, მიუგე უცნობს.

— როგორ არა, გცივათ. წამოდით ჩემს ოთახში, ჩემთან დაიძინეთ, გაგათბობთ...

გაკვირვებულის თვალით ჩავხედე თვალებში, ვიცანი ვინც იყო, სინანულით თავი გავიქნიე, შემდეგ ბოდიში მოვიხადე და გავეჩქარე შინისაკენ.

იმ ღამეს მშვენიერ ასულზე აღარ მიფიქრია; ხოლო სტეფანეს რო უამბე, იცინა და სულ ის მეძახა: არ შეგცივდესო.

*
* *

დაიწყო ლექციები უნივერსიტეტში; აფუსფუსდნენ სტუდენტები; მეც წავედი პირველ ლექციაზე და, რადგანაც პირველად ყველაფერი სახალისოა, ყველაზე ადრე მივედი გზაში აღარაფერსა ვფიქრობდი მეფის ასულზე, რადგანაც უნივერსიტეტის შთაბეჭდილებებს წინადვე განვიცდიდი გუნებაში სხვა და სხვა საამურ ფერებით.

გათავდა ლექციები და უკან დავბრუნდი.

საკვირველი იყო: როგორ მხიარული მივისწრაფოდი ლექციებზე და როგორ გულდაწყვეტილი დავბრუნდი. ნეტავი ადამიანი იმას ახლო არ გაეცნობოდეს, რასაც პატივსა სცემს. სულ ეს იყო უნივერსიტეტი? მივედით მსმენელები, ლექტორებმა წაიკითხეს ლექცია და წავიდნენ. ისე წაიკითხეს, თითქო მომართულები იყვნენ ბურღებით. სტუდენტებმა ბოლოს ზრდილობისათვის ტაში დაუკრეს და სულ ეს იყო თავი და ბოლო.

რამდენიმეჯერ კიდე წაველ იმ უნივერსიტეტში და ბოლოს სულ თავი დავანებე, რადგანაც იქ ლექციების მოსმენა, ჩემის აზრით, დროს დაკარგვაც იყო და თავის წამებაც. ამიტომ გადავედი ისეთ უნივერსიტეტში, სადაც კაცების გარდა ქალებიც იყვნენ მსმენელები; აქ უფრო მეტი სიცოცხლე ეტყობოდათ პროფესორებს, ალბად იმისთვის, რომ მათ აუდიტორიაში ქალებიც იყვნენ და ქალი ხომ წყაროა უდაბნოში!

შეუდექ მეცადინეობას, მაგრამ რაღაც მოუსვენრობა, გაუგებარი შფოთვა, უცნაური გულისთქმანი არ მანებებდნენ თავს. ქუჩაში რომ გამოვდიოდი, მოვყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდი რაღაც ფიქრებს, რომლებიდანაც გამომაფხიზლებდა რომელიმე გაშვლილ ლამაზი ქალი და წამართმევდა თვალს, ოცნებას. სულ იმასა ვცდილობდი, მეფის ასულისთვის რომელიმე ნახული ქალის სახე მიმეცა, მაგრამ იმნაირ სახეს ვერა ვპოვებდი. ჩემი გული გახსნილი კარი იყო სასურველი მგზავრისათვის, მაგრამ ის არსადა სჩანდა. ბევრ მშვენიერ ქალს გავაყოლებდი ფიქრიან თვალს, მაგრამ სულ მუდამ ვრწმუნდებოდი, რომ არც ერთი მათგანი არ იყო ჩემ სამეგობროდ დაბადებული...

*
* *

შემოდგომა თავდებოდა.

ხეებს გაყვითლებული ფოთლები სცვიოდა; მზე დაღონებული, მოქანცული წყნარად წვებოდა დასავლეთში და მეც მოწყენილი ვიყავი.

სტეფანე ერთ წერტილს მასჩერებოდა და, რო ვეტყოდი რამეს, ხმას არა მცემდა.

— ნუ ხარ დაღონებული, ბიჭო, უთხარ სტეფანეს: მარტო შენ ხომ არ გიწვევენ ჯარში. ყველა შენი წლის სტუდენტებსაც ხომ შენთან წამოიყვანენ? მეც ერთი-ორი თვის შემდეგ გამიწვევენ და ისევ ერთად ვიქნებით ..

სტეფანემ შემომხედა და მხოლოდ გაიცინა.

სიჩუმემ კლიტე დამადო პირზე.

გაიარა ხუთმა დღემ, სტეფანე, როგორც იმის წლის სხვა სტუდენტები, სამხედრო სასწავლებელში წაიყვანეს და დავრჩი ისევ მარტო. აღარც ერთი ადამიანი აღარა მყავდა ქვეყანაზე ნაცნობი. მართალია, ბევრი სალამს მაძლევდა ზრდილობისათვის, მაგრამ მათ სალმის მოცემაზე უფრო ღრმადა ვგრძნობდი სიმარტოვეს.

დრო ასე მქონდა განაწილებული: დილით ვიმეცადინებდი და, როცა დავიღლებოდი, წავიდოდი სახეტიალოდ, რომლის დროსაც ვფიქრობდი მეფის მშვენიერ ასულზე, სიყვარულისთვის რო ვქმნიდი ჩემს ოცნებაში და განუწყვეტლივ რო დავეძებდი სინამდვილეში.

*
* *

მთელი სიგრძე-სიგანე თვალთ შეუხების და გონება მიუწდომელის ცისა სანავარდოთა ჰქონდათ ჩემს ფიქრებს, რომელთა დროსაც სრულებით ვერა ვგრძნობდი ჩემს ირგვლივ მრავალ ხალხიან ქალაქის აურ-ზაურს. მეტი წილი წიგნითა ვსცხოვრობდი და წიგნიდან პირდაპირ გადავდიოდი საოცნებოში. ხოლო მოღლილი ფიქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით, არარაობით, დავეშვებოდი დედამიწაზე და დავიმსხვრეოდი ათი-ძმურ სხვა და სხვა ოხვრად, რომელნიც ლექსებად იქცეოდნენ ხოლმე...

ზამთარი დადგა.

თოვლჭყაპი იყო.

უნივერსიტეტში ლექციები ზოგჯერ საღამოობით იყო; ღამე დაბრუნდი იქიდან: ბნელოდა და ვერავის სახეს ვერ ვარჩევდი, მით უმეტეს, რომ სიცივის გამო წაფიჩულები იყვნენ ზამთრის ტანთსაცმელში. მეც ნაბადში ვიყავ გახვეული.

ოცნებაში გართული ძლიმედ მივდიოდი.

უცბად ტროტუართან, ჩემს გვერდით, ეტლი შეჩერდა და იქიდან მომესმა:

— ყმაწვილო კაცო, თქვენ ის არა ხართ?

— დიახ, ის გახლავართ, მეფის ასულო.

— შეიძლება გთხოვოთ, ჩემთან ჩაბრძანდეთ ეტლში და სახლამდე გამაცილოთ?

— როგორ? მთხოვთ სახლამდე გაგაცილოთ? მიუგე მკაცრად.

— დიახ, გამაცილოთ..

— თქვენი მოსამსახურე ხომ არა ვარ?!. გაგაცილოთ!

— არა გრცხვენიანთ, მხოლოდ ამხანაგურადა გთხოვთ, რადგანაც მინდა თქვენთან ბაასი, ტკბილად ბაასი... მასთან ისიც უნდა გადმოგცეთ, რომ მე თქვენ ძალიან... ძალიან... ძალიან... მაშ თქვენ არ გინდათ ჩემთან ბაასი, ყმაწვილო კაცო?

— როგორ არა, მეფის ასულო, მინდა! მინდა!

— თქვენ ამაყი ხართ!

— მეგონა თუ მიბრძანებდით, გამაცილეთ.

— აბა, როგორ არა გრცხვენიანთ...

— დიახ, მცხვენიან, მაგრამ...

— აი, ჩემს გვერდით დაბრძანდით და ხელიც ასე მომხვიეთ.

— არა, ხელს ვერ მოგხვევთ... მე თქვენ არ გიცნობთ, მეფის ასულო...

— როგორ არ მიცნობთ, მთელი თქვენი სიცოცხლე სულ ჩემზე ფიქრობდით და არ მიცნობთ? გახსოვთ, მთის მწვერვალზე რომ იდექით ბავშვობისას და ფიქრობდით ერთ მშვენიერს ასულზე, მზეთ-უნახავ ასულზე?.. მე ისა ვარ და იმისი სახე ხომ დიდიხანია თქვენს ფიქრებში ტრიალებს.

ძლიმე-ძლიმედ მოვხვიე ხელი წელზე, მაგრამ შემრცხვა და ისევ გავსწორდი.

— ვერ მოგხვევთ ხელს.

— რატომ?

— მცხვენიან... თქვენ რა გქვიანთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლალი... თქვენა?

— გოგი.

— რა მშვენიერი სახელი გაქვთ, გოგი!..

ამ ფიქრებში ვიყავ, რომ შემომესმა ვიღაც ქალის თავხედური ხმა:

— რამსიგანე ნაბადი გაქვთ, ყმაწვილო კაცო.

— უკაცრავად, მოვიხადე ბოდიში.

— არ შეიძლება, გკითხოთ რამე, ყმაწვილო კაცო?

— რატომ, რატომ, უთხარი და კარგა შევხედე სახეზე. ორნი იყვნენ და ორივე ლამაზები, სიმპატიური შეხედულებისანიც.

— დიდი ხანია თქვენი გაცნობა გვინდა, ხშირადა გხედავთ ჩვენს უბანში,— შეიძლება?

— აღსრულდეს ნება თქვენი! უთხარი და ორივეს ხელი ჩამოვართვი.

დიდხანს ვილაპარაკეთ, უმეტეს ნაწილად საქართველოზე, რომელიც, მათის აზრით, ზღაპრული ქვეყანაა. ბოლოს ერთი გამომემშვიდობა და მითხრა: ამ დღეებში თქვენთან გამოვივლიო; მისამართიც ჩაიწერა ჩემი.

როცა ჩემ სახლამდე მივედით, ჩემთან რომელიც დარჩა, იმან გადაჭრით მითხრა, თქვენთან უნდა შემოვიდე ახლავე და გესტუმროო. მეც დიდი სიამოვნებით შევიპატიჟე სახლში; გავმხიარულდით და ერთი წუთით ისიც გავიფიქრე, იქნება ესეც იყოს ის მეფის ასული მეთქი.

ჩემი სტუმარი მეტად გამხიარულდა, ბევრსა ლაპარაკობდა და თან ახლო იწევდა ჩემთან. ბოლოს უცბად რაღაცა მოაგონდა და მძიმედ ამოიოხრა. ვკითხე რად ამოიოხრე მეთქი და მომიგო, ძმა მომაგონდა, რომელიც ამას წინად ომში მომიკლესო. ამაზე მეც დავღონდი. იმან კიდევ ამოიოხრა და ჩემს მკერდზე დახარა თავი, სანუგეშოდ თავზე ხელი გადუსვი და უთხარი: რაც სიცოცხლეს აღარ ეკუთვნის, ნულარ გავიხსენებთ მეთქი. თითქო ჩემი აზრი მოეწონა, მანაც თრთოლვით გადამისო ხელი. ბოლოს ორივემ გავიწოდეთ ხელი იმ ნაყოფის მოსაწყვეტად, ღმერთმა რომ აუკრძალა ადამ და ევას და მერე აღარაფერი მახსოვს. მხოლოდ ბუნდათა ვგრძნობდი: თითქო სადღაც ხელშეუხებთა სფეროში ვიყავი და თვალწინ მედგა მეფის ასული, სავსე პატიოსნებით, სათნოებით და ჩემდამი სიყვარულით; გავშალე ხელი მის მოსახვევად, მაგრამ მხოლოდ სიცალიერე ჩავიკარ გულში.

გავახილე თვალი. აღარავინ იყო.

აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მაგრამ სულ ამაოდ.

რა იყო ეს?—ვეკითხებოდი თავს: ნამდვილი იყო თუ მომელანდა? მაგრამ ვინ იყო პასუხის გამცემი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე დღეს იმ ქალის ძებნაში ვიყავი, რომ ჩემთან მოვიდა მისი ამხანაგი, რომელმაც ჩემი მისამართი ჩაიწერა გაცნობის ღამესა და დახე საკვირველებას იმასთანაც ის მოჰხდა, რაც პირველთანა და ისიც ისე დავკარგე, რომ პირველის ამბავი ვერა ვკითხე.

*
* *

ოითქო შევეჩვიე ამნაირობასა და როცა ჩემი ცხოვრება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, ისევ დავიწყე სიარული უნივერსიტეტში.

გაიარა დრომ.

ერთხელ, ღამე რო ვბრუნდებოდი ლექციიდან, ისევ ლალის ვებაასებოდი ფიქრებში და ვკითხავდი:

— მაშ სახლამდე გაგაცილო?

ლალიმ თავისი ხელით ხელი წელზე მომახვევინა და მითხრა:

— როდია სირცხვილი, ჩემო გოგი, ასე ჯდომა ეტლში, მით უმეტეს, რომ ჩვენ...

— განა მცხვენიან რო... არა მცხვენიან, მაგრამ...

— „მაგრამ“-ს ნუ იტყვი. აი, ასე გქონდეს ხელი და მეც მომეცი ნება, ზედ მოგეყუდო...

ერთი წუთით ის გავიფიქრე, ვაი, თუ ესეც იმ ქალსა ჰგვანდეს, ომში მოკლულ ძმაზე რო სწუხდა მეთქი, მაგრამ უცბათ გონება გადამიტრიალდა, შემრცხვა და გულში წამოვიძახე: ეს ხომ ლალია, ლალი!

— ისე მომწონხარ, ისე მომწონხარ! განაგრძო ლალიმ, რომ წინადვე ვიცოდე როგორი ქალი მოგწონთ, სწორედ ისეთი გავხდებოდი.

— თქვენი სილამაზისაგან რო მორბილებული არა მქონდეს გული, ძალიან მეწყინებოდა, ლალი, ეგ დაცინვა.

— ღმერთო ჩემო! გაჯავრდა ლალი: არა გრცხვენიან? მე და დაგცინით! აბა მაშ სხვანაირად როგორღა გითხრათ, რომ თქვენ ძალიან... ძალიან... ძალიან...

ეტლი შეჩერდა უზარ-მაზარი, შესანიშნავი შენობის შესავალში. ეს შენობა სასახლეზე უკეთესი იქნებოდა და განცვიფრებულმა შევხედე ჯერ სახლს, მერე ლალის. ლალი ეტლიდან ჩამოვიყვანე და ჯიბეს გავიკარ ხელი. სულ ათი შაური აღმომაჩნდა და ცოტა დაღონებულის კილოთი უთხარი ლალის:

— რამდენი უნდა მივცე მეეტლეს, ლალი? არ დავდივარ ეტლით და ამიტომ არ ვიცი ფასი.

— რა კარგი ხარ, გოგი, რა კარგი! მითხრა ლალიმა და მხარზე ხელი დამადო: განა შენ მიგაცემინებ ფულსა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ თუ არ მიმაცემინებ! ჩემს მაგივრად მაშ ვინ უნდა მისცეს? ლარიბი სტუდენტი ვარ, მაგრამ მაინც არავის მივცემ ნებას, ჩემთვის მოწყალება გაიღოს!

— რა კარგი ხარ, გოგი, რა კარგი! მითხრა ლალიმა და კიდევ ხელი დამადო მხარზე: ჩემი საკუთარი ეტლია, გოგი, ჩემი საკუთარი! მეც არაფერი უნდა მივცე და აბა შენ რაღათ დაგჭირდება მიცემა?

ფრთხილად გაუკეთე ლალის მკლავში მკლავი, მარმარილოს კიბეზე ავიყვანე და დიდი შესავალი კარები შევაღე.

— ვინა გნებავთ? მკითხა შვეიცარმა

— ოჰ, უკაცრავად! — მოვიხადე ბოდიში: ფიქრებში ვიყავ გართული და გზა შემეშალა.

საჩქაროდ ჩამოვირბინე მარმარილოს კიბე და შერცხვენილმა მარდათ შეუხვიე ვიწრო ქუჩაში.

* * *

მოსაღამოვდა

თოვლდა და, თუმცა საღამოს ხუთი საათიც არ იქნებოდა, ბნელოდა. ხალხი ცოტა დადიოდა ქუჩაში. ერთი ვილაცა ქალი შემხვდა, დამაცქერდა, თითქო ნაცნობიაო და ღიმილით რაღაც მანიშნა, რასაც ვერ მიუხვდი და მხოლოდ ფეხს მოუჩქარე შინისკენ ამდროს ავტომობილმა გაირბინა, შიგ ვილაცა ქალი და კაცი იყვნენ გადახვეულნი და მათ დანახვაზე სულ გამოვეხიზლდი ლალის ფიქრებიდან. თავი გავიქნიე და ნაბიჯს უფრო მოუჩქარე, თუმცა არ ვიცოდი, რისთვის მივეჩქარებოდი.

უეცრად ვილაცამ შემაჩერა. მივიხედე. ქართველი სტუდენტი იყო; თავისი მისამართი მომცა და მითხრა, ჩემთან შემოიარეო; მაგრამ სანამ მისამართს მეტყოდა, გვერდში აკრული ვილაცა ქალი გამაცნო, ჩემი ცოლია, იცნობდეო. იმის ცოლს თვალებში ჩავხედე და ორივემ ვიცანით ერთმანეთი: ეს ის ქალი იყო, ქალაქის უმთავრეს ქუჩაზე ღამე რომ ამომიდგა გვერდში და მეუბნებოდა: გცივა, წამოდი ამაღამ ჩემთან დაიძინე, გაგათბობო. თვალები დაბლა დაუშვი, გამოვეთხოვე და ხმა ამოუღებლივ გავშორდი მათ

უფრო გავეჩქარე შინისკენ.

აღშფოთებული დავდიოდი ოთახში და ვბურტყუნებდი ჩემთვის: „ვინ იცის რამდენ სულმოკლე ადამიანს შეატყუებენ ხოლმე თავს ეს ქუჩის ქალები? ვინ იცის იმ სტუდენტს იმ ქუჩის ქალმა როგორი ფერებით დაუხატა თავისი წარსული, როგორ პატიოსნად ეჩვენა და თავი გაისაღა?.. სამშობლოში რომ ჩაიყვანს სტუდენტი თავის ცოლს, ეტყვის ნაცნობთ: ჩემი ცოლი მეტად პატიოსანი ოჯა-

ხიდან არის, მაგრამ დედმამამ უქრთამოდ გამოუშო, რადგანაც ჩემზე არ უნდოდათ გამოეთხოვებინათ და ქალმა კი ყველაფერი დასთმო ჩემი გულისთვისაო!!. მერე დავჯექი. მაგრამ ახლა სხვა ფიქრები მქონდა. ერთი ფიქრიდან მეორეზე გადავდიოდი და ბოლოს ისევ ლალიმ გამირბინა ფიქრში.

რა ვქნა, სად წავიდე, სად ვეძებო იგი? სად ვიპოვნი სიყვარულს? ანა და მქონდეს იმედი მისი პოვნისა? იქნებ არც კი არსებობს იგი ქვეყანაზე და ტყუილად ვეძებ? მაშ არ ვეძებო? მაგრამ როგორ არ ვეძებო, როდესაც ჩემში იღვიძებს და ძლიერდება გრძნობა სიყვარულისა, რომელიც ზღვასავით აწყდება კიდეებს გადასალახად. ლალიზე ფიქრიც თავს არ მანებებს, სადაც წავალ, სულ მასა ვხედავ გონების თვალით; იგი ჩემს ოცნებაში უფრო და უფრო სრულდება, ირკვევა და მიყვარდება. მაგრამ ეს ხომ ოცნებაა ჩემი? ვეძებო? ან სად გადავიკარგო, რომ დამავიწყდეს იგი? სად მოუპოვო წამალი ამ სნეულებას?..

სტუდენტებთან წავალ.

მაგრამ მოსაწყენია მათთან ყოფნა, რადგანაც ისინი სულ კარტსა თამაშობენ, მე კი კარტისა არამც თუ არა გამეგება-რა, სურვილიც არა მაქვს, დავინახო. მაშ რა ვქნა? როგორ დავივიწყო ეს ოცნებები? პაპიროზი მოვწიო? მაგრამ რო ვერც პაპიროზის წევას შევეჩვიე?.. ნეტავი სხვა სტუდენტებს! რა გრილი გუნების ხალხია! ორი კარტს რო თამაშობდეს, სხვები დგანან ჩიჩვირ ჩამოშვებულები და დაჰყურებენ მოთამაშეთ, დაჰყურებენ და თან განუწყვეტლივ ისე ხრჩოლავენ, თითქო მთელი ქვეყნის ბუჩო იწვის მათს გულშიო.

სულ სხვა იქნებოდა, წავსულიყავით ქალაქ გარედ, მინდორში, გვეთამაშნა ბურთაობა, ლახტი, ახტურმა და ან გვეჭიდავნა—მაშინ ყველაზე მხიარული მე ვიქნებოდი, ყველაფერსაც დავივიწყებდი წუთით მაინც, მაგრამ ადგილიდან როგორ დასძრავ სილაღისათვის კარტის მოთამაშესა და პაპიროზა ხალხს!.. მაშ სად წავიდე?..“ ვფიქრობდი კვალად და ამდროს ჩვენს კორიდორში ზარმა დარეკა. აგნესა შემოვიდა და მითხრა, ტელეფონში გეძახიანო. გამიკვირდა არ ვიცოდი, თუ ჩვენს ბინაში ტელეფონი იყო, მით უმეტეს არ მეცოდინებოდა მისი ნომერი და რანაირად მოხდა, რომ ვიღაცა მეძახდა ტელეფონში.—ვერ მივმხვდარიყავ.

მივედი ტელეფონთან.

— ვინა ხართ?

— გოგი, თქვენა ხართ? მომესმა ქალის ნაზი ხმა და სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა ტანში.

— დიახ, გოგი ვარ.

— ძაან მინდა თქვენი ნახვა, გოგი.

— ვინა ბრძანდებით?

— ამას გაიგებთ, თუ ეხლავე წამოხვალთ პოეტ-გენიოსის ძეგლთან.

— მერე, რომ არ გიცნობთ, როგორ გიპოვნოთ?

— მე გიცნობთ და თვითონ მოვალ თქვენთან.

— ძალიან პატიოსანი!

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჩქაროდ ჩამოვკიდე ტელეფონის მილი. შევირბინე ოთახში ნაბდის წამოსასხმელად, მაგრამ ისევ საჩქაროდ გამოვბრუნდი ტელეფონთან, უნდა სახელი მეკითხნა იმ ქალისათვის, იქნება ლალი ერქვა, მაგრამ ცენტრიდან მიპასუხეს. მილი ისევ ჩამოვკიდე წამოვისხი ნაბადი და გავეშურე პოეტ-გენიოსის ძეგლისაკენ.

„სწორედ ის არის ის -- ვამბობდი გულში: ლალია იგი, ძეგლთანა დგას და ფიქრობს მშვენიერს ჭაბუკზე და მან ხომ მე დამიბარა? მის გიშრის თმებში თეთრი სახე ისეთ შუქს გამოსცემს, როგორც ბნელ ღამეში ამოცურებული მთვარე.— არა, ის აბრეშუმის თმიანია, ლურჯ-თვალება; მას ხელები გულზე აქვს ჯვარედინად დაწყობილი და ანგელოზივით შეჰყურებს ლურჯ ცას ლურჯის თვალებით, ლოცვას ამბობს ოდნავ გაპობილ ბაგით და იმ ლოცვაში ხშირად ახსენებს მშვენიერ ჭაბუკს... მერე, მან ხო მე დამიბარა, იგი ხო მე მელის!.. არა, ის მოწყვეტილ ვარსკვლავსა ჰგავს, რომელიც მიისწრაფის მშვენიერ ჭაბუკისაკენ, რომლის მკერდზედაცა ჰსურს სამუდამოდ შეჩერება .“ და ვინ იცის კიდევ როგორ არ წარმოვიდგინე ის ქალი ოცნებაში

მივედი კიდეც.

ერთი ვიღაცა, პუდრში გაგანგლული ქალი გამოეშურა ჩემკენ, რომელიც ძაან მომაგონებდა ფქვილის ტომარაში ჩავარდნილ თაგვს.

-- გოგი, გოგი!

მივტრიალდი.

— გთხოვთ, გაიცნოთ თქვენი დიასახლისი, მითხრა და გამომიწოდა ხელი.

გამიკვირდა. მხრები ავიჩმუჩნე და უგემურად ჩამოვართვი ხელი.

— თქვენ რა გქვიანთ? ვიკითხე.

— მელანია.

— მერე, რად დაგჭირდათ, მელანია, ჩემი ტელეფონით გაცნობა? განა არ შეგეძლოთ პირდაპირ შემოსულიყავით და გაგეცანით ჩემს ოთახში?

— მინდა გთხოვოთ, წამომყვეთ ეროტეს კაფეში.

— ვინ არის ეროტე? ან რა არის კაფე?

— განა აქამდე არ იცით?

— არა

— მაშ წამოდით და გასწავლით.

— არა, მელანია, ვერსად წამოვალ. მე ერთი ღარიბი სტუდენტი ვარ, კვირაში ორჯელ ძლივა ვსადილობ ხოლმე,— აბა რას გარგებთ ჩემთან წამოსვლა?

— არ მოგწონვართ? მკითხა მან.

— თქვენა?

— დიახ, მე ..

— თქვენ სათნოების და ხართ?

— დიახ.

— სტუდენტის ცოლიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ.

— დედაც.

— დიახ, ვასიკას დედა.

— კურსელიც.

— დიახ, დიახ!

— რამოდენა თანამდებობა გაქვთ და ჩემისთანა ბიჭებს კი იბარებთ პოეტ-გენიოსის ძეგლთან.

ორივენი დავფიქრდით.

— მაშ სახლში წავიდეთ, მითხრა დიასახლისმა.

— არა, სხვაგან უნდა წავიდე, და გამოვემშვიდე.

რამდენიმეჯერ ავიარ-ჩავიარე უმთავრესი ბულვარი და შემდეგ მოვედე ქუჩებს. არ ვიცოდი რასა ვფიქრობდი, რასა ვდარდობდი, ან სად მივდიოდი.

ორი დღე გავატარე ასე, ვიდრე ერთ-ერთ საფიშო სვეტზე არ წავიკითხე დიდი ასოებით დაწერილი განცხადება: „რომეო და ჯულიეტა.“ გამეხარდა. გადავწყვიტე, რაც ფული მომეპოვებოდა სულ გამეღო, თეატრში წავსულიყავი და მუსიკით, ამავე დროს დიდებული დრამის ნახვით სული განმეწმიდა, ვზიარებულიყავ.

*
* *

ის ორი დღე, რომელიც უაზრო და უმიზნო ხეტიალს მოვანდომე, ისე გავიდა, რომ არ ჩაითვლება ჩემი ცხოვრების დღეთა რიცხვში. იმ ორ დღეს კიდევ სხვაც რომ არ მიჰმატებოდა, გავეჩქარე თეატრისაკენ.

შევედი.

ორკესტრმა დაუკრა.

ფარდა აიხადა და ოპერა დაიწყო.

მართალია, დამკვრელები ძირს ისხდნენ სცენის ყელში, მაგრამ ხმა ციდან ჩამოდიოდა. რა კარგია მუსიკა! სუმთლად დამავიწყდა ჩემი უნაყოფო ცხოვრება. მუსიკამ ისე გამიტაცა, რომ აღარ ვიცოდი, სად ვიყავ, დედამიწაზე, თუ ცაში. დამავიწყდა ყველაფერი ქუჩის ჭუჭყი და თავისუფლად ვსუნთქავდი. ისეთი სპეტაკი იყო ჩემი სული, თითქო მთის მწვერვალზე ვიდექ, ამომავალ მზეს უყურებდი და სუფთა ჰაერსა ვსუნთქავდი... რა კარგია მუსიკა! მაგრამ რა კარგია შექსპირიც! რა დიდებულია იგი! სულ თვალ წინ წამომიდგა მისი გმირები, მათი ლაპარაკი, მათი მოქმედება. რაც შექსპირზე მთელი ქვეყნის კრიტიკოსებს ქება-დიდება უთქვამთ, შექსპირის იმ სიტყვადაც არა ღირს, თვითონ რომ წაჰშლიდა ხოლმე.

როცა ოპერა გათავდა, გული დამწყდა. მინდოდა განუწყვეტლივ მესმინა მუსიკა, მემზირა შექსპირისათვის.

მივდიოდი სახლში და ისევ ისე გაისმოდა ჩემს ყურში საამური ხმები, ისევა ვხედავდი რომეოსა და ჯულიეტას. მომაგონდა შექსპირის სხვა გმირებიც. თითქმის ვმუსაიფობდი მათთან; ოფელია შემიყვარდებოდა კიდეც, რომ თავი არ დაეხრჩო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეზდემონაც შემიყვარდებოდა, მაგრამ ჯერ ერთი, ოტელოსი შემეშინდა, მეორეც ისა, რომ ოტელომ უკვე მოჰკლა იგი. მადლობაა ღმერთსა რო მოჰკლა, თორემ შემიყვარდა და ვეჭვიანობდი კიდეც.

მაგრამ ამეებს თავი დავანებე და ვკითხავდი თავს: „სად არიან ოფელიასთანა ქალები? სად არიან დეზდემონანი? სად არიან? ნეტა ვიპოვნიდე დეზდემონას! მე მას დაუმტკიცებდი, რომ ვერც ერთი ოტელო ისე ვერ შეიყვარებდა, როგორც მე". .

თოვლდა

თეთრი იყო ღამე, როგორც ჩემი ფიქრები.

ნელის ნაბიჯით მივდიოდი. წინ ვიღაცა ქალი მიდიოდა, მის უკან ვიღაც სტუდენტი და მერე მე. ყველას ერთი გზა გვქონდა

შექსპირის გმირებიდან ისევ ლალიზე გადავედი იმ ვიღაცა ქალის დანახვაზე და შთავინთქე ფიქრებში. ხან ჯულიეტასთანა გავხადე ლალი, ხან დეზდემონასთანა, ხან ოფელიასთანა და ბოლოს ისევ ის სახე მივეცი, რაც წინადა ჰქონდა. უნდა რაღაცა მეთქვა ლალისთვის, მაგრამ იმ ვიღაცა ქალს, წინ რო მოდიოდა, ფეხი წაუსხლტა თოვლზე და წაიქცა. სტუდენტმა საჩქაროდ ააყენა, აყენების დროს რაღაცა უსიტყვამახვილა, რაზედაც ორივემ გაიცინეს და შემდეგ ერთად განაგრძეს გზა.

— თქვენ პირველი კურსის სტუდენტი ხართ?

— არა, მესამისა

— მე კი პირველისა.

— სადა სწავლობთ, ჰკითხა სტუდენტმა,

— საექიმო ინსტიტუტში

— ელეონორას არ იცნობთ?

— როგორ არა; ისიც პირველ კურსზეა, კარგი გოგონაა.

ამ ლაპარაკში ჩემი სახლის წინ გაჩერდნენ.

— იქნება შემოხვიდეთ ჩემთან .. ვილაპარაკოთ. უთხრა სტუდენტმა.

— დიდი სიამოვნებით, დასთანხმდა კურსელი ქალი: ოღონდ უკაცრავად, თქვენი სახელი არ ვიცი.

— პეტრე. თქვენი?

— ლარისა.

— მაშ შეიძლება ეგრე დაგიძახოთ?

— დიახ, დიახ, ლარისა დამიძახეთ.

ვაი საკვირველებავ! თურმე ჩემს გვერდით რო სტუდენტი ცხოვრობდა, ისა ყოფილიყო. უკან ამომყვნენ სახლის კიბეზე და, სახლში რო შევედით, სალამიც მივე.

ეს ღამე არ იყო კეთილი ღამე.

ჩემი მეზობელი და მისი სტუმარი პირველში ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ პოლიტიკაზე, იმაზე, თუ გერმანიამ რა უსინდისოდ დაარღვია მშვიდი ბელგიის ნეიტრალიტეტი, მეტად ამტყუნებდნენ ამისთვის გერმანიასა და ვინ იცის რა სასჯელს არ იტყოდნენ მის დასასჯელად?.. შემდეგ რაღაცა სასაცილო სთქვეს და აუტყდათ ერთი სიცილ-ხარხარი; შემდეგ ჩაჩუმდნენ და შემდეგ დაარღვიეს ჩემი ოთახის მყუდრო ნეიტრალიტეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის სამი საათი გახდ, როდესაც სტუდენტმა ქალი გააცილა. მაშინ ჩავწექი ლოგინში, მაგრამ თვალზე ძილი არ მეკარებოდა. ბოლოს გავიგე, სტუდენტი რო დაბრუნდა და მხოლოდ მაშინ ჩამეძინა მოღლილსავით.

*
* *

ამის შემდეგ ჩამისხდნენ თავში ის აზრები ჩემს დიასახლისზე, მელანიაზე, რომ შესაძლებელი იყო, ისიც იმ ქალისთანა ყოფილიყო, როგორც საზოგადოთ სხვები და კერძოთ კი იმ ქალისთანა, მეზობელმა სტუდენტმა რო მოიყვანა სახლში. თვალყურს ვადევნებდი ამის შემდეგ დიასახლისსა და ვხედავდი, რაღაცას ეძებდა იგი, რაღაცა ფაცი-ფუცში იყო ხან ვის ელაპარაკებოდა ტელეფონით, ხან ვისა და ხანაც ჩემთან შემოიჭრებოდა დაუკითხავად, თუმცა ბოდიშს მოიხდიდა, სახლში არ მეგონეთ და. თქვენი სავარცხელი უნდა წამეღოო. საოცარი მიმოხვრა, საოცარი შემოხედვა ჰქონდა და არ ულამაზო იყო მართალია ბევრ პუდრს იყრიდა, მაგრამ ისეთი მიმზიდველობა ჰქონდა, რომ ვერც ერთი ვაჟკაცი ვერ გადურჩებოდა ოხვრას მის შეხედვაზე. ბოლოს ხშირად ვხედავდი სახლში, თავის ბავშვს შემოიყვანდა ჩემთან, ეთამაშებოდა და დროს ატარებდა.

ერთხელ ტელეფონს ვრეკდი. მილი ყურზე მედო, მაგრამ ცენტრიდან არ მაგონებდნენ; გაბრაზებულმა მილის გასაღებს ჩახა-ჩუხი აუტეხე, რომ ჩქარა მოეცათ პასუხი; ჩახა-ჩუხზე გამოვარდა დიასახლისი თავის ოთახიდან, ხელი მტაცა მაჯაში და ვნებიანის ალერსით მითხრა, რა ბრაზიანი ხარ, ბიჭიკო, რა ბრაზიანიო. უფრო გავბრაზდი. დავიქნიე მაგრამ ხელი და ძირს გავართხე იგი. გაწბილებული ადგა და ისევ შევიდა თავის ოთახში, მხოლოდ ეს მითხრა, რა დავაშავე ისეთიო მაგრამ მე არაფერი უთხარ, მით უმეტეს, რომ ამდროს გამაგონეს ცენტრიდან.

ამის შემდეგ მელანიას ხმას აღარა ვცემდი.

მხოლოდ ვხედავდი, რომ ვიღაცასთან მოუხშირა ტელეფონით ლაპარაკს; მალი-მალ ერთსა და იმავე ნომერსა რეკდა, ერთსა და იმავე სახელს ეძახდა ტელეფონით. თითქმის საათობითა ლაპარაკობდნენ ხოლმე და ხშირად ახსენებდნენ „სიყვარულს“. ბოლოს ერთ ღამეს შინ აღარ მოვიდა; მერე, რამდენიმე დღემ რო გაიარა, ორ ღამეს აღარ მოვიდა სახლში, მერე ვიღაცა ბაბორიან სტუდენტს ეჯდა ავტომობილში, საითღაც მიჰქროდნენ და ოთხი დღე და ღამე აღარსადა სჩანდა; მერე ერთი კვირით დაიკარგა, მერე... მერე... და ერთ მშვენიერ დღეს ისეთი გამოპრანჭული მოვიდა სახლში, რომ ვეღარ ვიცანი და განცვიფრებით შევხედე.

კორიდორში პირის საბანთან გავედი პირის დასაბანად; მელანიამ თავისი ოთახის კარი ნახევრად გამოხსნა, მშვენიერი პოზა მიიღო და გამომწვევის ღიმილით დამიწყო ძზერა; მთელ თავის სილამაზესა და ძალას მიჩვენებდა, რომ ჩემთვის ეთქმევინებინა, რა კარგი ხარო, მაგრამ.

— არ გეტყვი მეთქი. უთხარი მე.

მან გადიკისკისა და შევარდა ოთახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივხვდი ჩემ შეკვდომას, რომ ამით უფრო მეტი უთხარ, ვიდრე მას უნდოდა ეთქმევინებინა; ამიტომ სისხლის აღება გავიფიქრე; კარიდორში რო გამოვედი მელანიას თავისი ნაცრის ფერი ვასიკა ეჭირა და ეალერსებოდა.

— ვისია ეგ ბავშვი მელანია?

— ჩემი.

— რა მშვენიერი ბავშვია! სრულებით არა ჰგავს დედას!

მელანიამ გაიცინა და მითხრა:

— ოჰ, რა ეშმაკი ბიჭი ხარ, რა ეშმაკო.

ამ ხუმრობაში შევრიგდით კიდეც.

ცოტა ხანს შემდეგ მელანიამ აგნესა შემომიგზავნა, ოთახის ქირა გამოგზავნეთ, ვადა დიდი ხანია გაგივიდათო.

გოგოს, უთხარ, არა მაქვს, წავალ სადმე ვისესხებ და საღამოზე. მოგართმევთ მეთქი. შემდეგ ავდექი და გამოვედი გარეთ ფულის სასესხებლად.

* * *

წარმოიდგინეთ, დილიდან საღამომდე ისე ვიხეტიალე, რომ ერთხელაც არ გამხსენებია ოთახის ქირა დამავიწყდა, რადგანაც სულ სხვა ფიქრებში ვიყავ გართული; არც თუ ისე რიგად ვაქცევდი მაშინ ყურადღებას დიასახლისის განცხადებას და ვფიქრობდი ჩემს აწმყო-წარსულზე.

გიმნაზიაში ყოფნის დროს მთელი ჩემი გონება სოფლისკენ იყო მიპყრობილი, თვალწინ სულ მთები, მინდვრები, ტყეები და ღრეები მედგა, ჩემი სული სულ მწყემსებთან იყო და ჩემისთანა სუსტი მოწაფე მთელს გიმნაზიაში მეორე აღარ მოიპოვებოდა. მგელსავით ტყისაკენ მაყურებელს ვერ წარმომედგინა ჩემი თავი ოდესმე ქალაქის მცხოვრებლად. მაშინ მთელი ოქროს სასახლეები რო მოეცათ ჩემთვის ქალაქში, ისევ მწყემსობას ვამჯობინებდი და სულ იმის ფიქრში ვიყავი, ჩქარა დაგვითხოვონ, გავკრა მთებისკე მეთქი. მაგრამ თანდათან დავშორდი სოფელს. გიმნაზიის გათავების ხანებში რო მივდიოდი მწყემსებთან, მალე მწყინდებოდა ხოლმე მათთან ყოფნა. მწყემსობაში უსაქმურობას დაჩვეული, ველარც ქალაქში ვგრძნობდი კარგა თავს, გული აღარც ქალაქში მიდგებოდა და რა იქნებოდა ჩემი ცხოვრება უცხოეთის სატახტო, უშველებელ ქალაქში? ჩემს ირგვლივ სულ ბინადარი ხალხი იყო: მოსაქმე საქმეში გართული, მდიდარი განცხრომაში, ყველა კმაყოფილი თავის ბედისა და მე, სოფელშიაც და ქალაქშიაც გამორჩეული, დავდიოდი, ვფიქრობდი ბედნიერებაზე, ვფიქრობდი და ფიქრებისაგან გამოლაყებული თავით ვერაფერს ვიძენდი უმაღლეს სასწავლებელში აქ მომაგონდა ჩემი წარსული, პატარობა, დილიდან საღამომდე რომ ვიდექი ხოლმე ჯოხზე დაყრდნობილი და უყურებდი საძოვარზე გაფენილ ძროხას. ხუმრობა ხომ არ არის, დილიდან საღამომდე კაცი იმის მეტს არაფერს აკეთებდეს, რომ იდგეს და უყურებდეს, საქონელი როგორა სძოვს ბალახს! მაგრამ მაინც კარგი იყო ამის მოგონება. მუდამ რაღაცა ტკბილია ხოლმე ჩაქსოვილი წარსულის მოგონებაში. მომაგონდა ერთი ამბავიც: ერთხელ აპრილის მზიანი დღე იყო, ქარი უბერავდა მხარ-იღლივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურდულ გადარტყმული ძროხებს ვედექი და სალამურს უკრავდი შემცოდეა. სალამურის დაკვრაც მომწყინდა და მოვძებნე ყუდრო. ჩავეფარე ღელეში, მივწექ ფერდობზე, ვთბებოდი მზეზე და თან ვფიქრობდი, თუ როგორ გავხდებოდი გმირი და გავანთავისუფლებდი ციხიდან მზეთ-უნახავ ასულს. ამ ფიქრებში ვიყავ გართული, რო მეველე წამომადგა თავსა და დამიყვირა: აქ რას უწეხარ შე ოჯახ დასაქცევისავ, რო იმოდენა ძროხა მოსდებია ჯეჯილსა და აოხრებს, შენ ღმერთი არა გაქვსო?!. გავიქეცი, დაუშინე შურდული და გამოვაბრუნე ძროხები ჯეჯილიდან. მერე დამიძახა მეველემ რო მივედი, ღილებიანი ქამარი შემომხსნა, წანახედი აუნაზღაურე პატრონს, თუ გინდა დაიბრუნო ქამარიო და წავიდა. ტირილი დავიწყე. მაგრამ მომაგონდა, რომ შურდულის წართმევა დაავიწყდა მეველესა და გამეხარდა ისევ გავმხიარულდი. შურდული წელზე შემოვირტყი და ისევ დავაღუღუნე სალამური. ეს რო მოვიგონე, ამოვიოხრე და ვსთქვი: ნეტა იმ დროს! მწუხარება ისე ღრმა არ იყო, რომ ერთი საათით მაინც გამყოლოდა მეთქი! სალამურს უკრავდი და თან იმასა ვფიქრობდი, თუ როგორ დაუკრავდი მზეთ-უნახავ ასულთან, ციხიდან რომ გავანთავისუფლებდი მერე შევწყვიტე სალამური და იმაზე დავიწყე ფიქრი, თუ რა ერქვა მაშინ ჩემს ოცნებაში მშვენიერ ასულს, ციხიდან რომ გავანთავისუფლე.

— თქვენ მაშინ ლალი გერქვათ არა?

— დიახ, მე სულ ლალი მქვიან, რაც გავჩნდი.

— მერე, ეგ რა გაქვთ გულზე, ლალი?

— ეს სადღესასწაულო ვარდია. გუშინ გავიკეთე გულზე და დღესაც გამომყვა. განა არ იცით, რომ გუშინ დღესასწაული იყო?

— ღმერთო ჩემო, ეს რა ქვეყანაა! აქ არც დღესასწაული გაიგება, არც საქმე დღე. აქ სულ ერთნაირად არის. აი ჩვენში, სულ სხვაა! თქვენ რომ იქაური დღესასწაული ნახოთ, ძალიან გესიამოვნებათ და იტყვით, რომ ნამდვილი დღესასწაული ნახეთ.

— აბა ერთი მითხარ, გოგი, როგორია თქვენი დღესასწაულები?

— დავსხდეთ.

დავსხედით

— აი, მაგალითად განვაგრძე: აიღეთ ჩვენი დღესასწაული, რომელსაც ალავერდობა ჰქვიან ალავერდის ტაძარი ალაზნის ველზეა. მთელი მთიულეთი, თუშეთ-ფშავ-ხევსურეთი და კახეთი იქ მოიყრის ხოლმე თავს ალავერდობას უნდა უყურო მაშინ ახალგაზრდა ლამაზ, ტანად, გმირ ვაჟკაცთ რა თავმომწონედა სხედან ცხენებზე! გაისმის დაირა-ტაში, ფანდურთა ხმა, სიმღერა, ცეკვა, მესტვირის ლექსები, ხოლო მინდორზე ვაჟკაცთა ჯირითს უყურებს ხალხი. აი როგორია ჯირითი: შორს დაურჭობენ მინდორში მიჯნას, ამ მიჯნამდე ჯერ პატარა თეფშს დასვამენ თოფის მიზნად, მერე გზის მარჯვნით ჯოხზე გოგრას გააკეთებენ, შემდეგ მარცხნივ ისევ გოგრას ჩამოაცვამენ სარს, მოახტება ცხენს რომელიმე ჭაბუკი, გადაჰკრავს მათრახს, მოსწყდება ადგილს, ჭენების დროს მოიხსნის თოფს, ტყვიას დაამსხვრევინებს თეფშსა, გადაიკიდებს ისევ, ახლა ხმალს იძრობს, ჯერ მარჯვნივ გააპობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარზე ჩამოცმულ გოგრას, მერე მარცხნივ; ჩააგებს ხმალს, ჩამოაგდებს ფაფახს, შემდეგ ვერცხლის უზალთუნს, სანამ მიჯნამდე მივა, რამდენჯერმე ჩამოხტება გაჭენებულ ცხენიდან, ისევ შეხტება, მიჯნასთან მოაბრუნებს ცხენს და გამოჭენებული უზალთუნს ხელით აიღებს, ხოლო ფაფახს კბილით. მივა ალაგას. ხალხი ვაშას ძახილით მიეგებება და ისიც ამაყად გადაუსვამს გავაზე ხელს ცხენსა. მერე უნდა ნახოთ, რა ამაყად გაივლის იგი ახალგაზრდა ქალებში! ქალები დაუკრავენ სათამაშოს და იგი ლეკურსაც დაუვლის, თითის ფჩხილებზე შედგება და გადაავლებს თვალს მშვენიერთ. მერე გაიმართება ფარიკაობა... ო, ლალი, რომ იცოდე, რა არის ეს ფარიკაობა! ამ ფარიკაობაში ისეთი მშვენივრად არის გამოხატული ადამიანის ჭკუა, სიმკვირცხე, მოხერხება! ძალიან ჭკვიანები არიან, ლალი, მთიულები!

— მერე, კარგი სანახავია თვითონ მთები?

— ჰმ... მთები? იცი, ლალი, რას ამბობენ მთებზე? თურმე, როცა მთელი ქვეყანა წარმოადგენდა ცივს, სასტიკს, გაუტანელს, უსამართლობის მინდორსა და ზღვას, ციდან ზღვის გულში ჩაისახა მადლი; შემდეგ იშვა იგი, ამოვიდა ზღვის გულიდან მშვენიერი ასულის სახით და რაც კი რამ მოიპოვებოდა თვალისათვისა და გულისათვის ქვეყნად, სულ იმას შემოეხვია გარსა; თავს იხრიდა მის წინაშე მსოფლიო და უკმევდა საკმელს. როდესაც მშვენიერმა ასულმა ქვეყნიერება შემოიარა, შედგა; მასთან მოქუჩდა მთელი განძი და თაყვანისცემა ქვეყანათა; ლოცვითა და ღაღადით შეჰყურებდნენ მას, მაგრამ დადგა წუთი მადლის ამაღლებისა, ცად დაბრუნებისა.

აფრინდა იგი.

აფრენილ მადლს თან აჰყვა მისი გარემო, მაგრამ ცაში უეცრივ გაუჩინარდა მადლი და მისკენ მსრბოლი მრავალფეროვანი ქვეყანა უცბად შეჩერდა, გაიყინა, მთებად იქცა; მას შემდეგ სულ დაღონებულნი, იმ მშვენიერის ასულის ფიქრებში არიან წასულნი მთები. დაბერდნენ ლოდინით და ათასი თვალიდან ღაპა-ღუპით ჩამოსდით ცრემლი... შემდგომ საქართველო დაერქვა იმ ადგილს.

— ძალიან შორს არის ნეტა აქედან თქვენი ქვეყანა? მე იგი შემიყვარდა, თქვენ რომ გიყურებთ, ყმაწვილო კაცო! მითხრა ღიმილით ვიღაცა ქალმა, რომელიც გვერდით მომიჯდა და გამომაფხიზლა ფიქრებიდან.

მივიხედ-მოვიხედე. დაღამებულიყო.

წამოვხტი უკმაყოფილო თვალით დავხედე იმ უცნობ ქალსა და მძიმე-მძიმედ წავედი სახლში.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კრიტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. აბაშელი



ნოე ჩხიკვაძე

მე სიკვდილს ველი... ჩემს გარშემო ჟამი ბნელდება...
საფლავის კართან ჩრდილთა ღმერთის ვუცდი ბძანებას...

ნ. ჩხიკვაძე

საბედისწერო სიტყვებია, წინასწარმეტყველურის სიმტკიცით ნაჭედი! მარად მშფოთავი, დაუცხრომელი, სიცოცხლისა და ბრძოლის წყურვილით გაშმაგებული პოეტი უცებ მიადგა გარდაუვალ საზღვარს, სადაც თავდება ყველაფერი, სადაც სიცოცხლეს ეკარგება ყოველგვარი აზრი და მიზანი! წინათგრძნობის გაუგებარ ალღოთი, იდუმალის შემეცნებით იგრძნო პოეტმა „ჩრდილთა ღმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თის“ მოახლოება და მისი საშინელ ბრძანების მოლოდინში წინად მქუხარე სიმებში ჩამოწვა ნისლი უჩვევის სევდისა. ნ. ჩხიკვაძის უკანასკნელ ლექსებში უცნაურის დაჟინებით ისმის შეუწყვეტი შრიალი ახლოს მომდგარ სიკვდილის ფრთათა რხევისა. ბრძოლის ცეცხლით დაფერილი სიმები უცებ შემოსა საღამოს ჩრდილმა, და თუ პოეტური შემოქმედება შეუცნობის გამომჟღავნებაა—ნ. ჩხიკვაძე უსათუოდ უნდა მომკვდარიყო. უნდა მომკვდარიყო იმიტომ, რომ მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა „ჩრდილთა ღმერთმა“, და უნუგეშო დიაგნოზი მიხეილის საავადმყოფოში მხოლოდ განმეორება იყო ამ განაჩენის.

ნ. ჩხიკვაძეს არ დასცალდა თვისი შემოქმედების პოტენციური ძალის ფართოდ გაშლა, მაგრამ ისიც, რაც მან მოასწრო, უთუოდ მატარებელია პროტესტანტური ენერგიის დაუშრეტელი პათოსის და ჭეშმარიტი ტემპერამენტით არის გამთბარი. მისი სიტყვა მკაცრია და შეუპოვარი, ვით ხელით გასროლილი რიყის ქვა, მაგრამ ეს სიმკაცრე ასე ბუნებრივია ამ „მოუხეშავ“ პოეტისათვის. სამოქალაქო ჰანგზე მომღერალ მგოსანთა შორის ნ. ჩხიკვაძეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი არ არის მხოლოდ სოციალურ უკუღმართობის წინააღმდეგ მებრძოლი, მისი ბრძოლის ასპარეზი უფრო ფართოა. სოციალური უსამართლობა ერთი სახეა იმ საერთო მარადიული ბოროტებისა, რომლის ირგვლივ ტრიალებს მთელი ქვეყანა. მას არა სჯერა, რომ სოციალურ უსამართლობის მოსპობასთან ერთად გაქრება საერთო სათავე ბოროტებისა. შეიძლება დამყარდეს კაცთა შორის მშვიდობა და თანასწორობა, მაგრამ ადამიანის მოუსვენარ სულის სარკეში მუდამ იქნება ასახული მიუწვდომელ მისწრაფებათა ნანგრევები. სცოცხლობს მსოფლიო მთლიანი, როგორც განუყოფელი ერთეული, და ბუნების ათას გვარ ძალთა საერთო რეზერვუარში სიცოცხლე მარადიულია და დაუსრულებელი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ შეუგნებელ პროცესში პიროვნებამ თავისი ადგილის შემოფარგვლა დაიწყო, მას შემდეგ რაც პიროვნებამ თავი დააღწია მის გარეშე არსებულ ყველა ძალთა საერთო კანონს—პასივობას,—და აქტივობა გამოიჩინა,—პიროვნებასა და მსოფლიოს შორის დაიბადა კონფლიქტი, რომელიც აღწევს მით უფრო ტრაგიკულ სიმწვავეს, რაც უფრო მეტის ენერგიით არის აღჭურვილი მებრძოლი პიროვნება. ეს ბრძოლა აუცილებლად თავდება პიროვნების სრული დამარცხებით. პიროვნება საბოლოოდ ქრება, მსოფლიო კი დაუსრულებლად ვითარდება. აქ არის დაუძლეველი წინააღმდეგობა, რომელსაც ვერავითარი ფილოსოფიური, რელიგიური და სოციალური ხრიკებით ვერ აიცილებს ვერც ერთი მოაზროვნე ადამიანი. სულით ძლიერი ტრაგიკულის განწირულებით ებრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვის ამ წინააღმდეგობას, სუსტი მორჩილდება ბედისწერას, ხოლო არის ბევრი გულუბრყვილო, რომელიც ახერხებს თავის მოტყუილებას კაცობრიობის მირაჟით. ბოლო ყველას ერთგვარი აქვს: პიროვნება სამუდამოდ, განუმეორებლად ქრება და ვინც არა ზერელედ, მამლაყინწურის გამბედაობით, არამედ ღრმად, ბოლომდის განცდით, ექსტაზური თავდავიწყებით ჩაუკვირდება ამ მოვლენას, შეუძლებელია მან არ განიცადოს ის საშინელი ჟრუანტელი, რომელიც ნაღვეღლით ავსებს სულს.

ნ. ჩხიკვაძის შემოქმედებაში არის ერთი მთავარი სიმი, რომელიც უეჭველად ამ ჟრუანტელით არის ათრთოლებული. ამას მე არ ვასაბუთებ ციტატებით, ეს მე არა მსურს,—იქნება შეუძლებელიც იყოს. მე ვიღებ მხედველობაში არა ცალკე ტაეპებს და სტრიქონებს, არამედ მთლად მისი პოეტური შემოქმედების და პირადი ცხოვრების საერთო შუქს, საერთო მუსიკას, რომელიც ჩემზე ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამას მით უფრო მეტის სითამამით ვამბობ, რომ ამ სტრიქონებს არა აქვს არავითარი პრეტენზიები კრიტიკული წერილისა.

ნ. ჩხიკვაძის ბუნტარული სული სავსე იყო დაუსრულებელი ბრძოლის ენერგიით. იგი ყველას ებრძოდა, არა მარტო მტერს, ხშირად მოყვარესაც, და მისმა ახლობელმა მეგობრებმა იციან, რომ მას არ ეძნელებოდა საუკეთესო ამხანაგების წინაშე ჩხირის გატეხა. უაღრეს პატივისცემის გრძნობას იგი უცებ შესცვლიდა უმწვერვალეს მტრობად და პირიქით. ის აღსავსე იყო შურისძიების გრძნობით, მაგრამ მან არ იცოდა ვის წინააღმდეგ მიემართა შხამიანი ისარი. მთელ თავის სიცოცხლეში მას გარშემო მტრები ეღანდებოდა, მუდამ მტრების ძებნაში იყო, მაგრამ არასდროს გარკვევით არ ქონდა წარმოდგენილი ვინ და რისთვის მტრობდა მას. გუშინდელი მტერი დღეს უსათუოდ მოყვარედ იქნებოდა მიჩნეული და დღევანდელ მეგობარს არ უნდა ქონოდა იმედი ხვალინდელი დღისა. ის ებრძოდა ვიღაცას, ებრძოდა თავგამოდებით, გაშმაგებით და ეს „ვიღაცა“ იყო უნივერსალური მტერი. ეს ადასტურებს ჩემს აზრს, რომ ნ. ჩხიკვაძის ბუნტი არის აჯანყება არა მარტო თანამედროვე გარდამავალი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, არამედ ის მიმართულია მსოფლიო ბოროტების წინააღმდეგ. და, მართლაც, ძველი რეჟიმის ბატონობის ხანაში ნ. ჩხიკვაძე მებრძოლ პოეტთა რიგში ერთი საუკეთესო მეომართაგანი იყო. დაინგრა ძველი რეჟიმი. გამარჯვებული მეომრები ზეიმით მიეგება სოციალურ სამართლიანობის განთიადს. ნ. ჩხიკვაძემ კი ამ განთიადის შემდეგ მოულოდნელის გაბრაზებით აამეტყველა თვისი ქნარი. და ბოლოს უჩვეულოდ დათალხა იგი. რატომ აკვნესდა მისი ჩანგი საერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო დღესასწაულის დროს ასე გულსაკლავად? პირადი ცხოვრების სიდუხჭირით? მაგრამ პირადი ცხოვრების მოუწყობლობა ხომ მისი განუყრელი თანამგზავრი იყო! საერთო მდგომარეობის სიმწვავით? მაგრამ ამას ხომ მოზეიმენიც გრძნობდნენ! ყოველს შემთხვევაში ბორკილები დამსხვრეული იყო და ის გასაჭირი, რომელსაც ხალხი განიცდიდა, მხოლოდ გამწვავება იყო ბრძოლის პროცესისა და ამას არ შეეძლო გამოეწვია უიმედობა „ბრძოლის ცეცხლად ქცეულ“ მგოსანში. პოეტის ასეთი პსიხოლოგიური გადატეხის ახსნა შეიძლება მხოლოდ ერთის გზით: ნ. ჩხიკვაძის ისარი მიმართული იყო მსოფლიო ბოროტებისაკენ და სადაც სხვებმა მიზანი მიღწეულად ჩასთვალეს, იქ მან დაინახა ახალი ასპარეზი დაუსრულებელის ბრძოლისა და მეტის სიმძაფრით იწყო ყივილი. რაც უფრო წინ, მით უფრო მეტი კონფლიქტი მსოფლიოსთან!

რა თქმა უნდა პოეტის ასეთი განწყობილება თანამედროვე სოციალურ პრობლემასთან არა თუ არ ამცირებს მისს მნიშვნელობას საზოგადოების მოწინავე კლასის ბრძოლისათვის, პირიქით დაუსრულებელი ბრძოლის პათოსით ანთებულ ქნარს მეტი ღირებულება აქვს საზოგადოებრივ გარდაქმნის პროცესში, ვინაიდან უფრო მეტის სიძლიერით აღვივებს შეურიგებელ ბრძოლის ცეცხლს.

ნ. ჩხიკვაძის პირადი ცხოვრების გზა ჭეშმარიტად ეკლით იყო მოფენილი. მისს ცხოვრებაში არ ყოფილა „ოქროს ხანა“, მას არ ქონია დრო ცხოვრების დამშვიდებით განჭვრეტისა, იგი მუდამ იბრძოდა არსებობისათვის და ამ ბრძოლას ყოველთვის ქონდა ხელჩართული ომის ხასიათი. იგი მუდამ კრიტიკულ მომენტს განიცდიდა, ყოველთვის ბეწვზე ეკიდა მისი ოჯახის კეთილდღეობის ბედი.—აი, მაცალე, ეს კრიტიკული მომენტი რამენაირად თუ გადავიტანე,—იტყოდა ხშირად იგი,—მერე არაფერი მიშავს, ცხოვრებას გაუმკლავდები. გაივლიდა ეს დრო, მაგრამ მას დაუყოვნებლივ მოყვებოდა ახალი კრიტიკული მომენტი და ასე დაუსრულებლად. დაუდგრომელი, მოუსვენარი, შეურიგებელი, იგი ვერ ეგუებოდა კერძო სამსახურს და არასდროს არც ყოფილა ერთ თუ ორ თვეზე მეტს რაიმე სამსახურში. უთუოდ უნდა წაჩხუბებოდა ვისმე და ბრაზმორეული სტოვებდა ადგილს. ძნელი წარმოსადგენიც იყო ნ. ჩხიკვაძე სადმე მოხელედ, რომელსაც აქვს განსაზღვრული ჯამაგირი და სამუშაო დრო, აქვს, მაშასადამე წინდაწინ შემუშავებული გეგმა, ბიუჯეტი და სხვა. ამ მხრივ იგი იყო ტიპიური ბოგემა, რომლისთვისაც ხვალინდელი დღე უთუოდ გამოცანა უნდა ყოფილიყო. იგი ორგანიულად ვერ ეგუებოდა ვერავითარ ყალიბს, გეგმას, ყოველ დღე თხზავდა ახალ ცხოვრებას და ყოველ მეორე დღეს ანგრევდა წინად განზრახულს. მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტაცებდა მოულოდნელი, ანაზღეული რამ და უყვარდა განსაცდელი და ბედთან შებრძოლება, უყვარდა ქალალდის თამაში, რომელიც, ჩემის აზრით, იყო გამოწვეული არა მარტო ფულის მოგების სურვილით, არამედ იმ ინტერესით, რომელსაც აცხოველებს შემთხვევითი, მოულოდნელი მოვლენის სიახლოვე და მისი ბუნდოვანობა.

მე ნ. ჩხიკვაძეს შევხვდი 1905 წელს სარევოლიუციო მუშაობის ასპარეზზე. ამ დროდან იწყება ჩვენი ოჯახური დამოყვრებაც. 1908 წლის დამლევს მან მიატოვა სოფელი და ცოლშვილით ფოთს გადასახლდა. მე ახლად დაბრუნებული ვიყავი ჩრდილოეთიდან, როცა ვესტუმრე დამხვდა სადგურზე.

— იცი, საშა, მე საკუთარი სახლი ავაშენე აქ! — მითხრა თავმომწონე ღიმილით, მისალმების შემდეგ.

— აგაშენა ღმერთმა, კარგი საქმე გიქნია, — ვუპასუხე სიცილით. გამიკვირდა კი და ცოტა ეჭვიც შემეპარა, ხომ არ მატყუილებს მეთქი. წავედით. გზაზე სულ თავის ახალ გეგმებზე მეგაასებოდა.

— ფოთი ჩემი სახლისკენ წამოვა, — გატაცებით ასაბუთებდა თავის აზრს. სხვა მხრით არა აქვს ქალაქს გასაქანი, ზღვაში ხომ არ გადავარდება, უსათუოდ ჩემსკენ უნდა გაიზარდოს. ფოთს დიდი მომავალი აქვს... ჩემი სახლის ირგვლივ ნახავ მალე ერთი ციდა ადგილი აღარ იშოვებოდეს. მე, თუ გინდა, შენც აგიღებ ერთ ნაჭერ მიწას, გქონდეს, მერე სახლსაც დაგადგმევინებ.

მივდიოდით ჩქარის ნაბიჯით. ღრუბლიანი დღე იყო. სცრიდა. ნოე აღგზნებით მიხატავდა ზღაპრულ მომავალს ფოთისას. რაღაც ათი წლის განმავლობაში ქალაქი საშინლად გაიზრდება, ირგვლივ ჭაობები ამოშრება, გზებს გაიყვანენ, საუცხოოდ გამშვენიერდება განსაკუთრებით განაპირა კუთხეები და სხვა.

მე ყურს ვუგდებდი ნოეს დაუცხრომელ ბაასს და დიდი ხანია ველოდი, საცაა შეუხვევს და სახლში შევალთ-მეთქი, მაგრამ არ ქონდა დასასრული არც ნოეს ზღაპარს, არც ჩვენს გზას.

— სადაა, ნოე, შენი სახლი, რომელ ქუჩაზეა, — გაუბედავათ შევეკითხე ბოლოს.

— აი ახლავე მივალთ, — მომიგო სწრაფად, — ჯერ ქალქის ქუჩებზე ვართ, აი იმ სიმაღლიდან „სობორო“ მოსჩანს. ჩემი ქუჩა ახალია, მგონი სახელიც უწოდეს, ქალაქის გამგეობაში ჩაწერილია..

გავიარეთ ქალაქის განაპირა ქუჩებიც. სრულიად მოვცილდით შენობებს და ერთ დიდ მინდორზე გავედით. შეუხვიეთ ვიწრო ტალახიან შუკაში და გავედით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყრუებულ ადგილს. შორიდან დავინახე „ბუდკა“-სავით ამართული პატარა ახ-ლად ანაგები სახლი. გამაჟრჟოლა.

— რა გააჩერებს ერთ ოჯახს ამ უდაბნოში,—ნაღვლიანად გავიფიქრე, მაგრამ ამ დროს შევნიშნე, რომ ნოე ელის ჩემს აზრს ცოტა დარცხვენით, და მხიარულად წამოვიძახე:

— ეს არის, ნოე, შენი სახლი, ნამდვილად! კარგ ადგილზეა, ძმაო, რა გინდა მეტი.

შევედით სახლში. ერთი პატარა ოთახი მაღალ ბარჯგებზე. გარშემო ქარი ზუზუნებს. შორით მოსჩანს მაიაკის წითელი შუქი... ამ სახლში დიდხანს არ უცხოვრია. აქ მოუკვდა ნოეს პირმშო ვაჟი. მიატოვა ფოთი. სახლი ქარმა წააქცია.

ომის დაწყების შემდეგ ნოემ თავის სოფელში დაიდგა მშვენიერი სახლი, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გაყიდა და თბილისში იყიდა პატარა სახლი. გადმოსახლდა ცოლშვილით. რამდენიმე თვის შემდეგ ეს სახლიც გაყიდა და ცოლშვილი სამტრედიაში დააბინავა. ამ წლის დამდეგს ხელმეორედ იყიდა თბილისში პატარა სახლი, მაგრამ ვერ ეღირსა მის დაცლას დგმურთაგან, რომ ცოლშვილი ჩამოეყვანა სამტრედიიდან.

თებერვალში ჩამოვიდა თბილისს მტკიცე გადაწყვეტილებით—რათაც დასჯდომოდა დაეცალა სახლი, მაგრამ ვერ მოახერხა. მაშინ გაცივდა და პირველად გახდა ავად ფილტვების ანთებით. რადგანაც თბილი ბინა ავათმყოფს ვერ ვუშოვნეთ, ექიმების რჩევით ალექსანდრეს სახელობის საავათმყოფოში მოვათავსეთ. მეორე დღეს საავათმყოფოდან დამირეკეს: თქვენი ავათმყოფი ექიმს არ უჯერის და წასვლას აპირებსო. გავიქეცი საავათმყოფოში, მაგრამ სანამ მივიდოდი, იგი წამოსულიყო.

— არაფერი არ გაგვივიდა, არც თხოვნა, არც მუქარა, ძალით მოგვატანია ტანისამოსი და წავიდაო,—მითხრეს საავათმყოფოში.

იმ საღამოს ნათესავთან გაეთია ღამე. მეორე დილით ჩემთან მოვიდა. ჩაი დალია და სიცხე გაიზომა. 39 ჰქონდა. მაშინვე დავაწვინეთ, მაგრამ ჩემს ბინაში ციოდა და სხვა ოთახს დაუწყეთ ძებნა.

— საშა, ოღონდ გადამარჩინე ამ ხიფათს და შემდეგისათვის ჭკუას ვისწავლი,—მითხრა შეშინებული ხმით.

მოვნახეთ თბილი ბინა. ამხ. სილ. რემონიძეს დავურეკე და მისი ბინა შემოგვთავაზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე ჩავსვი ეტლში საბანში გახვეული და წავიყვანე.

იქ ბუხარში ცეცხლი დაანთეს და ნოეც მაშინვე კარგ გუნებაზე მოვიდა.

მეორე დღეს რომ მივედი, ნოეს უკვე სიცხე არა ქონდა და სილიბისტროს გაცხარებით ეკამათებოდა რაღაც წისქვილის შესახებ.

— რა წისქვილია, კაცო, ხომ არ გაგიჟდი?— გავიკვირვე მე.

— გავგიჟდი კი არა, საშა, ეს ისეთი საქმე აღმოვაჩინე, რომ ჩემს დუხჭირ ცხოვრებას ბოლო მოეღო,—მტკიცე რწმენით მიპასუხა ნოემ.—ამ საქმეს ჯერ-ჯერობით მე და სილიბისტრო ვაწარმოებთ, მაგრამ არც შენ დარჩები გარეშე მაყურებლად ბოლოს. და ნოემ დალაგებით მიამბო, თუ როგორ მიაგნო ვიღაც ინჟენერს, რომელმაც გამოიგონა მოტორიანი წისქვილი, როგორ გადასწყვიტა აბაშაში წისქვილის დადგმა და მთელი გეგმა გადამიშალა. დღეში ორმოცი ათასი ფუთი სიმინდი უნდა დაფქვას. მეათედი წისქვილს დარჩება. ეს აუარებელ თანხას გააკეთებს. შემოსავლის ნახევარს მოახმარს ადგილობრივ საქველმოქმედო და კულტურულ მიზნებს. მეორე ნახევრით სამუდამოდ უზრუნველ ჰყოფს ცოლშვილს და ახლობელ მეგობრებს. დაიწყებს წიგნების გამოცემას. დაარსებს სტიპენდიებს და სხვა და სხვა.

სილიბისტრო საერთოდ ეთანხმებოდა, მაგრამ ორმოცი ათასი ფუთი ცოტა გადამეტებულად მიაჩნდა და ნოეც ამაზე ცხარობდა.

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჯერ კარგად გახდი და ამაზე ფიქრს მერე მოასწრებ,— დავარიგე წამოსვლისას.

მესამე დღეს ნოე ჩემთან შემოვიდა. მეწყინა. შემატყო, რომ მეწყინა. წოლა არ მარგებს. ცოლშვილი დაყრილი მყავს სამტრედიაში, უნდა მივხედო.

ცოტა ხნის შემდეგ სადგურისაკენ წავიდა. არ დაიჯერა ჩვენი რჩევა რამდენიმე დღე მოეცადა.

გზაში ავადმყოფობა შებრუნებოდა და სამტრედიაში ხელმეორედ გადაიტანა ფილტვების ანთება.

მაისის 22-ს, შაბათს, ერთი ნაცნობის ხელით ნოემ გამომიგზავნა თავისი პატარა „საკვოიაჟი“ შესანახად და შემდეგი წერილი:

„საშა! მე ჩამოვედი სამშაბათ ღამეს. ოთხშაბათს ბენიასთან ვიყავი და ვთხოვე სახლი დაეცლევინებინა. ბენიამ მყისვე მოახდინა განკარგულება ამის შესა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებ და უბრძანა მოხელეს საქმე ახლავე მოეგვარებია. მოსამსახურემ ვადა ბარას-კევს დამიდო. მე კი დღესვე გავხდი ანთებით ავად და სიკვდილს ვებრძვი. მე სახლს, თუ ვერ დავცლიდი, უნდა გამეყიდა, მაგრამ რაკი დავცალე აწი... ბენიამ სამსახურიც მომცა... ფუ ყველა ოხრათ არ დამრჩა... ერთი კაპეკი ფული არა მაქვს, უწამლოდ ვკვდები.

შენი ნოე ჩხიკვაძე

P. S. მე ვწევარ კიზლიარის ქ. № 3.

წერილის მომტანმა მითხრა, რომ ბარათის დაწერის შემდეგ ის ექიმთან იყოვო და ექიმის რჩევით თავის ფეხით მიხეილის სავადმყოფოში წავიდა და იქ წევსო.

იმ სადამოსვე მწერალთა საბჭოს სხდომამ გადასდო ცოტაოდენი თანხა ავადმყოფ პოეტისათვის. მეორე დილით წავედი საავადმყოფოში. წამომყვნენ ვ. რუხაძე და ობოლი მუშა.

შევედით თუ არა საავადმყოფოში შემოგვეგება, ექიმი ვირსალაძე და ალ. ნიკიტინი. ნიკიტინს ხელში კონვერტი ეჭირა.

ექიმმა მიგვიწვია კაბინეთში.

— აი ეს არის, წერილის გამოგზავნა გვინდოდა თქვენთვის,—მითხრა მან. კარგია, რომ შემოხვედით.

და მიამბო, თუ რა მდგომარეობაში იყო ავადმყოფი. ფილტვების ანთებით არის ავად, მდგომარეობა გართულებულია ნერვების აშლით.

დილიდანვე სიცხე მომატებოდა. ეთხოვა: აბაშელს შეატყობინეთო. ამ დროს შემოსულა ექიმი შ. მიქელაძე. შეხვერწებია: წამიყვანე და მე ითონ მოველაპარაკები ტელეფონითო.

შ. მიქელაძეს ჩაუსვამს ავადმყოფი პოეტი თვლებიან სავარძელში და ჩამოუყვანია ტელეფონთან, მაგრამ ტელეფონი გაფუჭებული ყოფილა. სიცხით გაბრუებულ გონებას მეტი აღარ უნდოდა.

— გამიშვით,—შეჰყვირა თურმე ავადმყოფმა და წამოვარდა გასაქცევად.— თქვენ განზრახ დაჭკეტეთ ტელეფონი და გინდათ მომწამლოთ ისე, რომ არავინ გაიგოს ჩემი სიკვდილი.

ხუთმეტ კაცს ძლივს დაუმაგრებიათ და პალატაში შეუყვანიათ.

— იძულებულნი შევიქენით დამაშშვიდებელი ხალათი ჩაგვეცვა. ახლა მორფი შევუშხაპუნეთ დასაძინებლად და წევს საწოლზე მიკრული,—გაათავა ექიმმა.

— არ შეიძლება ახლა მისი ნახვა?—შევეკითხე ექიმს.

— კი, ახლავე, თუ არ სძინავს.

წავედით პალატაში. ჯერ ექიმი შევიდა. არ სძინებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ერთად ნუ შეხვალთ, ჯერ მარტო თქვენ შედითო, მითხრა.

შევედი. ნოე იწვა გულზე ხელებდაკრეფილი. თვალები გაჰფართოებოდა და გაბრაზებული გამოიყურებოდა.

— საშა, რაშია საქმე, რა უნდათ, კაცო, ჩემგან,—მომმართა დამინახა თუ არა.—რა დავუშავე ისეთი, რომ სიკვდილით დასჯა გადამიწყვიტეს? მართალია ცოტა ავღელდი, მაგრამ განა ამისათვის უნდა მომწამლონ?

— რას ამბობ, ნოე, დამშვიდდი, ვინა გწამლავს, ვინ გკლავს, არა გრცხვენია?—ვცადე დამშვიდება და ახლოს მივუჯექი, შუბლზე ხელი გადაუსვი. დიდი სიცხე ჰქონდა.

— ხომ იცნობ შენ ექიმს? ვირსალაძე არ არის? და რაფერ მოგვიდა აზრად, რომ ამან უნდა მოგწამლოს? პირიქით, გივლის კარგად, რომ რაც შეიძლება მალე მორჩე.

— საწამლავი შემიჭაპუნეს, საშა, მორფი. ჯერ დამაკრეს საწოლზე, ხელფეხი შემიბორკეს, მერე მომწამლეს.

— ეგ საწამლავი კი არ იყო,—მიუბრუნდა ავადმყოფს ექიმი,—დასაძინებელი წამალია. თქვენს მდგომარეობაში დამშვიდებაა საჭირო, თქვენ კი ხუთმეტი კაცი გაანიავეთ, ძლივს დაგაკავეს.

— სად მიდიოდი, ნოე, რატომ გააჯავრე ექიმი?

— შენთვის მინდოდა დამერეკა და გული მომაყვანიეს,—ცოტა მოლბა ავადმყოფი.

— მე გუშინ მივიღე შენი წერილი. და აი, ვარლამი და სოლომონიც აქ არიან მოსულნი შენს სანახავად.

შემოვიდნენ და მიესალმენ. ნოემ ასწია ხელი ჩამოსართმევად, მაგრამ მიკრული ქონდა.

— საშა,—სრულიად დამშვიდებული კილოთი მომმართა,—სთხოვე ექიმს შემიხსნან ხელები. ახლა მე დამშვიდებული ვარ და ვგრძნობ ჩემს დანაშაულს. ბოდიშს ვიხდი.

ექიმმა უარი განაცხადა. არა უშავს, იწვეს ასე, მისთვისაც უკეთესია, დაიძინებს და მერე შევუხსნითო.

— ბ-ნო ექიმო,—მიმართა ნოემ ექიმს,—მე უკვე გამოვერკვიე, გონს მოვედი. ვნახე ჩემი მეგობრები, ახლა კმაყოფილი ვარ, ბედნიერად ვგრძნობ თავს. შემიხსენით ხელები, არ არის საჭირო, გარწმუნებთ, რომ ყოველს თქვენს დარიგებას უსიტყვოდ დავემორჩილები.

მე ვგრძნობდი, რომ მართლაც საჭირო აღარ იყო ხალათი, მაგრამ ექიმმა მანიშნა—არ შეიძლებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი, ნოე,—დავუწყე ისევ დამშვიდება.—ცოტა ხნის შემდეგ მე თითონ შეგიხსნი, ახლა ეცადე დაწყნარდე და დაიძინო.

ექიმი გავიდა.

მე მაშინვე შევუხსენი ფეხებზე. ხელები არ დამანება მოწყალების დამ, ექიმის ბრძანება არისო. წყალი მოითხოვა. დამშვიდდა. ბევრს ლაპარაკობდა. იცინოდა: მორფი საწამლავი მეგონაო. მოწყალების დასთან ბოდიში მოიხადა. დიდხანს ვილაპარაკეთ. მორიგმა ექიმმა გამიწვია განზე და მთხოვა წავსულიყავით, რომ ავადმყოფს დასძინებოდა.

გამოვემშვიდობეთ. დავპირდით საღამოს გნახავთო. შენი ბავშვი მომიყვანეო,—დამაბარა.

ნასადილევს ავადმყოფისკენ გავეშურე. ცოლი და ბავშვი წამოვიყვანე. რომ მივედით ეძინა. კარგ ხანს ვუცადეთ დერეფანში. მორიგ ექიმს გამოვკითხე, როგორ მიმდინარეობდა ავადმყოფობა. მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ შეიძლება გადაიტანოსო.

ამასობაში გამოღვიძებოდა. შევედით.

— რა ტკბილად მეძინა,—მითხრა მხიარულად და ბავშვს დაუძახა. გაეხარდა ბავშვის ნახვა.

— საშა, ჩემი ბავშვები უნდა ჩამოიყვანო,—ფული გაუგზავნე რამდენიმე ათასი მანეთი და ჩამოვლენ. მანამდის აქ სახლი დააცლევინე.

ნოე სრულიად გამოცვლილი დამხვდა, დილინჯელ აჯანყებისაგან არაფერი დარჩენილიყო. ხელები უკვე შეეხსნათ.

სიცხე გაუზომეს. 38 ჰქონდა.

კარგ გუნებაზე დადგა. ხუმრობდა. თითონ მოჰყვა დილის თავგადასავალს და დასცინოდა თავის სიშმაგეს.

წამოსვლისას მთხოვა მეორე დილით ბენია ჩხიკვიშვილი მენახა და სახლის დაცლის ამბავი გამეგო. თან ფული უნდა მეშოვნა სოფლიდან ცოლშვილის ჩამოსაყვანად.

საავადმყოფოდან წამოვედი სრულიად დარწმუნებული, რომ ნოეს არავითარი საფრთხე არ მოელოდა.

დილით ვნახე ბენია. ფულიც ვიშოვნე.

სახლში რომ მოვედი, ცუდათ შევიქენი. სიცხე მომცა. დავწექი და საავადმყოფოში ცოლი გავგზავნე.

დავაბარე ნოესთვის ეთქვა, რომ ფული უკვე გაგზავნილია.

ცოლი დიდხანს არ დაბრუნდა. ბოლოს მოვიდა. თან ახლდა ჩემი და ნოეს რამდენიმე ნათესავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ არის ავადმყოფი, რად დაგაგვიანდა?—შევეკითხე ცოლს ცუდის წინათგრძნობით გამსჭვალულმა.

— ძალიან ავად არის,—მიპასუხა.

— ნახე?

— არა!.. არ მაჩვენეს.

საბრალო, ნოე! დილით გარდაცვლილიყო. შუადამემდის კარგად სძინებოდა. შემდეგ უცებ წამოვარდნილიყო და დარეოდა მოსამსახურეთ. ისევ ჩაეცვათ ხალათი და მიეკრათ საწოლზე. დილამდის ებრძოლნა გიჟურის სასოწარკვეთილებით და დილის 10 საათზე სული დაელია.

სამი თვის განმავლობაში მესამეჯერ გახდა ფილტვების ანთებით ავად. ვეღარ გადიტანა ბოლოს.

მუდამ სახლსა და ბინის ძებნას გადაყოლილმა უკანასკნელად საავადმყოფოში ჰპოვა თავშესაფარი და იქ მოწყვეტილმა ცოლშვილს და მეგობრებს, გიჟის ხალათით შეკრულმა განიცადა საშინელი სიმარტოვე საბედისწერო ბრძოლაში. ვინ იცის, მომაკვდავ პოეტის ანთებულ გონების ეკრანზე რამდენი საშინელი სურათი აღბეჭდა წყვდიადის ღმერთმა ამ ტრაგიკულ შებრძოლების დროს.

მეორე დღეს მიცვალებულის ხელნაწერებში სხვათაშორის ამოვიკითხეთ დაუმთავრებელი ლექსის შემდეგი სტრიქონები:

„ლოცვით ვერ დავძლევ მწუხარების შავსა ზმანებას,
ცრემლთა ჩანჩქერით ჭმუნვა ჩემი არ განელდება.
მე სიკვდილს ველი... ჩემს გარშემო ჟამი ბნელდება...
საფლავის კართან ჩრდილთა ღმერთის ვუცდი ბრძანებას..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ რუხაძე

ერთხელ ვიყავ მგოსანი

(ნოე ჩხიკვაძის ხსოვნას)

მოკვდა პოეტი...
მოკვდა მარტო, ობლათ, ყველასგან დავიწყებული...
ის ობლათ მოვიდა ამ ქვეყნათ, უმეგობრო, ამხანაგს მოკლებული...
ობლათ ჩავიდა საფლავში, გულ გაყინული, მწარე ფიქრებით გარემოცული...
„ერთხელ ვიყავ მგოსანი,"—სწერს პოეტი...
„დღეს კი... მარტო ვგდევარ როგორც ხე წაქცეული"...
განთიადის ჟამს შემოდგა მან ფეხი ჩვენს ცხოვრებაში...
განთიადის ჟამს ააღერა მან თავისი ჩანგი...

„ზოგს შიმშილი ღუპავს,
ზოგი სისხლით მთვრალია,"—

შფოთავდა მწერალი...
ის ვერ ითმენდა, ის ირეოდა, როცა ესმოდა გულის მომწამვლელი ხმა:
— „ერთის მხრივ ქეიფის, მეორე მხრივ გლოვა ზარისა"..
მას გულს უკლავდა ამ ქვეყნიური უკუღმართობა.
და მისი ჩანგი ხან მწარეთ, უიმედოთ მოთქვამდა, ხან კი იმედს გამოსთქვამდა.

ვმღერი მარტო... კვნესის ჩანგი,
დნება ცრემლი ამ არეში,
და ეს ცრემლი, სევდის ჰანგი
თან ჩამყვება სამარეში"...

მოკვდა პოეტი...
საშინელ პირობებში, მწარე გაჭირვებაში...

„მე ამ სოფლათ არა მაქვს არც პური, არც უფლება.
ეს უგულო ქვეყანა ჩემთვის ციხის მსგავსია"!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსთქვამდა პოეტი უკანასკნელ ლექსებში...

და მშიერი, მწყურვალი ჩაესვენა ცივ საფლავში...

მოკვდა მშიერი, საშინელ გაჭირვებაში ის, ვინც, ერთხელ იყო მგოსანი, ბრძოლის ცეცხლათ ქცეული, ვინც რღვევის ჭექა-ქუხილით ძრავდა არე მარესა შეურყეველ იმედით, სვამდა ნაღველს მწარესა.“

ის დაიბადა განთიადის ჟამს...

მას შემოაღამდა გზაში...

მის თავზე მოილუშა ცა, შეიგრაგნა შავი ღრუბლებით. მაგრამ ის მაინც არ კარგავდა იმედს...

ის მედგარი ხმით გადასძახოდა შავ ბნელით მოცულ ქვეყანას...

გაუმარჯოს მაშ შრომის შვილს,
გაუმარჯოს ჩაგრულთ კერას!
გაუმარჯოს ვინც ყურს უგდებს
ჩვენს კილოს და ჩვენს სიმღერას!“

ის მოესწრო სრულ გათენებას...

ჩაგრულთ კერამ გაიხარა.
შრომის შვილმა გაიმარჯვა...

მაგრამ შრომის მგოსანი კი ძველებურ გაჭირვებას განიცდიდა, მას შიოდა, სწყუროდა, მისი სული არ იყო მოსვენებული.

და ამ საერთო მხიარულების დროს არავის ახსოვდა ის, არვის ეცალა მისთვის.

„დამავიწყდა ოცნება, დამავიწყდა გალობა,
ჯოჯოხეთად გადმექცა ეს სოფელი წყეული.
არც არავის ვახსოვარ, არც არსად ვარ წვეული,
ცამ მიწა დამიკარგა, მიწამ ზეცის წყალობა.“

მის გულს შავი ფიქრები ეხვეოდენ.

პირადათ გაჭირვებაში მყოფს თვალწინ ედგა ჩვენი მწარე სინამდვილე, და ეს უკლავდა გულს, სევდის ნაოჭს ახალ-ახალი ნაოჭები ემატებოდა.

„სად წავიდე? ქვეყანა ანგარებით სავსეა.
ჩარჩების ბორკილებში კვნესის თავისუფლება..,“

მოთქვამდა პოეტი...

და ამ მწარე მოთქმით, ამ საშინელი სიტყვებით მან დაგვტოვა ჩვენ...

თქვენ გინახავთ ის?

არეული, გიჟური თვალებიანი, მუდამ მღელვარე, აბობოქრებული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი სახე, გამომეტყველება იყო პროტესტი გამეფებულ უკულმართობის წინააღმდეგ...

და ამ პროტესტით მოგვშორდა ის...

და ვინ იცის რამდენი მწარე ფიქრი, რამდენი კაეშანი მას ჩაყვა საფლავში...

ის იმედის ჩანგით, ბრძოლის ცეცხლათ ქცეული მოვიდა ჩვენთან...

მაგრამ ვერ დავაფასეთ ჩვენ ის...

ვერ ვიცანით...

და ობოლი, „ოცნება დავიწყებული, მარტო გდებული, როგორც ხე წაქცეული," მოგვშორდა ჩვენ...

დღეს შავი მიწა ფარავს ერთხელ სიცოცხლით სავსე გულს...

აღარ ჟღერს პოეტის ბრძოლის ჩანგი...

მიყუჩდა სიმთა წკრიალი...

ეხლაც წივის უკანასკნელი ობოლი სიმი ყურში:

„მე სიკვდილს ველი... ჩემს გარშემო ჟამი ბნელდება.
საფლავის კართან ჩრდილთა ღმერთის ვუცდი ბრძანებას..."

და ჩრდილთა ღმერთმა უბრძანა მას მოგვშორებოდა ჩვენ...

შესწყდა ჩანგის ჟღერა...

გაწყდა ობოლი სიმი...

მაგრამ ამ ჩანგის ხმა არ მომკვდარა...

ეს ხმა ეხლაც აპობს ჰაერს... და ის მუდამ იქმნება ჩვენს სმენაში... და მოგვაგონებს ხალხისთვის ტანჯულ მგოსანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი პაპავა

ფიქრები თეატრის პრიზისზე

2

მხატვარის საზოგადოდ, და კერძოდ დრამატურგის ბუნება შინაგან სტიქიის გავლენის ძალით იზრდება; იგი გრძნობს ზებუნებრივ ძალას, გრძნობს ღვთიურობას და ებრძვის წვრილმანსა და წარმავალს,—ებრძვის წუთიერ სწრაფვასა და განწყობილებას. სადღეისო ლოზუნგებს, წარმავალ ფორმულებს და მისი დაუცხრომელი ბუნება სცდილობს მარადიული ასახოს, უკვდავებაში განამტკიცოს თვისი შემოქმედი ძალა. იგი ზებუნებრივი და ღვთიურია და, მაშასადამე, უნდა ემსახურებოდეს უკვდავს, როგორიც ღვთაებაა... რამდენიმედ იგი ახერხებს თავის მხატვრულის ინტუიციით დროულის დამარცხებას მარადიულით და თვით წარმავალ სურათებისა და მოვლენების იქეთ ამჩნევს ამ ძალას.

მან იცის კარგად, რომ ხელოვნება არ არის უბრალო სინამდვილე, მისი ფოტოგრაფიული აღწერა, არამედ კიდევ რაღაც ზედმეტი და აი, სწორედ ამ ზედმეტის პრინციპები მარადისობაში იშლება. რამდენადაც მხატვარი-დრამატურგი ძლიერია ამ ბრძოლაში, იმდენად უძლურია მომაკვდავი, უბრალო ადამიანი, მაყურებელი, რომელსაც საშინლად უჭირს იმ სინამდვილის ზედმეტის დანახვა, რომელიც პირველდანახვისთანავე იშლება სცენაზე.

ჩვენ დავინახეთ, რომ რამდენიმედ „სამხატვრო თეატრი“ აღწევს ამ მხრივ მიზანს და მისი მაყურებელიც მეტს ხედავს, მინამ სინამდვილეს სცენის სურათებისას, ე. ი. განიცდის ავტორის განწყობილებას, მის მთავარ სულის კვეთებას.

ამიტომაც „სამხატვრო თეატრი“ მისაღებია და მისი იდეიაც სიმპატიურია, მაგრამ აქ მარტოოდენ ჩანასახი სჩანს და მისი სრული გამარჯვება კი დღეს შეუძლებელია.

შეუძლებელია, რადგან ყოველი მაყურებელი ჩამბულია ცხოვრების ბრძოლაში და თვისი განსაკუთრებული ვითარება მასაც ამ ბრძოლის ასპარეზზე ცხოვრებაში განსაზღვრულ ადგილს უთმობს; იგი მოკლებულია პოეტურ ექსტაზს, აღმაფრენას, მის ვნებიან ჭირვეულობას და, ამის გამო, თვალღია სიზმარი მუდამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლეულია მისი ყოველდღიურის სიცხადით. იგი საკუთარ ვითარების ახსნას მოითხოვს და საკუთარ ფორმულის ამოკითხვას სცდილობს თეატრის სანახაობაში. ის რელიგიური ექსტაზი, დიონისიური ვნება, რომელიც სავსებით იტაცებდა ყოველ ელინს თეატრალურ სანახაობის დროს, აღარ არის.

ვნებული სიმთვრალე და ზეობასთან დაკავშირება გასწყდა და ყოველი პიროვნება საკუთარ ტრაგედიის გაშლას და ახსნას მოითხოვს თეატრიდან.

ამიტომაც იგი ყველას ვერ აკმაყოფილებს... ამასვე უნდა მიეწეროს ერთი მიზეზთაგანიც, რომელმაც დაამარცხა მარეინჰარტის ცდა.

სხვა და სხვა ჯურისა და რწმენის, სხვა და სხვა გვარ ფსიხოლოგიის მატარებელი ხალხი, შემთხვევით შეკრებული ამ თეატრში ვერ შეუსიხლხორცდა ერთის განცდით, ერთგვარის ექსტაზით შეპყრობილი ელინთა ტრაგედიას და მთლიანობაც დაირღვა.

ამ რიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ მიუხედავად სასტიკ ბრძოლისა, ჯერ კიდევ ძლიერია ხელოვნებაში ტენდენცია და იგი უფრო ძლევამოსილია და უტილიტარიზმის ტლანქ სახეს ღებულობს თანამედროვე მაყურებელის ბუნებაში. ეს მხარე აკვეცს ფრთას თეატრის თავისუფლებას, როგორც ხელოვნებისას და მის იარაღად, საშუალებად გამოყენებას ლამობს; მაშინ როდესაც იგი, იდეალურის სახით, თავის თავად უნდა მიზანი იყოს... თანამედროვე რეალიზმის თეატრი გმობს და მისგან განთავისუფლებას სცდილობს.

მაგრამ სრული განთავისუფლება კი მომავლის საქმეა, როცა თვით ადამიანი გახდება თავისუფალი ცხოვრების სიდუხჭირისაგან, მის წვრილმანურ ზრუნვათაგან, როცა იგი დაგმობს ყოველდღიურობას და, თავისუფალი, ლაღად დაეწაფება ხელოვნების ძლიერ ნაკადს.

თეატრიც, ხელოვნებასთან ერთად, განთავისუფლდება ამ ზედნაშენებიდან, გაირღვევა მისი შემზღუდველი კედლები და ისიც თავისუფლად ამოისუნთქებს. ამ თავისუფლებასთან ერთად იშვება ტრაგედიაც—ახალი ტიპი ამ ტრაგედიისა, რომელიც წვრილმან დღიურობის იქეთ, მარადისობაში და სულის წიაღში გაიდგამს ფესვებს.

ამ რიგად, მომავლის თეატრი, იდეალური თეატრი დაუახლოვდება ხელოვნების მიზანს; ტენდენციას მოკლავს და ტლანქ უტილიტარიზმს დაასამარებს...

3

მე წინასწარ არ ვსაზღვრავ—რა სახით მოხდება ეს სრული განთავისუფლება პიროვნებისა: სოციალურ ემანსიპაციის, რელიგიურ ასკეტიზმის თუ ზეკაცის გამარჯვებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის ამ ჟამად საინტერესოა რწმენა, რომ განთავისუფლება, ერთხელ იქმნება, მოხდება, რომ პიროვნება აიხსნის ყოველგვარ ბორკილს და თვის „მე“-ს ჰარმონიულად განავითარებს.

ასეთ თავისუფალ პიროვნებისათვის, რომელმაც არ იცის ერთი ფორმა ჩაგვრისა, რომელიც არ არის შეპყრობილი ყოველდღიურობით, ასეთ ადამიანისათვის ადვილი გახდება მხატვარის სულის კვეთებით გამსჭვალვა.

თავისუფალი იგი სავსებით მიეცემა თავდავიწყებას და მხატვარის ბუნებას ორგანიულად ესხეულება; აქედან განმტკიცდება ნამდვილი მთლიანობა და უბრალო მომაკვდავიც განიცდის, მისებრ თავისუფალ, მხატვრის სულიერ განწყობას. ხოლო ეს კი აუცილებელია ესტეტიურ სიამის და ნეტარების შობისათვის.

ბ-ნი ვალდშტეინი ერთ ადგილას ამბობს, რომ „მხატვრულ ნაწარმოებით წმინდა და სრულ ტკბობისათვის, აუცილებელია, რომ გადმოცემის დროს სულის კვეთება და განწყობილება იმისდა ანალოგიური იყოს, რომელშიაც მოსაზრებული და განცდილი იყო ისა თუ ეს მხატვრული შემოქმედება.“

ამნაირად, რამდენადაც შესაძლებელი გახდება მაყურებელისათვის—პოეტის სულიერ განწყობილებას მისწვდეს, დრამატურგის განწყობილებით განიმსჭვალოს, იმდენად ღრმავდება ესტეტიური სიამოვნება და იმდენად მაყურებელი ეძლევა ავტორის ბუნებას... იმდენად თეატრი თვის მიზანს აღწევს.

ხოლო ეს კი შესაძლო გახდება იმ დიად მომავალში, რომელშიაც ადამიანი თავისუფლებას დაიმკვიდრებს, ყოველგვარ მონობისაგან თავს იხსნის და ახალის სიხალისით, მთლიანის ბუნებით მიეცემა თავისუფალ ცხოვრებას.

ამ რიგად, სავსებით განმტკიცება მთლიანობისა შეუძლია მხოლოდ მომავლის თეატრს, როცა თვით ადამიანის ბუნება იგრძნობს ამ მთლიანობას, როცა მისი დაწეწილი სული იქვნეულობა-რეფლექსიისაგან განთავისუფლდება და მტკიცე ნება წარმართავს მის სვლას. თუ რამდენიმედ მაინც მართალია ზოგ მეცნიერთა აზრი, რომ ხელოვნება სავსებით აუხსნელია ემპირიულად, რომ შემოქმედი ძალა ქვეშეცნებული სულიერი ძალაა, რომლის საიდუმლოება გარდაღმა მხარეში იშლება, მაშინ, აშკარაა, ამ ქვეყნიურ ზრუნვისაგან განთავისუფლებული ადამიანი, უვნებლად შესცურავს ამ საიდუმლოებათა მორევში და ხელოვნების ძალას, მის სტიქიას ორგანიულად შეურთდება, ეზიარება.

იგივ ვალდშტეინი ამბობს, რომ „ესტეტიური სიამე უნდა განვიცადოთ ჩვენის ხსოვნისა. გამოღვიძება ამ ქვეშეცნებულ სულიერ განწყობილებისა ერთად ერთი პირობაა წმინდა მხატვრულ კონცეპციისა და სრულ მხატვრულ პროდუქციისა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღევანდელი ადამიანი შებოჭილია, იგი გატაცებულია ცხოვრების ერთ-ერთ-მეორე მხარეთი და სცდილობს ამ გზით იაროს, რომ მისი ბრძოლა არსებობისათვის თავისუფლების მოპოებით დაგვირგვინდეს. ამიტომ იგი მთლიან ცხოვრებას ვერ ამჩნევს და, მხატვრის მიერ შექმნილ ახალ, მისთვის პრაქტიკულად გამოუსადეგარ მხარეს, ვერ ითვისებს. ამ მხრივ მომავლის ხელოვნება სრული იქმნება, იგი მთლიან ცხოვრებას ასწერს და მითი პრაქტიკულ ზრუნვისაგან განთავისუფლებული პიროვნება ხელოვნების აბსოლუტს ეზიარება.

ამ საკითხს, სხვათა შორის, ყურადღება მიაქცია თანამედროვე მეცნიერმა ან. ბერგსონმა თავის ლექციებში, რომლებიც წაიკითხა 1911 წ. ოქსფორდის უნივერსიტეტში.

იგი ამბობს, რომ მხატვარის შემოქმედებაში ახალი არაფერია, ყველა ის გრძნობანი და აზრები, ემოციები, რომლებიც მხატვარის ქმნილებაში იშლება, უეჭველია, ბუდობდა ჩვენს არსებაში თავიდანვე; მაგრამ ჩვენ მათ ვერ ვამჩნევდით, რადგან გატაცებული ვიყავით დღიურ ჭირ-ვარამით, პრაქტიკულის მიზნებით.

მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროთ, ჩნდებიან ადამიანები, რომლებიც ყოველ დღიურობაზე ზრუნვის მაღლა დგანან, რომლებიც მარტო წინ არ იყურებიან, არამედ მთელ ცხოვრებას ხედავენ და მხატვრულად სახავენ.

და ჩვენ მივიწყებული სურათები, განცდანი, გრძნობანი კვლავ წარმოგვიდგება და უსაზღვრო ნეტარებას განვიცდით.

„ფაქტიურად," განაგრძობს ანრი ბერგსონი, „ადვილი დასამტკიცებელია— რამდენადაც გატაცებულნი ვართ ცხოვრების ზრუნვით, იმდენად მოკლებულნი ვართ ჭვრეტას. და რომ მოქმედების აუცილებლობა ბოჭავს ხილვის სივრცეს... მხატვარნი კი ჭვრეტენ იმისათვის, რომ უჭვრიტონ... და სწორედ იმის გამო, რომ ხელოვანი ნაკლებად სცდილობს—უტილიტარულად გამოიყენოს თავისი განცდა და ხილვა, იგი სჭვრეტს მრავალ საგნებს, ჩვენთვის უხილავს."

ამ ნაირად, მომავალი პიროვნების თავისუფლება უზრუნველ ყოფს მას პრაქტიკულ ხასიათის უსაზღვრო ზრუნვისაგან, გახსნის მის ბუნებას და, უტილიტარულ თვისებათაგან თავისუფალი, იგი მრავალ ახალ საგნებს იხილავს. ახალ ქვეყანას იგრძნობს, რომელსაც მხატვრულად განაცხოველებს სასცენო ხელოვნება.

4

საინტერესოა ვიცოდეთ: შესაძლოა თუ არა მთელი ტანის ამეტყველება მომავლის თეატრში და მისი ჰარმონიული შეთვისება მოთამაშის, მსახიობის სულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან. შესაძლოა თუ არა, გარდა სახის მოძრაობისა მიმიკის, ტანის შესაფერის რხევით, მისი ნაწილების გამოკვეთით, სულიერ ვითარების გარდაშლა სცენიდან.

რამდენიმედ ამის ელემენტებს დღესაც ვხედავთ და იგი ელინურ ხელოვნების გამოხმაურებაა, რომელიც სხვა სახით ოდნავად შლის თვის მთავარ პრინციპს მთლიანობისას.

აიღეთ პლასტიური ცეკვა, ქ.ნ დუნკანის მიერ გაცოცხლებული ხელოვნება, რომელიც უნაკლულოდ ხატავს შინაგან ტრაგედიას და სულის მთავარ მოძრაობას.

მაგრამ ამ მხრივ უფრო საინტერესოა დიდებული მოქანდაკე როდენი.

როდენმა სულ ახალი ტიპის ქანდაკებანი მოგვცა და მით დიდი რეფორმა მოახდინა ხელოვნების ამ დარგში.

დაწვრილებით მის შემოქმედებაზე ამ ჟამად ვერ შევჩერდებით, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ მან ახალის სახით აღადგინა ელინთა შემოქმედების მთავარი მომომენტი—მთლიანობა. ელინის ხალისიანობა, ენებული წყურვილი და ჰარმონიული სული სავსებით გამოსჭვივის, ხელოვნის მიერ პოებულ, ფორმაში ქანდაკებაში. აქ იგი ქანდაკება ნათელია, მას არ ამჩნევია არც ერთი ნახაზი ტანჯვისა, არც ერთი ღარი გამოურკვევლობისადმი.

იგი სიმბოლოა სიცხადისა და მწყობრ სილამაზის მარმარილო ლამაზად თლილია, ისე ვით მოლივლივე, მტკიცე, იჭვისაგან თავისუფალი სული ელინისა. აქ შინაარსი (სულის) სავსებით პოულობს შესაფერ, ჰარმონიულ ფორმას (სხეულს) და ორივე შეერთებული **მშვენიერების სიმბოლოდ** იქცევა.

ასეთივე სრული ჰარმონია და ერთობა დამყარებულა როდენის შემოქმედებაშიაც. მის მიერ ნაქანდაკევი ადამიანი იჭვნეულობის შვილი, იგი სევდას შეუპყრია, იგი გრძნობს თვის უმწეობას ცხოვრების სისასტიკის წინ და მას საშინელ წყევლას უთვლის. ტანჯვის ცეცხლში ნაცადი სული საშინლად კვნესის; ის გულს იკაწრავს და გადმონადენ სისხლით ზეცის უკულმართობას წალეკას უქადის.

ამ შინაგან ტრაგედიას სავსებით გამოსახავს მისი ფორმა, სხეული, რომელიც ტანჯვის ნაოჭებს შეუპყრია და წამების ხაზებს დაუსერავს. თვალები ცრემლთა ოკეანეს წააგავს, რომლის სიღრმეში შურისძიების ცეცხლი ღვივის... იგი სჭრის მაყურებელს... უსაზღვრო წამებას სულისას სახავს სხეული. მაგრამ აქ მარტო არ თავდება ეგ მთლიანობა. ჩვენ დავინახეთ, რომ ელინის შემოქმედებაში ყოველი ნაწილი, ნაკვეთი ერთნაირად საინტერესოა და, სახის ნაწილებთან ერთად, სხეულის სხვა ნაწილებიც აშკარად სახავენ ელინთა მთავარ სულის კვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებას. იგივ მთლიანობა სხვა და სხვა ნიწილთა ახასიათებს როდენსაც, მისი ქან-დაკების სახეს ხშირად ვერ ხედავთ, მაგრამ მისი სულის ტრაგედია კი სწრაფ იშ-ლება, რა დაინახავთ სხეულის ნაწილებს: ხელებს, ფეხებს, კუნთებს, მხარ-ბეჭს და სხვ... საშინლად დაჭიმული ძარღვები, სხეულის ნაწილი განსაზღვრული მი-ხვრა, აჩქარებული სისხლის ცემა, ყველა ეგ აშკარად ყოფს მის უმწეობას და საშინელ ტრაგედიას, ახალი საშულება უსიტყვო მეტყველებისა. ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ელინთა ჰარმონიული მთლიანობა როდენმა, თანამედროვე საუ-კუნის წამებულმა შვილმა, წამებაში აღადგინა... **მთლიანობა ტანჯვაში**... მაგ-რამ საინტერესო ისაა, რომ ამგვარი აღდგენა (სხვა სახით) და ახალი საშუალე-ბით მეტყველება შესაძლო ყოფილა.

მომავლის შვილი, თავისუფალი, მზის მოყვარული ხალისიანობით შეპყრო-ბილი, ადამიანი ამ მთლიანობას ძველ ელინურ სახით აღადგენს და მის შემდგომ ეს ახალი საშუალებით მეტყველება დიდ ადგილს დაიჭერს მის განახლებულ სცენაზე.

5

როცა მომავლის თეატრზე ვლაპარაკობთ, გვერდს ვერ ავუხვევთ ისეთ ძლევა-მოსილ ხელოვანს, რომელმაც მთელი ძალღონე ამ ახალ თეატრის საძირკ-ვლის ჩაყრას მოანდომა.

ეს არის ცნობილი კომპოზიტორი, გენიოსი ადამიანი რიხარდ ვაგნერი.

მაზედაც მხოლოდ ორის სიტყვით შევჩერდებით ამ ჟამად.

ვაგნერი ხედავდა თანამედროვე ცხოვრების უკულმართობას, უსაზღვრო წა-მებას და მისი რევოლიუციონური ბუნება ვერ ურიგდებოდა ამ საშინელებას.

„ჩვენ გვწამს," ამბობდა იგი, „კაცობრიობის აღორძინება და მთელ ჩვენ ძა-ლას მოვახმართ მის განხორციელებას. იგი შესაძლოა აღდგეს ხელოვნების სა-შუალებით, ერთად-ერთ, მთლიან, განუყოფელ,—**ხელოვნება-რელიგიის** საშუა-ლებით..."

აქედან აშკარად სჩანს ის დიადი როლი, რომელსაც უკვდავი ვაგნერი ხე-ლოვნებას აკისრებდა. მას სწამდა, რომ ეგ ხელოვნება უნდა გადასულიყო მთელ ხალხში და იგი ერთიანად აემოძრავებინა, ვით ცხოველ მყოფელ რელიგიურ ძა-ლას.

ხელოვნება ადამიანის ცხოვრების უაღრეს მომენტად მიაჩნდა მას.

ვაგნერი, რომელზედაც დიდი გავლენა იქონია შოპენჰაუერმა, ბუნების და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს მხატვრულ შეცნებას უფრო მაღლა აყენებს, მინამ მის თეორეტიულ-სა და მეცნიერულ შესწავლას.

„ადამიანი ლაპარაკობს ბუნებასთან“, ამბობს ვაგნერი, „და უკანასკნელიც უპასუხებს მას, განა ამ საუბარის დროს იგი უფრო უკეთ არა სცნობს მას, მინამ მეცნიერი მიკროსკოპის ქვეშ? მეცნიერებაზე ზრუნვა, რამდენაც მაღლა უნდა იდგეს იგი, ვერასოდეს ვერ მიაღწევს უმეშვეო გავლენას ხალხის სულზე, და მას კულტურულ-ისტორიული აზრი მხოლოდ მაშინ ეძლევა, როცა მეცნიერება აგვირგვინებს ხალხის განათლებას; ხალხის აღმზრდელად მარტო ხელოვნება რჩება...“

კი, მაგრამ, როგორია თვით ხელოვნება ვაგნერის წარმოდგენით? როგორ უნდა გამჟღავნდეს იგი გარეგნულად, რომ მიზანს მიაღწიოს.

აქ გამოდის ავტორი რეფორმატორის როლში, რომელიც დაქსასულ ხელოვნებას აუბრალოებს და ერთ სინტეზისაკენ ხრის. მრავალ ხელოვნებათა ნაცვლად, იგი აღიარებს ერთ, განუყოფელ ხელოვნებას, რომელიც სცენიდან სახიერდება, მსახიობთა მოქმედებაში იშლება.

ახალი დრამა იტაცებს ვაგნერს და ამ დრამას ჭეშმარიტ-ადამიანურს (reinmenschliches) უწოდებს იგი. ამ დრამის მთავარ ძალას იგი მუსიკაში ხედავს „რომელიც სხვა ხელოვნებასთან იმგვარ დამოკიდებულებაშია, ვით რელიგია ეკლესიისადმი.“ იგი სტიქიური ძალაა, იგი ისეთ ენას გვანიჭებს, რომლითაც გამოითქმის უსაზღვროება. ხშირად ხალხი შეთანხმდება ხოლმე სიტყვებში, მარა გრძნობებში კი ვერა და აი, მუსიკა გადალახავს ამ დაბრკოლებ-ს და ერთის გრძნობით წარიტაცებს ყოველს.

ამ რიგად ჩნდება ახალი ტიპის სცენა, მომავლის თეატრი, რომლის მეტყველება გადმოიცემა, სიტყვასთან ერთად, ხმებში,, მაგრამ ეს თითქოს აქამდისაც იყო, იფიქრებს მკითხველი ოპერებზე, მაგრამ შეცდება, რადგან იქ სხვის შემოქმედებას, ინდივიდიალურ ქმნილებას ახალი ინდივიდუალობა თავისებურად ახმაურდება მუსიკაში და მით **მთლიანობა ირღვეოდა,** აქ კი ვაგნერმა აუცილებლად აღიარა, რომ **მუსიკოსმა თვითვე შექმნას მხატვრული ნაწარმოები ყოვლად სრული** და მანვე განახორციელა იგი „ტრისტანსა და იზოლდაში“ და სხვებშიაც. ამ რიგად იგი მიწვდა ახალ ხელოვნებას, ახალ თეატრს. მისი განხორციელებაც მომავლის საქმეა და ეს დიდებულმა მხატვარმა ინტიუიციით შეიცნო და სთქვა: „საცა მშიერებია იქ ხელოვნება არ არის; იგი იქ არა სჩანს, საცა კაცობრიობის ერთი ნაწილი იმდაბლებს თავს და იწიხლება არსებობისათვის სასტიკ ბრძოლაში, ხოლო კი მეორე განცხრომაშია და არას აკეთებს...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე მომავლის თეატრი თვის მეტყველებას სიტყვაში, ტანის რხევაში, მუსიკაში, მიმიკაში და მრავალ სხვა გზებში პოებს. იგი თავისუფალი გახდება და საერთო სინტეზი შეიქმნება ხელოვნებისა.

ამავე დროს, იგი გახდება სახალხო, დაუახლოვდება მთელი კაცობრიობის გულს და ყველა იგრძნობს მის ძლევა-მოსილებას. ამ გვარ ტენდენციას თეატრის სახალხო ხელოვნებად ქცევისას დღეს ვამჩნევთ გერმანიის სხვა და სხვა ნაწილებში, განსაკუთრებით ბავარიაში და, შესაძლოა, აქედან, რამდენიმედ მაინც განვითარდეს ის ძალა, ის შემოქმედი ძალა ხელოვნებისა, რომელიც ვაგნერის სიტყვის თანახმად, გარდაიქცევა რელიგიად, ახალ ცხოვრების მშვენიერ ქვაკუთხედად...

ქ. დორპატი, აპრილი 1913 წ.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:
ივ. გომართელი
ს. აბაშელი
პ. ირეთელი
არ. რუხაძე
ობოლი მუშა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1919 წ. დეკემბრიდან გამოდის ყოველ-თვიური სამხატვრო-სალიტერა-ტურო ჟურნალი

„ცისარტყელა“

გამოცემა რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ კულტურა-განათლების კომისიისა.

ყოველგვარ პირობების გასაგებად მსურველებმა უნდა მიმართონ ამავე კომისიას,—თბილისი, ელისაბედის ქუჩა, № 200.

თბილისი, სტამბა-ლიტოგრაფია საქართვ. რკ. გზების